დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნანა მონიავა

წევრები:

ცირა ნიკოლაშვილი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ნინო ფსუტური - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

თამარ ოძელაშვილი -სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

ნინო ბლუაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

ნანა მარღანია - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ნანა ცინცაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

ანა ობოლაძე ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

ელენე ბეთლემიშვილი -ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სალომე არაბიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

გიორგი კოპლატაძე -სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქ. თბილისის N71 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	209469332

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
იურიდიული მისამართი	გლდანის VIII მ/რ
ფაქტობრივი მისამართი	გლდანის VIII მ/რ
საფოსტო ინდექსი	0107
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tbilisi71@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	2575932

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	**MES 7 23 0000909810, 20/07/2023**
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	31 ივლისი და 1 აგვისტო 2023წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქ.თბილისი გლდანის VIII მ/რ
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქ.თბილისი გლდანის VIII მ/რ
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქ.თბილისი გლდანის VIII მ/რ

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: ----1305----------	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N...		.....
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N.		

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N3.2.1.4.	*სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;*	*სასურველია სკოლამ შეიმუშაოს ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი ცალკე დოკუმენტად ან ადამიანური მართვის პოლიტიკაში გაიწეროს.*
ინდიკატორი N3.3.1.3.	*სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;*	*სასურველია სკოლამ ცალკე დოკუმენტად შეიმუშავოს გასაჩივრების წესი.*
ინდიკატორი N3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკურ უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებ რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*სკოლაში არსებული მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად საშტატო განრიგით განისაზღვროს ექიმის 2 შტატი.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.1.2.2	*დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები*	*უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებში სამიზნე ცნებები/ქვეცნებები/საკითხები იყოს არა ზოგადი (მაგ. ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ჟანრი და ა.შ), არამედ მითითებული იყოს კონკრეტულად სამიზნე თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხებიდან გამომდინარე (მაგ. ტექსტი: ჟანრი- პრაგმატული ტექსტი (აბრა); სამეტყველო ქმედება: ფუნქციური სამეტყველო ქმედება-ინტერაქცია შეხედულებებისა და დამოკიდებულებებ ის შესახებ და ა.შ.)*
ინდიკატორი N2.1.2.4	*დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები*	*რუბრიკები საჭიროებენ მეტ კონკრეტიკას და სიზუსტეს. საჭიროა რუბრიკები მორგებული იყოს კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე ან/და საკითხზე (ესსე, პრეზენტაცია და ა.შ) და იძლეოდეს საკითხის სიღრმისეულად შეფასების შესაძლებლობას.*

ინდიკატორი N2.2.2.3	*დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები*	*რუბრიკები შედგენილი იყოს ისე რომ უფრო მეტად იყოს შესაძლებელი მოსწავლეთა ჰოლისტური შეფასება.*
ინდიკატორი N2.2.2.4	*დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები*	*რუბრიკების მეტად სანდოობის, გამჭვრვალობისა და ობიექტურობისთვის საჭიროა რუბრიკების კრიტერიუმების გადახედვა, დახვწა და ქულების ისე გადანაწილება რომ ცალსახა იყოს როდის იწერება ქულა, 8 ქულა და ა.შ.*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელშიც ექსპერტებიბის მიერ აღწერილ გარემოებებს ეთანხმებოდნენ. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებული იყო 2 ხარვეზი, რასთან დაკავშირებითაც სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმისა და წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით დგინდება რომ სკოლამ მოიპივა დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ და მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. სახანძრო მიწერილობის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სკოლაში არსებული ვითარება შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს. დასკვნაში შენობის მდგრადობის შესახებ აღნიშნულია, რომ სკოლის შენობაზე არის I ხარისხის დაზიანებები (უმნიშვენელო მსუბუქი დაზიანებები) და შენობა ვარგისია ექსპლუატაციისათვის. ასევე დასკვნაში წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომელიც სკოლამ სამომავლოდ უნდა გაითვალისწინოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია და სრულ შესაბამისობაშია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
   სსიპ ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლის მისია არის მოსწავლეებში ოცდამეერთე საუკუნის განვითარების მოთხოვნის შესაბამისი ინტელექტუალური შესაძლებლობების, სამოქალაქო ცნობიერების, ეროვნული ღირებულებებისა და ლინგვისტური უნარ-ჩვევების მქონე პიროვნების აღზრდა.
   სკოლის ხედვა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და აჩვენებს იმას, თუ სად სურს სკოლას გრძელვადიან პერსპექტივაში თავის დამკვიდრება, რათა სკოლა გახდეს კიდევ უფრო პრესტიჟული, კონკურენტუნარიანი, წარმატებული და იყოს ლიდერი საგანმანათლებლო სივრცეში. ამასთანავე, სკოლა ორიენტირებულია აღზარდოს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნება, რომელსაც მისცემს სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე დამყარებულ საფუძვლიან განათლებას. სკოლის ხედვა და მისია შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
   სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცის ჩამოყალიბების ხელშეწყობა. მაგალითად ეს ნათლად ჩანს სტრატეგიული გეგმის მიმართულებებში. სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულები თავისი საქმიანობით ხელს უწყობენ ურთიერთთანამშრომლობის დამკვიდრებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სკოლაში სისტემატიურად ხორციელდება სასკოლო პროექტები, მშობელთა ჩართულობით, რაც სკოლის კულტურის ნაწილად გადაიქცა. სკოლის მისიითა და ხედვით განსაზღვრულია საკუთრი როლი სოციო-კულტურულ სივრცეში.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
   სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები) ჩართულობით. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მისიისა და ხედვის განაცხადის შემუშავების პროცესში მონაწილეობის მიზნით, მოხდა სასკოლო საზოგადოების ინფორმირება. ჯგუფში მომზადდა მისიისა და ხედვის ვერსია, რაც ასახული იყო შეხვედრის ოქმებში, უკუკავშირის მიზნით, მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა ჯგუფები გაეცნენ დოკუმენტს. მათი მხრიდან რჩევების შემდეგ, მომზადდა, მისიისა და ხედვის საბოლოო ვერსია. სასკოლო სასწავლო გეგმა, ერთობლივად შემუშავებული მისიითა და ხედვით, შესათანხმებლად წარედგინა სამეურვეო საბჭოს და დაამტკიცა პედაგოგიურმა საბჭომ.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
   სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლის ფოიეში თვალსაჩინოდ. სამეურვეო საბჭოს სხდომაზე წარდგენილი და შეთანხმებულია. პედსაბჭოს მიერ დამტკიცებულია. რაც დასტურდება სამეურვეო საბჭოს და პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
   სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯარო და ხელმისაწვდომია. სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც განთავსებულია მისია, ხედვა და ღირებულებები.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.
   საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 448 1309.2005 და ბრძანება N 194 16.03.2007 განსაზღვრავს სკოლის ტიპსა და სახელს : სსიპ ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლა.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023 სასწ.წ; 2023-2024 სასწ.წ.(პროექტი);
- პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები. (საზოგადოების ჩართულობა სკოლის მისიის/ ხედვის გაზიარებაში);
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 13 სექტემბრის N448 და N 194 16.03.2007 ბრძანებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
   სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, წარმოადგენს გრძელვადიანი დაგეგმვის დოკუმენტს და აღწერს სკოლის სამომავლო განვითარების პრიორიტეტებსა და საქმიანობებს. სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს ხუთ ძირითად ეტაპს: ინფორმაციის შეგროვება-ანალიზი, მისიის, ხედვისა და მიზნების გადახედვა/დახვეწა, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირება, სამოქმედო გეგმის შემუშავება, შესრულების მონიტორინგი და შეფასება. ამ წესში აღწერილია პრინციპები, მეთოდები და პროცედურები, რომლებზე დაყრდნობითაც ხდება სკოლისათვის გრძელვადიანი - სტრატეგიული განვითარების და მოკლევადიანი - ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება და რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების, თემისა და სხვა სფეროში ჩართულ მხარეთა პრიორიტეტების, ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
   სკოლის შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა სკოლის მისიიდან და სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარეობს და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად. შვიდწლიანი სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია შემდეგი მიმართულებები: სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება-გაუმჯობესების გზით, თანამშრომელთა პროფესიული განვითარება, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, სკოლაში ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა/შენარჩუნება და სხვა.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას; სკოლაში შემუშავებულია ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია სტრატეგიული გეგმის ყველა მიმართულებით ერთი წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები. 2022-2023 სასწავლო წლის თვითშეფასების საფუძველზე გამოვლენილი საჭიროებები და პრობლემის დაძლევის გზები.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.
   სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. გეგმა ითვალისწინებს კონკრეტულ აქტივობებს, შესრულების გაზომვად ინდიკატორებს, დასახული მიზნების მიღწევის ლოგიკურ თანმიმდევრობას, ახდენს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს განხორციელების ვადებს. ერთწლიანი გეგმით განსაზღვრულია სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, განვითარება და აღჭურვა.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სკოლის ერთწლიანი და შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმები.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
   სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის შემუშავების პრინციპებს, სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და მათი მონიტორინგის წესს. კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმვის პირველ ეტაპი მოიცავს სკოლის პერსონალის, ბენეფიციარებისა (მშობლები, მოსწავლეები) და სხვა დაინტერესებული პირებისაგან ინფორმაციის შეგროვებას დაწესებულების შიდა პროცესებისა და დამოკიდებულებების შესახებ. ინფორმაციის შესაგროვებლად გათვალისწინებულია თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები (სასწავლო პროცესის მონაწილეთა გამოკითხვა, ინტერვიუ, და სხვა). შემდეგ ხდება სიტუაციის ანალიზი, რომელიც მოიცავს, როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორებს. სიტუაციის ანალიზისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას SWOT ან რომელიმე სხვა, აპრობირებული მეთოდოლოგია. ანალიზის ეტაპზე განისაზღვრება სკოლის როგორც ძლიერი და სუსტი მხარეები, ისე საფრთხეები და შესაძლებლობები. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს გათვალისწინებულია სკოლის

დირექციის მიერ SWOT ანალიზის შედგენა, რომლის საფუძველზეც უნდა უნდა შემუშავდეს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ერთწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში უნდა წარედგინოს საბჭოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

   სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სკოლის დირექცია ადგენს SWOT ანალიზს, რომლის მეშვეობითაც ხდება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა. ამისათვის სკოლა ახორციელებს გამოკითხვებს, იყენებს კითხვარებს ან/და ზეპირ გამოკითხვებს, ინტერვიუს. მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ხორციელდება მომდევნო სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება, რომელიც მიეწოდება სასკოლო საზოგადოებას შეხვედრებზე, კრებებზე, პედაგოგიურ საბჭოზე. სასწავლო წლის ბოლოს სამეურვეო საბჭოს წარედგინება სამოქმედო გეგმის ანგარიში.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ შენობის ფოიეში, პირველ და მეორე სართულზე, სინფორმაციო დაფაზე ყოველთვის ქვეყნდება ყველა ტიპის ანგარიში და ნებისმიერ მსურველს აქვს საშუალება გაეცნოს. ასევე სკოლა გეგმავს, ვებ-გვერდზეც,სადაც არის გრაფა ანგარიშის გამოქვეყნებისათვის განსაზღვრული, გამოაქვეყნოს აღნიშნული ანგარიშები, რითაც სრულად იქნება უზრუნველყოფილი გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობა.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

დირექციასთან გასაუბრებითა და შესწავლილი მასალებით დგინდება, რომ სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის, ინტერვიუების, რეკომენდაციების და სამოქმედო გეგმის ანგარიშის შედეგების გათვალისწინებით ყოველი სასწავლო წლის ბოლოს განიხილება არსებული ვითარება, მიღწეული შედეგები, ცვლილებების საჭიროება. ყოველივე არნიშნულიდან მიღებული უკუკავშირის გაანალიზების საფუძველზეც მუშავდება ახალი გეგმა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- რატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სკოლის ერთწლიანი და შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი სკოლის ერთწლიანი სტრატეგიული გეგმის ანგარიშის შესახებ;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
   სკოლას აქვს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც შედგება: დირექციისაგან, ადმინისტრაციისაგან, ტექნიკური პერსონალისაგან, სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოსაგან. სკოლაში მოქმედებს 7 საგნობრივი კათედრა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, უცხოური ენები, საზოგადოებრივი მეცნიერებები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ფიზიკური აღზრდა და ესთეტიკა, დაწყებითი კლასები), დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა. მრჩეველთა საბჭო, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი.
   სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის, მასწავლებლის კარიერული წინსვლისა და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის, კათედრისა და პედაგოგიური საბჭოს დებულებები. ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის მიერ შემუშავებული დებულებების შესაბამისად. მათი თითოეული თანამშრომლის შრომითი ვალდებულებები, ფუნქციები გაწერილია შრომით ხელშეკრულებებში.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.
   სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულების მკაფიოდ გაწერილი ფუნქცია-მოვალეობები ხელს უწყობს პროცესების ადმინისტრირებას. სკოლა იყენებს გუნდური მუშაობის პრინციპებს. აღსანიშნავია, რომ ავტორიზაციის ვიზიტის პროცესში თითოეულ საკითხზე სხვადასხვა პიროვნება იყო პასუხისმგებელი. თითოეულმა მათგანი თავის საქმიანობის და კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენდა მოთხოვნილ დოკუმენტაციას და ექსპერტებს გვაძლევდნენ მკაფიო და კითხვის შესაბამის პასუხებს. ისიც აღსანიშნავია, რომ არა მხოლოდ საკუთარი პოზიციიდან ასრულებენ და იაზრებენ ფუნქციებს, არამედ სკოლის მთლიანი საგანმანათლებლო სამქიანობის კონტექსტში.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

   დასტურდება (მტკიცებულებები):
   კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შრომითი ხელშეკრულება;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- ბრძანება კათედრის დებულების დამტკიცების შესახებ;

- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- ბრძანება მრჩეველთა საბჭოს დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება სკოლის თვითშეფასების გუნდის შესახებ;
- ბრძანება ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
   სკოლის მართვას ახორციელებს სკოლის დირექტორი. სკოლა ხელმძღვანელობს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შინაგანაწესით, სადაც გაწერილია სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო დრო, მისი აღრიცხვა, სამუშაოზე გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევებზე გათვალისწინებული პასუხისმგებლობის, თანამშრომელთა წახალისების, შრომის პირობების დაცვისა და უსაფრთხოების წესები. მოსწავლეთა და თანამშრომელთა დისციპლინური გადაცდომების სახეები და მათთვის გათვალისწინებული სახდელები, შრომითი ურთიერთობის შეჩერებისა და შეწყვეტის

პირობები და წესი. შრომითი ხელშეკრულებები შესაბამისობაშია შინაგანაწესთან და კანონმდებლობით დადგენილი წესით ხდება მასში ცვლილების შეტანა და გაცნობა სასკოლო საზოგადოებისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

   სკოლას შემუშავებული აქვს და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო განრიგი. პერსონალის მოზიდვა ხდება საჭიროებების ანალიზის შედეგად, კონკურსის საფუძველზე, რის შემდეგაც თითოეულთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება. პერსონალის მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს კვალიფიციური და პროფესიონალი კადრების მოზიდვას, იგი ეხმარება სკოლას საკუთარი პერსონალის პოტენციალის სრულად და ეფექტიანად გამოყენებაში, მოსწავლეების, მშობლების, თანამშრომლებისა და სხვა დაინტერესებული პირების კმაყოფილების დონის გაზრდაში, მის შენარჩუნებასა და განვითარებაში.

   ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დახმარებით სკოლა უზრუნველყოფს პერსონალის პროფესიულ განვითარებას. სკოლაში მიმდინარეობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი პროცესები, სკოლა ხელს უწყობს პედაგოგებს განვითარებასა და სტატუსის ამაღლებაში. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ხელშეწყობით ელექტრონული პლატფორმის საშუალებით ჩატარდა საჭიროებების კვლევა, რომლის ანალიზის საფუძველზე დაიგეგმა სხვადასხვა აქტივობა, როგორც პრევენციული ისე ინტერვენციული. სკოლაში მუდმივად, წინასწარ შედგენილი განრიგის მიხედვით ხდება ურთიერთდასწრებები საგაკვეთილო პროცესზე. რის შემდეგაც მასწავლებელი ახდენს საკუთარი გაკვეთილის რეფლექსიას და ღებულობს უკუკავშირს კოლეგებისაგან. გარდა მასწავლებლებისა სკოლის სხვა თანამშრომლებთან მიმართებით იგეგმება სხვადასხვა აქტივობები, რომელიც მათ პროფესიულ განვითარებაში (მაგალითად ბუღალტრისათვის ტრენინგები) დაეხმარება. დირექციასთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლას გააზრებული აქვს როგორც ინტერვენციული ასევე პრევენციული მიდგომები პერსონალის მართვასთან დაკავშირებით.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;

   სკოლაში მასწავლებელთა შერჩევა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის დირექტორი განსაზღვრავს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ქმნის საკონკურსო კომისიებს, რომლებშიც ჩართულია მოწვეული სპეციალისტი

(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, პედაგოგთა პროფესიული კავშირის წარმომადგენლები, მოწვეული სპეციალისტი და ა.შ). ყველა ვაკანსიას სკოლა აცხადებს teachers.jobs.ge-ზე, სადაც განთავსებულია როგორც საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე დასაქმებულის შერჩევის ეტაპები. საკონკურსო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სკოლის მიერ შემუშავებულია კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები, რომლითაც ხელმძღვანელობს კონკრეტული საკონკურსო კომისია, რაც ასახული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმებში. თანამშრომლის შერჩევის შემდეგ სკოლა აფორმებს ხელშეკრულებებს და ქმნის/აწარმოებს თანამშრომელთა პირად საქმეებს. 2020 წლის ივნისიდან დასაქმებულ ყველა თანამშრომლის პირად საქმეში წარმოდგენილია: ცნობა ნასამართლეობის შესახებ, ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ, ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
   სკოლაში მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და სკოლის მიერ კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად დამატებით გაწერილ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სკოლა უზრუნველყოფს შერჩეული პირების პირად საქმეში საკვალიფიკაციო მოთხოვნებში ასახული მტკიცებულებების არსებობას. სკოლაში 66 მასწავლებლიდან 24 წამყვანია, 39 უფროსი, 1 მაძიებელი, 2 მასწავლებლის სტატუსის გარეშე. სკოლაში დასაქმებულ ყველა თანამშრომელს (პედაგოგს, ექიმს, სსსმ პირის ასისტენტს და ა.შ.) აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
   სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა გულისხმობს ორგანიზაციის

თანამშრომელთა საქმიანობის ისე დაგეგმვასა და წარმართვას, რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი ორგანიზაციის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევას როგორც ხანმოკლე, ისე ხანგრძლივ პერსპექტივაში.

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ აღნიშნულ პროცესებში მნიშვნელოვანია გუნდური მუშაობის პრინციპი, რომელშიც ჩართულნი არიან დირექტორი, დირექტორის მოადგილეები, ასევე, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, კათედრის ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა პირებიც. ვიზიტის პროცესში სკოლის გუნდში პასუხისმგებლობა გადანაწილებული იყო და თანამშრომლობითი მიდგომებიც ნათლად იყო წარმოდგენილი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლა აფასებს თანამშრომელთა მიერ მიღწეულ წარმატებას და მათ მიმართ იყენებს სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულ წახალისების ღონისძიებებს (ფულადი ჯილდოს გაცემა, მადლობის გამოცხადება, სიგელის გადაცემა და ა.შ.).

სკოლაში დასაქმებული არიან სხვადასხვა სტატუსის მქონე პედაგოგები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი გამოცდილების გაზიარებაში. სკოლის დირექცია ატარებს ტრენინგებს, სემინარებს, სამუშაო შეხვედრებს სასკოლო საზოგადოებასთან. აღნიშნულ შეხვედრებზე მასწავლებლებმა ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, განიხილავენ სხვადასხვა ქეისებს, იზიარებენ ერთმანეთის გამოცდილებას. აქცენტი კეთდება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნის ხელშეწყობაზე. მსგავსი შეხვედრები მოეწყო თემებზე „თუ ბედავ სწავლებას, მაშინ თავადაც არასდროს შეწყვიტო სწავლა“, „გენდერული სტერეოტიპები ჩვენს საზოგადოებაში“ და ა.შ.

ასევე სასკოლო საზოგადოებისათვის მეტად მნიშვნელოვანი და ღირებულია სოციალურ ქსელში თითოეული წევრის მიღწევის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, რაც მათ აღიარებას უწყობს ხელს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- კონკურსის დებულება;
- სკოლის შინაგანაწესი;
- შრომითი ხელშეკრულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
   სკოლა ხელს უწყობს პერსონალს პროფესიულ განვითარებას. სკოლას შეიმუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და ეტაპობრივად ახორციელებს დოკუმენტით გათვალისწინებული დებულებების სასკოლო საზოგადოებაში დამკვიდრებასა და გამოყენებას. სკოლის დირექტორთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში ხორციელდება თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზება, დირექციის შეხვედრებზე რეგულარულად განიხილება ადამიანური რესურსების მართვის მეთოდების ეფექტიანობა, დასაქმებულთა მოტივაციის ამაღლების მიზნით იგეგმება წახალისების სხვადასხვა ფორმა.

ხარისხის განვითარების მართვის ჯგუფი ფუნქციონირებს მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში. მისი საქმიანობა განისაზღვრება ძირითადად გაკვეთილებზე დასწრებებით. საგაკვეთილო პროცესში ხდება ფოკუსირებული დაკვირვება, საჭიროებების დადგენა და მათზე უკუკავშირების გაცემა. ასევე სკოლაში აქტიურია „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

   დირექტორისა და მოადგილეების აქტიური ჩართულობით ხორციელდება პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ღონისძიებების დაგეგმვა, ინფორმაციის მიწოდება ტრენინგებისა თუ სემინარების შესახებ.

   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ კათედრების ხელმძღვანელები წარმოადგენენ დირექციის წინაშე მასწავლებელთა საჭიროებებს. ამ ინფორმაციას ისინი ირებენ გაკვეთილებზე დასწრების, ანალიზის და მასწავლებელთა რეფლექსიების შედეგად. დირექცია მასწავლებლებს აწვდის ინფორმაციას როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემოთავაზებული ასევე სხვადსხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი ტრენინგ კურსების შესახებ. გარდა ტრენინგებისა, სემინარებისა, კონფერენციებისა და სამუშაო შეხვედრებისა ასევე, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს და უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას. სკოლა უზრუნველყოფს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების მხარდაჭერას და ზრუნავს მათ პროფესიულ განვითარებაზე, აწვდის ინფორმაციას დაგეგმილი ტრენინგების შესახებ და ხელს უწყობს მათზე დასწრებას.

   სკოლის დირექციის მიერ მხარდაჭერილია სკოლის სხვა თანამშრომელთა პროფესიული განვითარება, სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია ამ მიმართულების შესაბამისი აქტივობები.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

   სკოლა უზრუნველყოფს დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებაში ხელშეწყობას. სკოლა მუდმივად ეცნობა სიახლეებს, აწვდის ინფორმაციას კანონმდებლობის ცვლილებების შესახებ. უზრუნველყოფს პერსონალის ინფორმირებას არსებული პროფესიული განვითარების ტრენინგების, კონფერენციების, პროექტების, საპილოტე პროგრამების, კარიერული წინსვლის აქტივობების შესახებ, რაც ხელს უწყობს, მასწავლებელთა/თანამშრომელთა პროფესიული ზრდის უწყვეტობას, სტატუსის ამაღლებას.

დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა ხელს უწყობს მასწვლებელთა კარიერულ ზრდას, მათ მიერ წარდგენილი იყო საბაზისო განათლების პროგრამა/ USAID Basic Education Program მასწავლებელთა აღიარების რეგიონული კონკურსში სკოლის დაწყებითი საფეხურის მათემატიკის მასწავლებელი, რომელიც კონკურსის გამარჯვებული და თბილისის საუკეთესო მასწავლებელი გახდა. სკოლისათვის მნიშვნელოვანი და ღირებულია თანამშრომელთა კარიერული განვითარება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტერგრაციას სამუშაო გარემოსთან, ყოველთვის მზად არის დამწყები კადრების მისაღებად და განსავითარებლად, მაქსიმალურად ხელს უწყობს დამწყებ მასწავლებლებს, შეიძინონ ყველა მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევა და ჩამოყალიბდნენ პროფესიონალებად. ახალი თანამშრომლები ეცნობიან სკოლაში დამკვიდრებულ წესებსა და ჩვეულებებს, რაც მათ უმარტივებს სასკოლო გარემოსთან შეგუების პროცესს. აღნიშნულ პროცესებში განსაკუთრებული როლი აქვთ სკოლის ადმინისტრაციას, დირექციას, კათედრებსა და პედაგოგიურ საბჭოს. ხდება მათი წარდგენა პედსაბჭოზე, კათედრაზე, მოსწავლეებთან.

სკოლას წარმოდგენილი აქვს მასწავლებელთან დადებული ხელშეკრულება, რომელშიც გაწერილია სკოლის მხრიდან შესაბამისი ვალდებულებები, რომელიც პუნქტ 3.1-შია გაწერილი (სკოლა ვალდებულია დასაქმებულს შეუქმნას მუშაობისათვის აუცილებელი პირობები, მასწ. უზრუნველყოს სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო გარემოთი,) რაც ადასტურებს ინდიკატორთან შესბამისობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა:

სასურველია სკოლამ შეიმუშაოს ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი ცალკე დოკუმენტად ან ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში გაიწეროს.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლის მიერ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლა ეხმარება თანამშრომლებს იდეების განვითარებასა და რეალიზებაში. ამ მიზნით სკოლა ქმნის შესაბამის გარემოს, უზრუნველყოფს რესურსებითა და სათანადო პირობებით. სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა და ურთიერთთანამშრომლობითი გარემო ხელს უწყობს სკოლის პერსონალის წახალისებასა და ინიციატივების განხორციელებას. მაგალითისათვის

სკოლის დირექციამ მოიყვანა მასწავლებლის ინიციატივა minecraft-ის პროექტში ჩართვა. რის შედეგადაც სკოლა ჩაერთო საერთაშორისო კონკურსში, სადაც სკოლამ გამარჯვება, პირველი ადგილი მოიპოვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმი;
- სასწავლო ჯგუფის შეხვედრის ოქმი;
- კათედრის სამოქმედო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სერტიფიკატები;
- შრომითი ხელშეკრულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
   სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. რომლის მიზანი დაწესებულების შიდა შეფასების მექანიზმების დანერგვაა. წესი მიზნად ისახავს სკოლის განვითარების ხარისხის მუდმივ მონიტორინგს, შეფასებასა და განვითარებას. სკოლის შიდა შეფასება ეფუძნება ციკლს ,,დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე" დაგეგმე - გულისხმობს სკოლის საქმიანობის რომელი ასპექტი რა პერიოდულობით, რა თანმიმდევრობით და ვის მიერ უნდა განხორციელდეს. განახორციელე - გულისხმობს სკოლის საქმიანობის ხარისხის შეფასების განხორციელებას წინასწარ დაგეგმილი აქტივობებით. შეამოწმე - განხორციელებულ აქტივობებს ამოწმებს მონიტორინგის ჯგუფი და შედეგებს გააცნობს სკოლის დირექციას. გამოვლენილ მიგნებებს განიხილავს პედაგოგიური საბჭო. განავითარე - მონიტორინგის ჯგუფის ინფორმაციის საფუძველზე სკოლის დირექცია განსაზღვრავს გაუმჯობესების გზებს და შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
   სკოლაში შექმნილია მართვის ერთიანი სისტემა. ფუნქციონირებს სხვადასხვა ორგანიზაციული სტრუქტურა, რომლებიც ურთიერთთანამშრომლობით ხელს უწყობენ სკოლაში შექმნილი მართვის ერთიანი სისტემის დამკვიდრებასა და განვითარებას. საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებაში ჩართულია თითოეული სტრუქტურული ორგანო, რომელთა ერთობლივი მუშაობით, მათი კომპეტენციის ფარგლებში ხდება სასწავლო პროცესზე ზრუნვა და

პროცესის წარმართვა შეუფერხებლად. სკოლას აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, მასწავლებლის კარიერული წინსვლისა და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. თითოეული ორგანიზაციული სტრუქტურა ხელმძღვანელობს კანონმდებლობით დადგენილი წესის, კერძოდ, „ზოგადი განათლების შესახებ"საქართველოს კანონის, სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების ერთობლივი ძალისხმევით ხდება სკოლის მმართველობითი საქმიანობის ეფექტურად წარმართვა. სკოლის მიერ წარმოდგენილ ხელშეკრულებებში, ბრძანებებში განსაზღვრულია ის პირები, რომლებიც ახორციელებენ კონკრეტულ საქმიანობებს. მაგ: ბრძანება დირექტორის მოადგილის დანიშვნაზე, ბრძანება - მრჩეველთა საბჭოს შექმნაზე, რომელშიც განსაზღვრულია პირები, შესაბამისი უფლებები და მოვალეობები, პასუხისმგებლობები. ასევე სამოქმედო გეგმაში ჩანს, კონკრეტულ საქმეზე პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. აღნიშნულის განხორციელების დროს სკოლა, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნება სკოლის შინაგანაწესს, სადაც დეტალურად არის აღწერილი სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომების სახეები, დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში მასზე რეაგირებისა და დისციპლინური სახდელის დაკისრების წესი/პირობები. ამასთანავე, „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების", საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბერის №167/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის" შესაბამისად, სკოლაში მოქმედებს სკოლის დისციპლინური კომიტეტი, რომელიც განიხილავს თავისი კომპეტენციის ფარგლებში დისციპლინური გადაცდომის შემთხვევებს და ახდენს სათანადო რეაგირებას. სკოლის დირექტორი აქტიურადაა ჩართული საჩივრების განხილვის პროცესში იმ შემთხვევებში, რომელთა განხილვაც არ განეკუთვნება დისციპლინური კომიტეტის უფლებამოსილებას. დირექტორი განიხილავს და ახდენს კანონითა და შინაგანაწესით გათვალისწინებულ რეაგირებას. ამასთანავე, საჩივრების განხილვის პროცესში სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების წესების სრული დაცვით.

სკოლის შინაგანაწესში არის მუხლი 22. განცხადების განხილვისა და გასაჩივრების წესი. რომელიც გულისხმობს სკოლაში შესული განცხადება/საჩივრის რეგისტრაციაში გატარების შესახებ და მათზე რეაგირება უნდა მოხდეს კანონმდებლობის შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა:

სასურველია სკოლამ ცალკე დოკუმენტად შეიმუშავოს გასაჩივრების წესი.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლა თანამშრომლობს სსიპ მანდატურის სამსახურთან, რომლის უპირველეს მიზანს წარმოადგენს სკოლაში უსაფრთხოებისა და მოსწავლეთა, ასევე, პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა. სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი დისციპლინური გადაცდომები და სახდელის ზომები. სკოლას საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ შესაბამისად, შემუშავებული აქვს ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. აღნიშნული ინსტრუქციის დაცვაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ სკოლაში დასაქმებული მანდატურები. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვას. გამოყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მისი მონიტორინგის მექანიზები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- საშტატო განრიგი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი დისციპლინური კომიტეტის არჩევაზე;
- პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მისი მონიტორინგის მექანიზმები;
- სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

   სკოლის დირექციის, დამრიგებლების, მასწავლებლების მიერ სისტემატიურად ხდება სასკოლო საზოგადოების ინფორმირება სკოლაში მიმდინარე პროცესებზე. სკოლის სოციალური ქსელში მუდმივად ხდება სიახლეების განთავსება. თითოეულ კლასს შექმნილი აქვს შიდა ჯგუფი, სადაც გაერთიანებული არიან აღნიშნული კლასის მოსწავლეები და მათი მშობლები, მასწავლებლები და დირექციის წევრები, რის საშუალებითაც კლასთან და სკოლასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება ხდება. ელექტრონული ჟურნალის საშუალებით მშობლები იღებენ საკუთარი შვილის აკადემიური შედეგების, საგაკვეთილო პროცესზე დასწრებისა და ქცევის შესახებ ინფორმაციას. მშობელთა კრებებზე ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რეკომენდაციების, შემოთავაზებების მიღება ვითარების გაუმჯობესების მიზნით. სკოლის ადმინისტრაცია იღებს უკუკავშირს, აანალიზებს და რეაგირების მიზნით შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. სამეურვეო საბჭოს სხდომებზე წევრი მშობლები აქტიურად არიან ჩართული სკოლის მართვის პროცესებთან დაკავშირებულ განხილვაში. მათი მხრიდან მოცემული უკუკავშირი არის ორიენტირებული თანამშრომლობაზე და არსებული ვითარების გაუმჯობესებაზე.

   მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში(მუხლი 3. პუნქტი1.3.) გათვალისწინებულია სკოლის ვალდებულება მშობელის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

სკოლაში მოქმედ კოლეგიურ ორგანოებში, სამეურვეო, პედაგოგიურ და მრჩეველთა საბჭოებში, ასევე დისციპლინურ კომიტეტში, გაერთიანებული არიან სასკოლო საზოგადოების წევრები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ მათ საქმიანობაში. სკოლის სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში არიან მშობლები, მასწავლებლები და საშუალო საფეხურის თვითმმართველობის თავმჯდომარე. დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში შედის თანაბარი რაოდენობით მშობელი, მასწავლებელი, მოსწავლე(საშუალო საფეხური). ისგ ჯგუფებში, ჩართულები არიან მშობლები. პედაგოგიურ საბჭოში ყველა მასწავლებელია გაერთიანებული, მრჩეველთა საბჭოში- დირექტორის მოადგილე, მანდატური, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე. დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლისათვის მეტად მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობა და აღნიშნული მიმართულებით დაგეგმილია მრავალფეროვანი აქტივობები, მათივე ინტერესებიდან გამომდინარე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება.
- სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის განხორციელებული აქტივობები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
   სკოლაში საშტატო განრიგის მიხედვით დასაქმებულია 1 ექიმი და 1 ექთანი. სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელშიც გაწერილია პირველადი სამედიცინო დახმარების პროცედურები და აღჭურვილია ყველა შესაბამისი რესურსითა და მედიკამენტით. სკოლას შემუშავებული და შეთანხმებული აქვს საგანგებო სიტუაციების სამოქმედო გეგმა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოებას. სკოლას ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში შექმნილია საგანგებო შტაბი და შემუშავებულია საგანგებო სიტუაციების მართვისა და საევაკუაციო გეგმები.
   სკოლას არ აქვს სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობა. ვიზიტის დროს სკოლაში მიმდინარეობდა სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები, რომლის დასრულების შემდეგაც სკოლის დირექტორთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოწვეული იქნება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად. შესაბამისობის გეგმის წარმოდგენის დროს სკოლამ წარმოდგინა დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობასთან დაკავშირებით.
   ვიზიტის პერიოდში სკოლას გაკეთებული ჰქონდა განაცხადი ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის მიზნით, თუმცა არ ჰქონდა მოპოვებული დასკვნა.

შესაბამისობის გეგმის წარმოდგენის დროს სკოლამ წარმოდაგინა შენობა-ნაგებობის დასკვნა ტექნიკური მდგომარეობის შესახებ, რითაც დასტურდებოდა შენობის ექსპლუატაციისათვის ვარგისიანობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ჩევა:

სკოლაში არსებული მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად, საშტატო განრიგით განისაზღვროს ექიმის 2 შტატი.

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების'' შესაბამისად, ზრუნავს მოსწავლეთა სასკოლო უსაფრთხოებაზე. ამ მიზნით აწყობს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს, სადაც ხდება მოსწავლეთა უფლებებისა და წესების, ასევე, სკოლის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობა ყველა მოსწავლისთვის. სკოლაში სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო შეხვედრები ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: მშობლის როლი ბავშვის განათლებასა და აღზრდაში, შვილთან ეფექტური კომუნიკაცია, ნაადრევი ქორწინება და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე და ასე შემდეგ. სკოლას ჰყავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. ამ მიზნით სკოლაში მოქმედებს ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისათვის შიდა ინსტრუქცია. აღნიშნულის თანახმად, მოსწავლეზე ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ემოციური, ეკონომიკური და ა.შ. ძალადობის ნიშნების შესახებ ეჭვის გაჩენის შემთხვევაში ხდება მოსწავლესთან გასაუბრება. ასევე, სკოლის მიერ განსაზღვრული რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი ახდენს აღნიშნული მოსწავლის რეფერირებას, რის შემდეგაც ხდება ფსიქოლოგიის სამსახურის მიერ მოსწავლესთან დაკავშირება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება. ამასთანავე, სკოლას ჰყავს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები: სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, პირადი ასისტენტი და ა.შ. რომლებიც უზრუნველყოფენ განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფის სსსმ მოსწავლეების ემოციურ, ფსიქოლოგიურ სტაბილურობასა და

უსაფრთხოებას. სკოლის დამრიგებლების მიერ ხდება სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლეთათვის ინფორმაციის მიწოდება, რათა იზრუნონ ერთმანეთის უსაფრთხოებაზე. სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი და მანდატური, რომლებიც ,ასევე, ზრუნავენ სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. ამ მიზნით სკოლის დამლაგებლებს დავალებული აქვთ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის დასუფთავება, ისინი დაკისრებულ ფუნქციას ასრულებენენ და ასუფთავებენ სასკოლო სივრცეს. სკოლის სანიტარული-ჰიგიენური ნორმების დაცვის მონიტორინგს ახორციელებს დირექცია და სკოლის მედპერსონალი. სკოლაში გამოკრულია სანიტარული კვანძების დასუფთავების აღრიცხვის ფურცელი. სკოლას სანიტარული-ჰიგიენური სისტემის გამართულობის მიზნით აქვს ხელშეკრულება დადებული სანტექსერვისთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული არის პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მისი მონიტორინგის მექანიზმები. დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებსა და სხვა ნებისმიერ პერსონალური მონაცემების მიმღებზე. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი პერსონალური მონაცემების დაცვის, დამუშავების წესი, დამუშავების პრინციპები, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნები, ელექტრონული პროგრამის გამოყენების შემთხვევაში პერსონალური მონაცემების დაცვის წესი, პერსონალური მონაცემების დაცვის წესი მატერიალური თუ ელექტრონული ჟურნალის გამოყენების შემთხვევაში, ვიდეოთვალთვალის განხორციელების დროს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი, მონაცემების დაცვის წესი შენობაში შესვლისა და გასვლის დროს, მონაცემების დაცვის წესი ელექტრონული ფოსტისა თუ ტელეფონის ნომრის გამოყენების დროს, ასევე განსაზღვრულია მონაცემების დაცვის წესი პირადი საქმეებისა თუ ელექტრონული ბაზების წარმოების დროს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი. სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს სკოლის დირექტორს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვას. სკოლა თანამშრომლოს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრთან, რომლის ფარგლებშიც სკოლას ემსახურება ცენტრის აიტის სპეციალისტი. აღნიშნული პირი უზრუნველყოფს, სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე, სკოლის ინტერნეტ ქსელის ადმინისტრირებას. უზრუნველყოფს სკოლის კომპიუტერულ ბაზაში იმგვარი ანტივირუსების ჩაწერას, რომელთა მეშვეობითაც უზრუნველყოფილია სკოლის ქსელში ჩართული კომპიუტერული ბაზის კიბერბულინგისგან დაცვა. კომპიუტერულ ბაზაში ინახება სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, შესაბამისად, მის დაცვას უზრუნველყოფს სწორედ შიდა ქსელის გამართულად ფუნქციონირება. სკოლის მრჩეველთა საბჭოსა და დირექციის მიერ ტარდება აქტიური კამპანია სკოლის მოსწავლეებსა და თანამშრომლებისათვის კიბერბულინგის, ინტერნეტ საფრთხეების შესახებ, რათა მაქსიმალურად დაცულნი იყვნენ სკოლაში არსებული ინფორმაციის უკანონოდ გავრცელებისგან. კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებისას შექმნილი პრობლემების დროს მყისიერად ხდება დაკავშირება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან, რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალურად მოკლე დროში პრობლემის მოგვარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

სკოლას განსაზღვრული ჰყავს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, ასევე, შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, გეგმა განსაზღვრავს შესაძლო საგანგებო სიტუაციების შედეგების თავიდან აცილების ან შემცირების ღონისძიებების მოცულობას, ვადებს, ორგანიზებისა და განხორციელების წესს. ასევე, სკოლას აქვს საგანგებო შტაბის წევრების შეტყობინების სქემა, სადაც მითითებულია პასუხისმგებელი პირები და მათი საკონტაქტო ინფორმაცია. სკოლის ყველა სართულზე კანონით დადგენილი წესით განთავსებულია დატუმბული ცეცხლმაქრები, გამოკრულია საევაკუაციო გეგმა და ცეცხლმაქრების გამოყენების წესი. მრჩეველთა საბჭო, განიხილავს საკითხებს, რომლებიც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან და უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული; მსჯელობს ღონისძიებებზე, პრევენციულ ნაბიჯებზე, რომლებიც ხელს შეუწყობს უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებას; ისმენს და განიხილავს დირექტორის მოხსენებებს აღნიშნულ საკითხებზე, რაც ასახულია მრჩეველტა საბჭოს სხდომის ოქმებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვიდეოსათვალთვალო კამერები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- საგანგებო სიტუაციების სამოქმედო გეგმა;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება, ოქმები;
- რეფერირების შიდა წესი და პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება;
- სანიტარული კვანძის დასუფთავების აღრიცხვის ფურცელი;
- პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;
- საგანგებო შტაბის შექმნისა და რეაგირების გეგმის ბრძანება;
- სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება;
- სახანძრო უსაფრთხოების მიწერილობა
- საევაკუაციო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

   სკოლას სარგებლობაში აქვს გადაცემული 14783 კვ.მ ფართი მიწის ნაკვეთი, რომელზე მდგომი სკოლის შენობა-ნაგებობის საერთო ფართი შეადგენს 6168,94 კვ.მ.

   სკოლის უსაფრთხოება უზრუნველყოფილია ვიდეოსათვალთვალო სისტემით. სკოლა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიითა და თანამედროვე რესურსებით (კერძოდ, ციფრული ტექნოლოგიების აღჭურვილობით-ჭკვიანი დაფები და პროექტორები, ვირტუალური ლაბორატორიები). სკოლას აქვს- 45 საკლასო ოთახი, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, რესურსოთახი, და ღია სპორტული მოედანი. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეების გადაადგილებისთვის საჭირო მექანიზმი. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სადაც დაცული წიგნადი ფონდით სარგებლობა შეუძლია, როგორც სკოლის პერსონალს, ასევე, მოსწავლეებს. ბიბლიოთეკას გააჩნია ელექტროკატალოგი, ელექტრონული რესურსების ბაზა და ჟურნალი.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

   სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი, სადაც გაწერილია სასკოლო სივრცეების გამოყენების წესები (ლაბორატორია, კომპიუტერული ლაბორატორია, სპორტული სივრცეები, მუსიკის კაბინეტი, უცხო ენების კაბინეტი, რესურსოთახი, ბიბლიოთეკა). სკოლის ინფრასტუქტურის სივრცეები ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. ეზოში მოწყობილია რეკრეაციული სივრცე. სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელშიც გაწერილია პირველადი სამედიცინო დახმარების პროცედურები და აღჭურვილია ყველა შესაბამისი რესურსითა და მედიკამენტით.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლების ინკლუზიურ გარემოს.

   კერძოდ, მოსწავლე სკოლის მიერ უზრუნველყოფილია ინდივიდუალური სასწავლო ინვენტარით. თითოეული მოსწავლისათვის გამოყოფილია ინდივიდუალური მერხი და სკამი, სასწავლო წიგნები. სკოლა აღჭურვილია სათანადო ინფრასტრუქტურით, არის კეთილმოწყობილი საპირფარეშოები. ასევე, ადაპტირებული საპირფარეშო შშმ პირთათვის. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეების დაუბრკოლებლად გადაადგილებისათვის სათანადო პანდუსი და ამწე მოწყობილობა. სასკოლო საზოგადოებას აქვს სრული ხელმისაწვდომობა ინფრასტრუქტურულ ერთეულებზე. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

   სკოლას აქვს სააქტო დარბაზი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ღონისძიების, კონფერენციების, კონკურსებისა და ინტელექტუალური ვიქტორინებისათვის. სააქტო დარბაზში იმართება პროექტების პრეზენტაციები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან, კინოჩვენებები, რაც ხელს უწყობს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. ასევე, სკოლას აქვს შიდა და გარე სპორტული მოედნები, სადაც უზრუნველყოფილია მოსწავლეთა მხრიდან სხვადასხვა სპორტულ აქტივობაში მონაწილეობის საშუალება. სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობა შესაძლებელი 9:00 საათიდან, თუმცა 14:00-17:00 საათამდე მოსწავლეებს შეუძლიათ ბიბლიოთეკაში მუშაობა, როგორც ინდივიდუალურად ასევე ჯგუფებში. აქვთ წაიკითხონ მათთვის საინტერესო წიგნები.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსები, სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელშიც არსებული წიგნადი ფონდი წარმოადგენს სკოლის საკუთრებას. ბიბლიოთეკაში განთავსებულია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა საგნის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ენციკლოპედიები, ილუსტრირებული მასალები გამოჩენილი ადამიანების ცხოვრებიდან, დამხმარე სახელმძღვანელოები, პერიოდიკა და ა.შ. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის გამოყენების წესი (დებულება). ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების თითოეული ეგზემპლიარი დამუშავებულია სათანადო წესით და მინიჭებული აქვს საინვენტარო ნომერი. სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც განთავსებულია ბიბლიოთეკაში, აქტიურად გამოიყენება მოსწავლეთა განვითარებისათვის.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ფართის ფლობის შესახებ;
- განაცხადი ლ.სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში;
- წიგნადი ფონდის ელექტრონული კატალოგი;
- მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი;ბიბლიოთეკის დებულება;
- წიგნების გადაცემის აქტები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- ელექტრონული სასწავლო რესურსები;
- შენობა-ნაგებობის გეგმა;
- პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
   სკოლა უზრუნველყოფილია ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურით. სკოლის ბალანსზე ირიცხება 39 კომპიუტერი, 24 ლეპტოპი, 7 პროექტორი. სკოლაში მოწყობილია კომპიუტერული ლაბორატორია, რომელსაც სასწავლო მიზნებისათვის იყენებენ მოსწავლეები და მასწავლებლები. სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენება ხდება ვირტუალური ლაბორატორიისათვის. კომპიუტერულ ლაბორატორიაში პედაგოგებს შეუძლიათ მოიძიონ მათთვის საჭირო ელექტრონული რესურსები, მრავალფეროვანი მასალები გაკვეთილების ეფექტურად დაგეგმვისათვის. მოსწავლეებს შეუძლიათ გაკვეთილის მომზადების მიზნით ისარგებლონ კომპიუტერული ლაბორატორიით. გარდა ამისა სკოლა სარგებლობს გამართული ელექტრონული ხელმოწერით. ე.წ.“ტოკენი“-ის საშუალებით.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. სკოლის პერსონალს ეძლევა შესაძლებლობა პროფესიული განვითარებისთვის გამოიყენოს სასკოლო ინვენტარი და მათ შორის კომპიუტერული ბაზა. სკოლა უზრუნველყოფილია ინდივიდუალური კომპიუტერებით, რომელთა გამოყენებაც მასწავლებლებს შეუძლიათ საჭიროებისამებრ, გაკვეთილების დაგეგმვისა და ჩატარების მიზნით. ასევე, სკოლაში განთავსებულია პროექტორები, რომელთა გამოყენებაც სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ მასწავლებლებს. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობენ მოსწავლეებიც სასწავლო მიზნებისათვის. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, სადაც გათვალისწინებულია რესურსების გამოყენება. სკოლას აქვს კომპიუტერების გამოყენების, კერძოდ, ციფრული განვითარების გეგმა. კომპიუტერულ ლაბორატორიაში მოსწავლეებისთვის განკუთვნილი მუშაობის გრაფიკი საშულებას იძლევა სხვადასხვა დავალებებისა და პროექტების შესრულებისა და განხორციელების ხელშეწყობის მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- სკოლის ციფრული განვითარების გეგმა.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
   სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი. საქმისწარმოება ხდება eflow-ს მეშვეობით, სადაც აღირიცხება შემოსული და გასული დოკუმენტაცია, რეგისტრაციაში ტარდება თითოეული განცხადება, რომელსაც ენიჭება ინდივიდუალური ნომერი და თარიღი, იტვირთება ბრძანებები. ბრძანებები ინახება მატერიალური ფორმატითაც. სკოლაში გაყოფილია საკადრო და საერთო ბრძანებები, სადაც რიგითობის მიხედვით ენიჭება თითოეულ ბრძანებას ინდივიდულური ნომერი. სკოლაში მიმდინარეობს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი, სადაც ყოველი კალენდარული წლის მიხედვით თანმიმდევრულად ინომრება ხელშეკრულებები და ტარდება სარეგისტრაციო ჟურნალში.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
   სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის ელექტრონული საქმისწარმოებისათვის. კერძოდ, საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონული ფორმით. მოქმედებს eflow-ს სისტემა, სადაც ხდება ყოველი შემოსული და გასული დოკუმენტაციის გატარება, ასევე, მოხსენებითი ბარათების ატვირთვა. იტვირთება თითოეული ბრძანება, რაც გამოიცემა სკოლაში. Eschool-ის სისტემის გამოყენებით ხორციელდება მოსწავლეთა მობილობის პროცესი, ჩარიცხვა, სტატუსის შეჩერება და სხვა. ასევე ბაზაში არის ინფორმაცია, თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების შესახებ. ბაზაში განტავსებულია საგაკვეთილო განრიგი/ცხრილი, სამეურვეო საბჭოს არცევნების შედეგები, ხარისხის ჯგიფის შემადგენლობა, სახელმძღვანელოები და ა.შ. სკოლაში მოქმედებს სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, სადაც ხდება ინფორმაციის გაცვლა. სკოლა აღჭურვილია გამართული კომპიუტერული ტექნოლოგიით.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
   სკოლას აქვს ზოგადი განათლების მართვის სისტემაში სრულყოფილი პროფილი, რომელშიც სრულად არის ასახული მონაცემები სკოლის პერსონალისა და მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების შესახებ. ასევე, წარმოდგენილია სკოლის კარიერული წინსვლისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფისა და მასწავლებლობის

მაძიებლისათვის განსაზღვრული ტუტორის შესახებ ინფორმაცია. პროფილის განახლება ხდება უწყვეტ რეჟიმში. განხორციელებულია საგნების განაწილება, შედგენილია ცხრილები, არჩეულია სახელმძღვანელოები, დაწესებულება კანონდმებლობით დადგენილ ვადებში უზრუნველყოფს ინფორმაციის ასახვას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.
   სკოლის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულება დროულად აწვდის უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. შემოსული განცხადებ თუ წერილი სკოლის დირექტორის მიერ ეწერება შესაბამის უფლებამოსილ პირს შემდგომი რეაგირებისათვის, რომელსაც განესაზღვრება ინფორმაციის დირექტორისათვის წარდგენის ვადა. წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე ხდება შესაბამისი რეაგირება.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- სკოლის Eschool-ის ბაზა;
- სკოლის eFlow-ს გვერდი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
   სკოლას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი https://cutt.us/Li1Dg სკოლების პორტალზე https://skolebi.emis.ge/, ასევე საზოგადოების ინფორმირებასა და კომუნიკაციას ოფიციალური სოციალური ქსელის https://www.facebook.com/profile.php?id=100083492824872 მეშვეობით ახორციელებს.
   თანამშრომელთა და მოსწავლეთა აქტივობების განთავსებასა და გავრცელება ხდება სოციალური გვერდის საშუალებით. სკოლას გამოყოფილი ჰყავს სკოლის ვებ-გვერდისა და სოციალური გვერდის მართვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს გვერდის ადმინისტრირებას. მაგ: სისტემატიურად ხდება ინფორმაციის მიწოდება პირველკლასელთა რეგისტრაციის თაობაზე, პირველ რიგში დარეგისტრირების ვადების შესახებ. ასევე ვრცელდება ინფორმაცია დაგეგმილი აქტივობებისა და რონისძიებების შესახებ.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
   სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია შეესაბამება სკოლაში არსებულ რეალობას და, საჭიროების შემთხვევაში, სკოლას აქვს მისი დოკუმენტური დადასტურების საშუალება. მოქალაქის მომართვის შემთხვევაში სკოლაზე

განცხადებით, ინფორმაციის გამოთხოვების შესახებ. იწყება ინფორმაციის მოძიების პროცესი, რაზეც პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. სკოლის სოციალურ გვერდზე მიწოდებული ინფორმაცია კონტროლდება სკოლის სოციალურ ქსელზე პასუხისმგებელი პირის მიერ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

   სკოლას განსაზღვრული ჰყავს სოციალური ქსელის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი. აღნიშნული პირი უზრუნველყოფს დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციას, სოციალური ქსელიდან შემოსული ინფორმაციას დირექციას გადასცემს. სკოლა უზრუნველყოფს შემოსული ინფორმაციის გათვალისწინებას შემდგომ საქმიანობაში. დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის გასაზრდელად ჩატარდა გამოკითხვა, თუ რა აქტივობით შეეძლოთ მონაწილეობის მიღება სასკოლო ცხოვრებაში. აღნიშნული გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე დაიგეგმა ახალი გამოკითხვა, რომლის მიზანიც თემების და საკითხების განსაზღვრა იყო, რომელთა შესახებაც სურთ ინფორმაციის მიღება მშობლებს.

   საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის თვითშეფასებისათვის და მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად. სკოლის საქმისმწარმოებელი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა Eflow-უთი, მართვის საინფორმაციო სისტემა eschool-ით შემოსულ ინფორმაციას სისტემატურად აწვდის ადრესატს და დაინტერესებულ პირებს.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

   სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სახელმწიფო ენაზე. სკოლა აქვს ვებ-გვერდი, სადაც ინფორმაცია ქართულ ენაზეა განთავსებული და აღნიშნული გვერდის ნახვის შესაძლებლობა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, შესაბამისად, შეუძლიათ მათთვის საინტერესო ინფორმაციის მოძიება.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.
   სკოლას აქვს ვებ-გვერდი, სადაც ხელმისაწვდომია სკოლის შესახებ სრულყოფილი საჯარო ინფორმაცია. ინფორმაცია სკოლის შესახებ, მოსწავლეთა რაოდენობა, მისამართი, სტრატეგიული განვითარების გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სკოლის სტრუქტურა, პროგრამის სახელწოდებები კლასების მითითებით, ელ.ფოსტა, მოსწავლეტა ქცევის კოდექსი, სკოლის შინაგანაწესი, ინფორმაცია ინფრასტრუქტურის შესახებ.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სოციალური გვერდი https://www.facebook.com/profile.php?id=100083492824872 ;
- ვებ-გვერდი https://cutt.us/Li1Dg ;
- საჭიროებების კვლევის კითხვარები და ანალიზი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება.
   სკოლა იღებს სახელმწიფო დაფინანსებას ვაუჩერის სახით. ასევე სკოლას აქვს ეკონომიკური შემოსავლები იჯარის ფორმით გაცემული ფართებიდან. სკოლა ყოველწლიურად შეიმუშავებს ბიუჯეტს, რომელსაც ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სამეურვოე საბჭოს 2022 წლის 9 დეკემბრის N13 ოქმში წარმოდგენილია 2022 წლის ფინანსური ანგარიშის, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ანგარიშის განხილვა და 2023 წლის ბიუჯეტის განხილვა. სკოლას შემუშავებული აქვს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შესყიდვების გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. სკოლის მიერ შემუშავებულია შესყიდვის განხორციელების წესი, განსაზღვრულია გვყავს შესყიდვების კოორდინატორი, რომელსაც ევალება შესყიდვის პროცედურებთან დაკავშირებული მოთხოვნების სწორად განხორციელება. ასევე, განსაზღვრულია გეგმის კორექტირებაზე პასუხისმგებელი პირიც, ვინც ახორციელებს საჭიროების შემთხვევაში ცვლილებასა და გეგმის კორექტირებას. შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე, კეთდება დასკვნა, რომ სკოლა ფინანსური რესურსით უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელებას.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) ეფექტიანი სისტემა.
   სკოლაში დამტკიცებული აქვს 2023 წლის ბიუჯეტი (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N13, 09/12/2022), რომლის მიხედვითაც ხდება სკოლის მიერ ფინანსური რესურსის ხარჯვა. დამტკიცებულ ბიუჯეტში შემოსავლების ზრდისა თუ შემცირების ცვილებების შემთხვევაში იგივე პროცედურების უზრუნველყოფიტ ხდება ბიუჯეტის ცვლილების დამტკიცება სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლას აქვს შემუშავებული სახელმწიფო შესყიდვების გეგმა. აღნიშნული გეგმის შემუშავება ხდება ბაზრის კვლევის საფუძველზე. ამასთანავე, შესყიდვების გეგმის ცვლილების შემთხვევაში ხდება აღნიშნული ცვლილების ბრძანებით დამტკიცება და ცვლილების ელექტრონულ EPLAN-ის ბაზაში ასახვა. ამასთანავე, სკოლაში ყოველწლიურად ტარდება ფინანსური და მატერიალური ინვენტარიზაცია. სკოლის დირექტორი, კანონმდებლობის შესაბამისად, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წინაშე წარადგენს და აცნობს ანგარიშს ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი(N13; 09/12/2022);
- ბრძანება შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ;
- იჯარით გაცემული ფართის დოკუმენტაცია;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

   სკოლაში შემუშავებულია შინაგანაწესი, სადაც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, მათ დარღვევაზე პასუხისმგებლობის ფორმები. სკოლაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად, შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის და მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის მოსწავლეთა უფლებებისა და მოვალეობების, დარღვეული უფლების აღდგენისა და დაცვის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რომლიც, თავის მხრივ, წარმოადგენს მოსწავლეთა უფლების დაცვის გარანტიას. სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში მრჩეველთა საბჭოს წევრები აწყობენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან, მათვის ხდება მოსწავლეთა უფლებებისა და წესების, ასევე სკოლის საგაგნებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობა. ასევე მრჩეველთა საბჭოს წევრები სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ აწარმოებენ მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას შემდეგ საკითხებზე: ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინაამღდეგ; დისკრიმინაციის წინაამღდეგ; ბულინგისა და კიბერბულინგის წინაამღდეგ; ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. აწყობენ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო შეხვედრებს შემდეგ საკითხებზე: მშობლის როლი ბავშვის განათლებაში და აღზრდაში; შვილებთან ეფექტური კომუნიკაცია; ძალადობა და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე; ბულინგი, კიბერბულინგი და მათი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე; მშობლის ჩართულობის ამაღლება მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში.

   სკოლაში დამტკიცებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, ასევე, განსაზღვრულია რეფერირების პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც შიდა წესის შესაბამისად, უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვას. სკოლაში შექნილია დისციპლინური კომიტეტი და სამეურვეო საბჭო. სკოლის თანამშრომლის ან მოსწავლის მიერ მოსწავლის უფლებების დარღვევის შემთხვევაში დაიწყება ადმინისტრაციული წარმოება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და დარღვევის დადასტურების შემთხვევაში შესაბამის პირს ეკისრება დისციპლინური სახდელი. აღნიშნული ტიპის წარმოების მაგალითი ბოლო 3 წლის განმავლობაში სკოლაში არ ფიქსირდება.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფაზე, ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. მშობელთა კრებებზე ხდება შინაგანაწესის გაცნობა, მშობელთან და სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში შეტანილია შინაგანაწესის გაცნობის აუცილებლობა, რაც ხელისმოწერით დასტურდება. სკოლის საიტზე გამოქვეყნებულია აღნიშნული დოკუმენტი. შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს და დაინტერესებულ პირს აქვს საშუალება რეგულაციების გაცნობის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

   სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება. კლასის დამრიგებელი წინასწარ აცნობს მშობელს ხელშეკრულებას და საჭიროების შემთხვევაში განუმარტავს მისთვის გაურკვეველ საკითხს. ასევე საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა სკოლის დირექციის ჩართვის. ხელშეკრულებაში გაწერილია სკოლის უფლებები და მოვალეობები, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლების უფლებები და მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და მოვალეობები, მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების გამოყენების წესი.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ბრძანება უკონტაქტო დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ;
- ბრძანება პერსონალურ ინფორმაციათა დაცვის მარეგულირებელი წესისა და მონიტორინგის მექანიზმების შესახებ;
- ბრძანება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირება) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ;
- სკოლის პედსაბჭოს ოქმი შინაგანაწესის გაცნობის შესახებ;
- მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება;
- მოსწავლეთა ქცევის კოდექსი;
- https://www.facebook.com/profile.php?id=100083492824872

- https://skolebi.emis.ge/, https://cutt.us/Li1Dg

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
   სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. აღნიშნული წესი არეგულირებს სკოლაში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურებს. დოკუმენტი ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს: სკოლაში პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვა, რეგისტრაცია და მისი ეტაპები; სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და ჩარიცხული მოსწავლეების შესახებ მონაცემების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვა; მოსწავლის სტატუსის შეჩერება; მოსწავლის შეჩერებული სტატუსის აღდგენა; მოსწავლეთა მობილობის წესი; მობილობისას განსახორციელებელი პროცედურები; მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა; მოსწავლის პარალელური

კლასიდან სხვა პარალელურ კლასში გადასვლა; პასუხისმგებლობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემების სისწორეზე; სსიპ ქალაქ თბილისის N 71 საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის წესში ცვლილების შეტანა. აღნიშნული დოკუმენტი თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

   სკოლის დირექციასთან საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით, eFlow-ის სისტემისა და Eschool-ის ბაზების შესწავლით დგინდება, რომ მოსწავლეთა ჩარიცხვა ხდება მოსწავლეთა განსაზღვრული რაოდენობის შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში დამატებით მოთხოვნა ეგზავნება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. მოსწავლის სტატუსის შეჩერების პროცედურა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება. სტატუსის შეჩერების შემთხვევების შედეგად დგინდება, რომ ყველა შემთხვევა ბოლო 3 წლის განმავლობაში მოსწავლის საზღვარგარეთ წასვლის მიზეზით ხდებოდა. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, რომლებსაც საგნის წლიური ქულა გამოსდით ,,5''-ზე ნაკლები, ენიშნებათ საშემოდგომო გამოცდა. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, სასწავლო წლის განმავლობაში კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტის გაცდენის გამო ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ენიშნებათ მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა. ორივე შემთხვევაში საგამოცდო კომისიის შემადგენლობა განსაზღვრულია დირექტორის ბრძანებით. გამოცდების შედეგები ფორმდება საგამოცდო კომისიის ოქმით და გამოცდის შედეგები მტკიცდება დირექტორის მიერ, ბრძანებით.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა მიმართულების კლუბი: სამოქალაქო განათლების, დებატების, ეკოკლუბი, სპორტის, ფრანგულის, ინტერდისციპლინარული, კინოკლუბი. სკოლას შემუშავებული აქვს კლუბების დებულებები, სადაც გაწერილია რას ემსახურება თითოეული კლუბი და რა მიზნებისთვისაა შექმნილი.

მოსწავლეებს მე-5 კლასიდან უფლება აქვთ აირჩიონ მეორე უცხოური ენა (ფრანგული, რუსული), საშუალო საფეხურის მოსწავლეებს - მესამე უცხოური ენა (იტალიური, თურქული).

ყველა დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა წინასწარ გაეცნონ არსებულ შეთავაზებებს. ასევე სასწავლო წლის დასასრულს ხდება მეხუთე კლასში გადამსვლელი მოსწავლეების მშობლების გამოკითხვა მეორე ენის არჩევის შესახებ. ხოლო საბაზო საფეხურის დასრულების დროს მესამე უცხო ენის არცევის შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლის მიერ შეთავაზებული ყველა აქტივობა, რესურსი ისე არის შემუშავებული, რომ არ შეილახოს მოსწავლის უფლებები და არ იყოს დისკრიმინაციული. ეს ინფორმაცია სკოლას განთავსებული აქვს სოციალურ ქსელში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023 ს.წ; 2023-2024 ს. წ.(პროექტი);
- ბრძანება მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების შესახებ;
- ბრძანებები საშემოდგომო გამოცდის შედეგებისა და ექსტერნატის ფორმით დაძლევის შესახებ;
- სკოლის შინაგანაწესი;
- მშობელთა კრების ოქმი უცხოური ენის არჩევის შესახებ.
- https://www.facebook.com/profile.php?id=100083492824872
- https://skolebi.emis.ge/, https://cutt.us/Li1Dg

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
   სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი. არსებული წესის გამოყენება გათვალისწინებულია პირველ კლასში და მობილობით ჩარიცხული მოსწავლეების ხელშეწყობისათვის და იმ მოსწავლეების ვისაც შეიძლება შეექმნას სასკოლო პროცესთან ადაპტაციის პრობლემები. აღნიშნული წესი მოიცავს

შემდეგ მუხლებს: მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპი და მნიშვნელოვანი ფაქტორები; დეზადაპტაციის ნიშნები; დეზადაპტაციის პროცესისას განსახორციელებელი ღონისძიებები; წარმატებული ადაპტაციის ნიშნები; რეკომენდაციები მოსწავლის წარმატებული ადაპტაციისას; წესის გაცნობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

   სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ზრუნავს მოსწავლეთა ადაპტაციაზე სასწავლო გარემოსთან. პირველკლასელთათვის ეწყობა ღონისძიება, სკოლის დათვალიერება.

   კლასის დამრიგებლები აწვდიან ინფორმაციას დაგეგმილი აქტივობების შესახებ, ესაუბრება მათ უფლებებსა და მოვალეობებზე. დამრიგებელი მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას, რომ მაქსიმალურად არის მხარდაჭერილი მათი ინიციატივები და ხელი შეეწყობათ მათი ინტერესების შესაბამისად საკლუბო აქტივობებისა დაგეგმვასა და განხორციელებაში. სკოლაში ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია ნებისმიერი თავისუფალი სივრცე, სადაც მათ შეუძლიათ ინოვაციური იდეების, ინიციატივების შესახებ მსჯელობა, გაანალიზება, შემდეგ კი დაგეგმვა და რეალიზება. ამასთანავე, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეების სხვადსხვა პროექტის ფარგლებში შესაბამისი რესურსის გამოყოფას.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

   მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. მასწავლებლები სკოლის მოსწავლეს აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რის საშუალებითაც მოსწავლეს ეხმარება შედეგების გაუმჯობესებაში. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლები გეგმავენ(სკოლის დირექციასთან შეთანხმებით) და ატარებენ ინდივიდუალურ შეხვედრებს მოსწავლეებთან. ექსტერნების შემთხვევაში ყველა საგამოცდო საგანში მოსწავლე უზრუნველყოფილია კონსულტაციის მიღების შესაძლებლობით, ანალოგიურია საშემოდგომო ან/და წლიური გამოცდების შემთხვევაში. დიაგნოსტიკური ტესტების ჩატარების შემდეგ კეთდება ანალიზი, დგინდება მოსწავლეთა ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
   საქმის მწარმოებელთან, დირექციასთან გასაუბრებით, Eflow სისტემის დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ მშობლის მიერ წარმოდგენილ განცხადებებზე (სხვა სკოლაში გადაყვანა, სკოლაში ჩარიცხვა, მოსწავლის ცნობის მოთხოვნა, საგაკვეთილო პროცესიდან გაყვანა და სხვა) რეაგირება ხდება დადგენილ და განცხადებებში მოთხოვნილ ვადებში.
   სასწავლო წლის დასაწყისში მიეწოდებათ ინფორმაცია წლიური გამოცდების შესახებ, ასევე რა შემთხვევაში შეიძლება მოუწიოს მოსწავლეს ექსტერნის ფორმით კლასის დაძლევა, რა შემთხვევაში შეუძლიათ სემესტრული გამოცდის მოთხოვნა და რა ვადებში. ეს ინფორმაცია მიეწოდება მოსწავლეებს დამრიგებლის მიერ და მშობლებს მშობელთა კრებებზე.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
   სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.
   მოსწავლეთა ხმის მიღების ერთ-ერთი მექანიზმი სკოლის სამეურვეო საბჭოა. სამეურვეო საბჭოში მოსწავლეთა წარმომადგენელს შუძლია გააჟღეროს მოსწავლეთა ინიციატივები ან სკოლას შესთავაზოს აქტუალური პრობლემის გადაჭრის გზები. სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველი, ამასთანავე წარმოადგენს თბილისის რეგიონს მოსწავლეთა თვითმმართველობათა ქსელის აღმასრულებელ საბჭოში. მისი გამოცდილება სკოლისათვის, მოსწავლეთა ინიციატივების გაჟღერებისა და მხარდაჭერის კუთხით მეტად მნიშვნელოვანია, რაც სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა. სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობა საკმაოდ აქტიურია, თვითმმართველობა ატარებს გამოკითხვებს სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით და უზიარებს სკოლის დირექციასა და სამეურვეო საბჭოსა და მრჩეველთა საბჭოს.
   აღნიშნულიდან გამომდინარე ფასდება წარმოდგენილი უკუკავშირი, ისახება გაუმჯობესების გზები, რათა გათვალისწინებული იქნას სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი;
- მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- პირველკლასელის მშობლის კითხვარი;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა;
- ექსტერნატის გამოცდის კონსულტაციის განრიგი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023 ს.წ; 2023-2024 ს.წ.(პროექტი);
- მოსწავლეების ინიცირებული პროექტები.(ლინკი);
- ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- ინდ. გეგმები;
- საჭიროებების კვლევის ლინკი;
- https://www.facebook.com/profile.php?id=100083492824872

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
   სკოლა, მოსწავლეების კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერის მიზნით, თანამშრომლობს მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან პროფესიულ კოლეჯებთან, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებასთან, (გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრთან, ევროპის უნივერსიტეტი, კოლეჯი მოდუსი). აწყობს მათთან ერთად გასვლით ღონისძიებებს, სადაც კოლეჯებისა თუ უნივერსიტეტების წარმომადგენლების მიერ ხდება ინფორმაციის მოსწავლეებისათვის მიწოდება. სადამრიგებლები პროგრამებში სადამრიგებლო საათის ფარგლებში გათვალისწინებულია პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, სხადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრები.
   ინდიკატორია დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში IX და XII კლასების დამრიგებლები მოსწავლეებთან და მშობლებთან მართავენ შეხვედრებს, რომელზეც აწვდიან ინფორმაციას პროფესიული სასწავლებლების, უმაღლესი სასწავლებლების შესახებ. დამრიგებლები უზრუნველყოფენ კოლეჯებისა თუ უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებული პროგრამების მოსწავლეებისათვის გაცნობას. სასკოლო საზოგადოება (მოსწავლეები, მშობლები, კლასის დამრიგებლები, დირექტორის მოადგილე) ახორციელებენ ვიზიტებს კოლეჯებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, ადგილზე ეცნობიან შეთავაზებულ პროფესიებს. 2022-2023 სასწავლო წელს სკოლაში ვიზიტით იმყოფებოდნენ აუდიტური და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანიის HR დეპარტამენტის და IT დეპარტამენტის ხელმძღვანელები, რომლებმაც წარმართეს დისკუსია თემაზე ,,პროფესიების გენდერული ნიშნით დიფერენცირება, არსებული სტერეოტიპები კონკრეტული პროფესიების გენდერულ მიკუთვნებულობაზე''.
   საბაზო და საშუალო სკოლის მოსწავლეებისათვის ჩატარდა შეხვედრები საერთაშორისო პროგრამების ,,FLEX''-ისა და ,,ERASMUS+ -ის შესახებ. მოსწავლეებმა მიიღეს ინფორმაცია რა ტიპის გამოცდილებას მიიღებენ პროგრამებში მონაწილეობის პროცესში და შეიძლება გამოიყენონ მიღებული გამოცდილება.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გეგმავს ყოველწლიურად ჩაატაროს კურსდამთავრებულების გამოკითხვა, რითაც დაადგენს კურსდამთავრებულების კმაყოფილებას სკოლაში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების შესახებ. დღემდე ინფორმაციის მოპოვება კურსდამათვრებულთა კმაყოფილებისა და წარმატების შესახებ ხდებოდა კლასის დამრიგებლის მიერ, რომელიც დირექციას აწვდიდა ინფორმაციას, რამდენი გახდა სტუდენტი, რა მიმართულება აირჩიეს და პირადი საუბრებით დგინდებოდა სკოლაში განხორციელებული პროცესებიდან ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. არსებული საკითხის გამოკვეთაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კათედრების ანგარიშები და swot ანალიზი. შესაბამისად ექსპერტთა მოსაზრებით სკოლა ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023 ს.წ; 2023-2024 ს.წ.(პროექტი);
- ექსკურსიის განაცხადი კოლეჯი ,,მერმისი’’;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- მემორანდუმი;
- კათედრის ანგარიში;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო წლის პროექტში ერთი თავი ეთმობა ინკლუზიურ განათლებას, რომელშიც გაწერილია სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. არსებული მექანიზმი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე; ინდივიდუალური სასწავლო გეგმა; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი; სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები; სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება; დანართი N7 სახით თან ერთვის სსსმ მოსწავლისათვის შესადგენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში. თითოეულ ნაწილში განმარტებულია თუ რა მოიაზრება მათ ქვეშ, რა არის გასაკეთებელი თითოეული მიმართულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სსსმ მოსწავლეების განვითარების მხარდაჭერის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მშობლები მონაწილეობენ ინდივიდუალური გეგმის შედგენის განხილვაში. ესწრებიან მშობელთა კრებებს, ინდივიდუალურ შეხვედრებს, ეცნობიან ბავშვების მიღწევებს, ნამუშევრებს. ასევე ითვალისწინებენ საგნის მასწავლებლების, დამრიგებლის და სპეცმასწავლებლის რეკომენდაციებს. მულტიდისციპლინული გუნდის დასკვნის საფუძველზე და მოსწავლეებზე დაკვირვების შედეგად მასწავლებლებს გაანალიზებული აქვთ სსსმ მოსწავლეთა საჭიროებები, მათი ძლიერი და სუსტი მხარეები, რომლის მიხედვითაც შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და რომლითაც ხელმძღვანელობენ წლის განმავლობაში. საგნის პედაგოგები იღებენ რეკომენდაციებს ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისა და დირექციისგან. ისგ ჯგუფის შემადგენლობაში შედიან კლასის დამრიგებლები, მშობლები, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები, ის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან სსსმ მოსწავლეს. აღნიშნული ისგ ჯგუფები შეიმუშავებენ ინდ. გეგმებს, რომლებსაც ითანხმებს სამეურვეო საბჭო და მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს მიერ. სკოლაში ამ ეტაპზე არის 12 სსსმ მოსწავლე, რომელთა განვითარების მხარდაჭერაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მულტიდისციპლინარული გუნდის შეფასება;
- მშობლის განცხადება, მიმართვის ფორმა, შეფასების კითხვარი;
- ბრძანება ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;
- 2023-2024 სასწავლო წლის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმის პროექტი;
- ისგ-ს ჯგუფის შეხვედრის ოქმი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში;
- ინტერვენციის გეგმა;
- ფსიქოლოგის რეკომენდაციები;
- სასწავლო სასკოლო გეგმა 2022-2023 ს.წ; 2023-2024 ს.წ.(პროექტი).

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
   სკოლას იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გაცემული აქვს სკოლის ფართი, სადაც ფუნქციონირებს ხატვის, ცეკვის, კალათბურთის, უცხოური ენების წრეები. იჯარის ფორმით ფართი გაცემულია კანონმდებლობის შესაბამისად. იჯარით გაცემა შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან, თანხმობა მიღებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ქონების მართვის ეროვნული სააგენტოსგან, აუქციონის სახით აუდიტის დასკვნის შესაბამისად, ჩატარებულია აუქციონი და გაფორმებულია ხელშეკრულება.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება სკოლის მიერ ამ ეტაპზე არ არის შეთავაზებული დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება, თუმცა ასეთის არსებობის შემთხვევაში გააზრებული აქვთ, რომ მომსახურება იქნება ნებაყოფლობითი.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.
   სკოლა, იჯარით გაცემული მომსახურების გარდა, სხვა დამატებით მომსახურებას არ სთავაზობს მოსწავლეებს. თუმცა იჯარით გაცემულ ფართში განხორციელებული საქმიანობა არ საჭიროებს განსაკუთრებული უფლებების მოპოვებას. მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით, როგორც მთლიანად სკოლაში.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024სასწ.წ.(პროექტი);
- იჯარის ხელშეკრულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (მიუთითეთ კურიკულუმის სახელწოდება)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, თანდართულ დოკუმენტებში და დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პედაგოგები კურიკულუმების შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს. დაწყებითი საფეხურის კათედრაზე შემუშავდა და დამტკიცდა 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა კურიკულუმის შემუშავებას. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ კათედრამ იმსჯელა მოსწავლეთა ძლიერ და სუსტ მხარეებზე და, შესაბამისად, კურიკულუმების შედგენის დროს მოხდა მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება, კომპლექსური დავალების აქტივობების დიფერენცირება. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა სასკოლო საზოგადოების ინტერესები. სამეურვეო საბჭომ ერთ-ერთი სხდომა სწორედ ამ საკითხს დაუთმო.

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის ზოგადი ჩარჩო, რომელიც შესულია 2023-2024 სასწავლო წლის სკოლის განვითარების ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. სამომავლოდაც სკოლა გეგმავს „კურირულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში ყოველთვის ასახოს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობა, თუ ვინ და რა ფორმით მიიღებს მონაწილეობას სასწავლო პროცესის დაგეგმვაში-მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, დირექცია. ვის რა ფუნქცია ექნება; როგორ მოხდება სასწავლო პროცესის შესახებ მონაცემთა შეგროვება და გათვალისწინება; რა ფორმით აღიწერება სწავლა-სწავლების მიზნები, მეთოდები და შეფასების ფორმები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში, აგრეთვე დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესები. წარმოდგენილია კათედრის სხდომის ოქმი, პედსაბჭოს სხდომის ოქმი, მასწავლებლის ანგარიში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სადამრიგებლო პროგრამა, სასკოლო პროექტის დოკუმენტაცია, საიდანაც იკვეთება, რომ სკოლა ითვალისწინებს

მოსწავლეთა და მშობლების ინტერესებს, მასწავლებლების ინიციატივებსა და წინადადებებს. აღსანიშნავია, რომ სკოლასა და კათედრას გააზრებული აქვთ ამ საკითხის მნიშვნელობა და სამომავლოდ სკოლა გეგმავს „კურირულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში (რომელიც წარმოდგენილია ზოგადი ფორმულირებებით) მკაფიოდ გაიწეროს სასკოლო საზოგადოების (მოსწავლე, მასწავლებელი, ადმინისტრაცია, მშობელი, თემი) ინტერესების, პრიორიტეტების გამოკვეთისა და რეალიზების მექანიზმები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

საჯარო სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმი, რომელთა შემუშავების პროცესში ჩართული იყვნენ სასკოლო საზოგადოების წევრები, მათ შორის მშობლები და სკოლის ადმინისტრაცია, რაც დასტურდება სასკოლო გეგმაში, პედსაბჭოსა და კათედრის ოქმში ხაზგასმული ნიუანსებით, კერძოდ, კათედრის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ტარდებოდა მიზნობრივად დაგეგმილი შეხვედრები სკოლაში კათედრის წევრებთან, პედაგოგები აქტიურად ესწრებოდნენ სასკოლო საზოგადოებისათვის მხარდაჭერის გარე ღონისძიებებს (ტრენინგებს, შესაბამისი საგნობრივი ჯგუფებისთვის გამიზნულ სემინარებს და სხვა). სკოლაში არსებობს მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული დამრიგებლის სამოქმედო გეგმები. მოსწავლეთა ჩართულობით ადგენენ სადამრიგებლო საათის შინაარსს. კლასის ხელმძღვანელების დახმარებით მშობლები ჩართული არიან სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. ამისთვის იმართება ე. წ. მშობელთა დღე, მშობელთა კრებები, სადაც განიხილება სწავლა-სწავლების მიზნები, სასკოლო კურიკულუმი, სასწავლო რესურსების გამოყენებისა და შეფასების პრინციპები. ასევე განიხილება, თუ რა ფაქტორები უწყობს ან უშლის ხელს მშობლების სასწავლო პროცესში ჩართვასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებით მათი შეხედულებებისა და ინტერესების შესწავლას. ამ ეტაპზე წარმოდგენილ კათედრის ოქმებში და საგნობრივ კურიკულუმებში იკვეთება მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების ინტერესების გათვალისწინების მაგალითები და ჩართულობის ელემენტები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ მოწოდებულ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ დოკუმენტებზე დაყრდნობით, დაწყებითი კათედრის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგთა ჩართულობით შემუშავდა დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი კურიკულუმები I-VI კლასებისთვის. ამასთან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტიდანაც იკითხება, რომ სასკოლო საზოგადოება მუდმივად ინფორმირებულია სასწავლო პროცესში არსებულ გამოწვევებსა თუ მიღწევებზე, ტარდება ინდივიდუალური შეხვედრები დაინტერესებულ პირებთან, ტარდება მშობელთა კრებები, სოციალური ქსელის გამოყენებით ზიარდება საჭირო ინფორმაცია. იმისათვის, რომ სასკოლო კურიკულუმების მიმართ სასკოლო საზოგადოების წევრებს ჰქონდეთ მეტი მიკუთვნებულობის განცდა, სკოლა მომავალშიც იზრუნებს, გამონახოს სხვადასხვა ფორმა და შეიმუშაოს მეთოდოლოგია მშობელთა ჩართულობის გაზრდისთვის მიმდინარე პროცესებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების, დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- დაწყებითი საფეხურის კათედრის 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N7.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. <u>სსიპ ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლის კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დადგემვისა და განვითარების გზას. თითოეული საგანში შემუშავებული კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე.</u> კერძოდ, დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელმწიფო ენის კურიკულუმი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს, კურიკულუმის ჩარჩო საფეხურზე წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, მითითებულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც ცოდნის ტრანსფერს უწყობს ხელს, მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას აძლევს. დოკუმენტაციის გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილია რამდენიმე კომპლექსური დავალება, რომელიც ძველი ფორმით არის მოწოდებული, თუმცა გამოთქვეს მზაობა იმისა, რომ ახალ სასწავლო წელს შეხვდებიან სრულიად ახალი გადამუშავებული კომპლექსური დავალებებით. დაწყებით საფეხურზე (I-VI კლასი) წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო იძლევა საშუალებას, განისაზღვროს საფეხურის მზაობა მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის სრულყოფილად დაგეგმვისათვის. მე-IV კლასში სასწავლო პროცესში მოსწავლის საჭიროებებიდან გამომდინარე შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რაც დოკუმენტურად წარმოდგენილია. გასაუბრებიდან გაირკვა, რომ შექმნილია დიფერენცირებული მიდგომებისათვის საჭირო რესურსები, მასწავლებლები ფლობენ დიფერენცირების გამოცდილებას.

I-VI კლასის მათემატიკის კურიკულუმი/ები ორიენტირებულია საგნობრივი სტანდარტის გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე; შუალედური მიზნები და სასწავლო შინაარსი ეყრდნობა მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნასა და საჭიროებებს. კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, ყველა კლასში ერთი კომპლექსური დავალება მაინც. კომპლექსური დავალებები, რომელიც თავისი ბუნებით ფარავს ყველა ტიპის დამსწავლელის მოთხოვნებს, იძლევა არჩევანის შესაძლებლობას.

უცხოეური ენებისათვის შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას იმდენად, რამდენადაც მასში მოცემული კომპლექსური დავალებები/აქტივობები, ორივე უცხო ენის შემთხვევაში, საშუალებას იძლევა, მოსწავლე იყოს სასწავლო პროცესის სუბიექტი და საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ასევე, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ საკუთარი ემოციები და ინტერესები. მაგალითად, მე-4 კლასის, ინგლისური ენის ერთ-ერთი კომპლექსური დავალების თანახმად, მათ უნდა შექმნან პოსტერი საყვარელ ცხოველებზე, სადაც ისაუბრებენ არჩეული ცხოველების ნიშან-თვისებებსა და ცხოვრების სტილზე. ისინი თავად წყვეტენ რომელ ცხოველებს აარჩევენ და როგორ გააფორმებენ პოსტერს ან რა ფორმატს აირჩევენ პოსტერის გასაკეთებლად (თაბახაზე, ვორდის ფაილში აწყობილი თუ PPT-ში აწყობილი და ა.შ.), რა ინფორმაციას და იტანენ მასზე და სხვ. ამდენად, მოსწავლეები თავად არიან საკუთარი სასწავლო პროცესის წარმმართველნი და დავალებას ასრულებენ საკუთარი ინტერესებიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მსგავსადაა აგებული ინგლისურის ენის მე-6 კლასის კომპლექსური დავალების პირობაც, სადაც მოსწავლეებმა უნდა შექმნან პოსტერი საქართველოსა და ამერიკაში არსებულ დღესასწაულებსა და ტრადიციებზე. რუსული ენის ერთ-ერთი კომპლექსურის დავალების პირობის მიხედვით (კლასი VI), მოსწავლეებმა უნდა მოამზადოს პოსტერი საყვარელი დღესასწაულის შესახებ. თითქმის ყველა კომპლექსური დავალება არის მსგავსი ტიპის. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, საგაკვეთილო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ მოსწავლე თავად აგებს ცოდნას და საკვანძო შეკითხვებზე პასუხის გაცემით ეტაპობრივად მიდის საბოლოო პროდუქტამდე, იაზრებს რა ცოდნა და უნარები სჭირდება ამა თუ იმ კომპლექსურის დავალების შესასრულებლად და გააზრებულად აგებს საკუთარ სწავლის პროცესს. სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი არის მოსწავლეზე ორიენტირებული, დაგეგმილი აქტივობებით და კომპლექსური დავალებებით აქცენტი კეთდება მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებაზე და სწავლების პროცესი მიმართულია პიროვნული განვითარების ხელშეწყობისკენ. დაწყებითი საფეხურის ბუნების კურიკულუმში მოცემულია მრავაფეროვანი და მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული კომპ. დავალებები, მაგ.ისეთი როგორიცაა- "როგორ მოდის წვიმა" იდეა ასეთია -დაეხმარე ანას გაარკვიოს რატომ შრება გუბურები? სად მიდის წყალი გუბურებიდან? როგორ მოდის წვიმა? მეგობრებთან ერთად შექმენი წყლის ბრუნვის სქემა ნახატის სახით. ასევე უნდა აღვნიშნოთ სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგემა,რომლშიც აღნიშნულია და წინა პლანზეა წამოწეული სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეებში გამჭოლი უნარების და ღირებულებების განვითარება.

საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით დაწყებით საფეხურზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები გათვლილია თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე. მოსწავლეს ეძლევა არჩევანის თავისუფლება, სახალისო აქტივობებში მონაწილეობისა და საკუთარი თავის წარმოჩენის საშუალება. კერძოდ, მესამე და მეოთხე კლასში, საგან მე და საზოგადოების ფარგლებში შექმნილ კურიკულუმში ასახული საკითხები მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას განივითარონ მეტაკოგნიტური უნარები (დაგეგმვა, მონიტორინგი, შეფასება), ხოლო მეხუთე და მეექვსე კლასის ჩვენი საქართველოს კურიკულუმში ასახული საკითხები, რესურსები და კომპლექსური დავალების იდეა მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და

ინტერესებს, იძლევა დიფერენცირებული მიდგომის შესაძლებლობად და მაღალ საზროვნო უნარების ხელშეწყობას. აღნიშნული ინფორცია წარმოდგენილია სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში და საგნობრივ კურიკულუმში.

ტექნოლოგიების კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები დატვირთულია მრავალფეროვანი რესურსებითა და აქტივობებით. მოსწავლეს ეძლევა არჩევანის თავისუფლება, სახალისო აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა და პრეზენტაციით აკუთარი თავის წარმოჩენის საშუალება. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა არ მუშაობდა კომპლექსური დავალებიდან კომპლექსურ დავალებამდე, სასწავლო პროცესი არის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული (სტანდარტის შედეგზე), სადაც გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა და ზუსტად ეს ეხმარება მას განვითარებაში. ტექნოლოგიების საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, სწავლის პროცესი განიხილება როგორც აქტიური ცოდნის კონსტრუირების პროცესი და ორიენტრიებულია მოსწავლის მიერ საკუთარი სწავლა-სწავლები პროცესის დაგემვაზე.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დაწყებითი კლასების კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოიცავს, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს, კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია ბავშვის ფიზიკური განვითარების, ცხოვრების ჯანსაღი წესის, ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის განვითარებაზე. ქვეცნებები და ქვესაკითხები შეესაბამება ერთმანეთს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. <u>სსიპ ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლის კურიკულუმები პასუხობს ინდიკატორის მოთხოვნებს.</u> კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). კერძოდ, სახელმწიფო ენის კურიკულუმის ჩარჩოში ძირითადად გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები და შესაბამისი ქვეცნებები. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, მითითებულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც ცოდნის ტრანსფერს უწყობს ხელს. გაწერილია თემები ყველა თავისი სამიზნე ცნებებითა და საჭირო რესურსებით. კომპლექსური დავალების იდეა ყველა კლასში გაწერილია. ქართული ენის პედაგოგებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ავითარებს სხვადასხვა კომპეტენციას. მაკროცნებების გააზრება ხდება სამიზნე ცნებებზე მუშაობის პროცესში. მასწავლებლებმა, ასევე, აღნიშნეს, რომ მოსწავლის მიერ თხზულებაზე მუშაობის დროს, ცხადია, მათ უვითარდებათ ნარატივის უნარი. ამ შემთხვევაში კი აქტიურდება მაკროცნება ,,წიგნიერება". კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმები, ინდ. სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის დოკუმენტები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში ძირითადად სწორად არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები, შერჩეულია კომპლექსური დავალების პირობები, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე დაყრდნობით. ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი კურიკულუმები ორინეტირებულია მოსწავლეებში 21-საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე. ამასთან, პედაგოგებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა იმუშავებს არსებული უზუსტობების გასწორებასა და კურიკულუმის საბოლოო ვერსიის შექმნაზე, რომლებიც გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) უფრო მეტად განვითარებაზე იქნება ორიენტირებული.

მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმი/ები ორიენტირებულია მოსწავლეებში 21-საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) განვითარებაზე. დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები. ფუნქციურ-კომპონენტური უნარების და მაკროცნებების გააქტიურება იკვეთება კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპზე. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას ხდება მოსწავლის პიროვნული ზრდა, სამიზნე ცნებებზე, გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირება. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების (მაგ. "დავეხმაროთ წითელქუდას" მეორე კლასი, „გაყიდვების მენეჯერი" მესამე კლასი, ,, ქართველი რობოტი" მეოთხე კლასი „მსოფლიოს ათი უდიდესი ქვეყნის ინტერნეტიზაცია" მეხუთე კლასი, „ხანძრის ლიკვიდაცია" მეექვსე კლასი) პირობებიდან ჩანს, რომ შესაძლებელია დავალების შესრულების პროცესში ამ უნარების გააქტიურება. მოსწავლეს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად უწევს ითანამშრომლოს მასწავლებელთან და თანაკლასელებთან, იაზროვნოს კრიტიკულად, დასახოს გეგმა, გააკეთოს დასკვნები, მოსწავლე დავალების წარდგენის დროს საუბრობს იმ გზაზე, იმ სტრატეგიებზე, რომელთა მეშვეობითაც შეძლო დავალების შესრულება, ბოლოს აკეთებს რეფლექსია რა გაუჭირდა, რა გააკეთა კარგად, რას შეცვლიდა სამომავლოდ და ა. შ.

უცხოეური ენების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. წარმოდგენილი კურიკულუმების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა ხელს უწყობს თითქმის ყველა გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. შემოქმედებითობის განვითარების ხელშეწყობა ხდება, როდესაც მოსწავლეებს უწევთ საკუთარი ფანტაზიის საფუძველზე შექმნან პოსტერები სხვდასხვა თემებზე (საყვარელი ცხოველი, დღესასწაულები), დაწერონ ილუსტრირებული ტექსტები სხვდასხვა თემატიკაზე (სამოგზაუროდ წასაღები ნივთები/ტანსაცმელი), შექმნან ზღაპრის გმირების სახლების დიროამები, დაწერონ თხზულება დღესასწაულებსა და ტრადიციებზე, საკუთარი დღის განრიგზე, ჩემი მასწავლებელი) და ა.შ. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დაწყებამდე მოსწავლეები საკუთარ თავს უსვამენ საკვანძო შეკითხვებს, რათა გაანალიზონ თუ რა ცოდნა და უნარები დასჭირდებათ ამა თუ იმ კომპლექსური დავალების შესასრულებლად. მისი შესრულების შემდეგ კი ისინი აფასებენ საკუთარ ნამუშევარსა და მასზე მუშაობის პროცესს, გამოყოფენ იმ ძლიერ და სუსტ მხარეებს რაც მათ ჰქონდათ, სტრატეგიებს რომლებიც იყო ეფექტური/არაეფექტური და მსჯელობენ იმ გზებზე რომლებიც სამომავლოდ მსგავსი დავალების უკეთ შესრულებაში დაეხმარებათ. გარდა ამისა, იმისათვის რომ მოსწავლემ შეასრულოს ესა თუ ის კომპლექსური დავალება, მას სჭირდება გაანალიზოს რამდენიმე ასპექტი, დაუკავშიროს ისინი ერთმანეთს და შემდეგ შექმნას კონკრეტული პროდუქტი. მაგალითად, მე-4 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმის ერთ-ერთი კომპლექსური დავალების მიხედვით მოსწავლეებმა უნდა გააკეთონ პოსტერ-პრეზენტაცია თემაზე, ''ჩემი საყვარელი ქალაქი'' სადაც უნდა ისაუბროს არჩეული ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილების შესახებ. ამისათვის მოსწავლეს დასჭირდება დაფიქრდეს თუ რომელია მისთვის გამორჩეული ქალაქი, რა ღირსშესანიშნავი ადგილებია ამ ქალაქში და რომელი მათგანის შეტანა იქნება უფრო საინტერსო პოსტერში და რატომ, უნდა მოიძიოს გარკვეული ინფორმაცია ამ ადგილების შესახებ, დაამუშაოს იგი და გამოყოს მისთვის საჭირო ინფორმაცია. მოსწავლე, ასევე, უნდა დაფიქრდეს პოსტერის დიზაინზე და გადაწყვიტოს როგორ გააკეთოს იგი- თაბახზე, ვორდის პროგრამით თუ სხვა მისთვის უფრო მოსახერხებელი ვერსიით და ა.შ. ტექნიკური საკითხების გარდა, მოსწავლემ უნდა აარჩიოს სათანადო ლექსიკური და გრამატიკული ერთეულები, გაითვალისწინოს ტექსტის ფორმატი და მისი მახასიათებლები. როგორც ვხედავთ, მოსწავლეს უწევს რამდენიმე ასპექტის გაანალიზება და ერთმანეთთან დაკავშირება საბოლოო პროდუქტის მისაღებად და ამდენად, აღნიშნული დავალება მოსწავლისგან მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას. კრიტიკული აზროვნების განვითარებას უწყობს ხელს რუსული ენის მე-5 კლასის კომპლექსური დავალებაც, რომლის ფარგლებშიც მოსწავლემ უნდა შექმნას ილუსტრირებული ტექსტი თემაზე ჩემოდნისა და ზურგჩანთის ჩალაგება. აღნიშნული დავალების ფარგლებში, მოსწავლემ უნდა ისაუბროს თუ რა ტანსაცმლისა და ნივთების წაღებაა საჭირო დასასვენებლად ამა თუ იმ სეზონის დროს. ამისათვის მან პირველ რიგში უნდა წარმოიდგინოს ის ადგილი

თუ სად წავა, რომ შემდეგ აარჩიოს სეზონის შესაფერისი ტანსაცმელი და საჭირო ნივთები. მაგალითად, თუ წასვლას გადაწყვეტს მთაში და მეორე მოსწავლე სასტუმროში დასვენებას აირჩევს, მათ დასჭირდებათ განსხვავებული ნივთების წაღება. ადგილის შერჩევის შემდეგ მოსწავლე არჩევს სეზონს და შესაბამის ტანსაცმელს. მან ასევე უნდა მოიფიქროს ილუსტრირებული ტექსტის დიზაინი და ფორმატი, ილუსტრაციები, შეარჩიოს სწორი გრამატიკული და ლექსიკური ერთეულები, ტექსტები(მოკლე წინადადებების სახით), რომლის გამოყენებაც უნდა ნაშრომში და ა.შ. მოსწავლე ასევე, უნდა დაფიქრდეს რამდენად შეუძლია მას ოლისტრირებული ტექსტის გაფორმება და თუ არ შეუძლია, როგორ გადაჭრას არსებული პრობლემები. როგორც ვხედავთ, მოსწავლეს უწევს საკმაოდ ბევრი ფაქტორის ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირება და დასკვნების გამოტანა და ამდენად ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებასაც. წარმოდგენილი კურიკულუმებით ნამდვილად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელი ეწყობა კომუნიკაციის უნარის ჩამოყალიბებას იმდენად, რამდენადაც მათ უწევთ კომპლექსური დავალებების წარდგენა პრეზენტაციების სახით, კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ელემენტების შერჩევა იქნება ეს მეტყველების ტემპი, ინტონაცია, მახვილი თუ ჟესტიკულაცია. ასევე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელი ეწყობა ემპათიის უნარის განვითარებასაც, რადგან მოსწავლეები აკეთებენ თვით რეფლექსიას კომპლექსური დავალებების დასრულებისას და ასევე მისი განხორციელების ეტაპების დროსაც. წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია მხოლოდ ერთი დავალება (ინგლისური ენა, კლასი V), სადაც მოსწავლეებს უწევთ წყვილებში მუშაობა და საბოლოო პროდუქტის დიალოგის სახით წარდგენა. აღნიშნული დავალება, მოსწავლეებს ხდის ანგარიშვალდებულს ერთმანეთის მიმართ, იმდენად, რამდენადაც მათ აქვთ საერთო მიზანი და ამ მიზნის მისაღწევად სჭირდებათ შეთანხმებული მუშაობა. უცხოური ენების კურიკულუმებში მოცემული სხვა კომპლექსური დავალებები არის ინდივიდუალურად შესასრულებელი, თუმცა კათედრის წევრებმა აღნიშნეს რომ ისინი აქტიურად ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებს, რომლის ფარგლებშიც ხდება აღნიშნული უნარის განვითარების ხელშეწყობა. ერთ-ერთი მათგანია სასწავლო პროექტი, „პატივს მივაგებთ ალჟირსა და ტუნისს“, რომლის განხორციელებაშიც უცხო ენების კათედრასთან ერთად ჩართული იყო ესთეტიკის კათედრაც. მოსწავლეებმა მოამზადეს პრეზენტაციები ხელოვნებისა და ფრანგული ენის მასწავლებლების დახმარებით, ხოლო მუსიკის მასწავლებლის უშუალო ჩართულობით შეისწავლეს ფრანკოფონიის ჰიმნი და წარსდგნენ აუდიტორიის წინაშე. „Hymne à la Francophonie“ მოსწავლეებს უწევდათ ერთად მუშაობა, რათა წარედგინათ ერთობლივი პრეზენტაციები და სხვა საერთო ნამუშევრები. მსგავსი ტიპის ერთობლივ მუშაობას მოითხოვდა ყველა სხვა პროექტებიც და შესაბამისად, ხელი შეეწყო საერთო პასუხისმგებლობის უნარის განვითარებას. გამომდინარე იქიდან, რომ პროექტებზე მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს გუნდურ მუშაობას, საერთო მიზნების დასახვას საკითხის საკვლევად და შესასწავლად, ფუნქციების გადანაწილებას და პასუხისმგებლობის აღებას ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელი ეწყობა მოსწავლეებში კოლაბორაციული უნარის განვითარებასაც. მოქალაქეობა - წინა ინდიკატორის აღწერაში მოყვანილი ფაქტები, ასევე არის დასტური იმისა, რომ მოსწავლეებში ხდება მოქალაქეობის უნარის განვითარებაზე ზრუნვაც იმდენად, რამდენადაც ისინი ანგარიშვალდებულნი არიან ერთმანეთის მიმართ. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოითხოვს ყველა ზემოთ ხსენებულ პროცესს იმდენად, რამდენადაც კონკრეტული თემის ფარგლებში მოსწავლეები თავად წყვეტენ რა ასპექტებს განიხილავენ ამა თუ იმ დავალების ფარგლებში, როგორი დიზაინისა და ფორმატის პოსტერს გააკეთებენ, არჩევენ შესაბამის ენობრივ სტრუქტურებს იქნება ეს გრამატიკული თუ ლექსიკური, საკუთარ თავს უსვამენ საკვანძო შეკითხვებს და მასზე დაყრდნობით მიდიან საბოლოო პროდუქტამდე, ანაწილებენ დროს და ა.შ. ამდენად, ხასიათისა დ ნებელობის უნარის განვითარება ხელშეწყობილია უცხოური ენების კურიკულუმების ფარგლებში. რაც შეეხება მაკრო ცნებებს, სამიზნე ცნებებსა და შედეგებს, უცხოური ენის კურიკულუმები ნამდვილად უწყობს ხელს თითოეული მათგანის განვითარებას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების უმეტესობა მათ სთხოვს პრეზენტაციის გაკეთებას, რაც თავისთავად მოიაზრებს საუბარს

და ამდენად გადის შემდეგ სამიზნე ცნებებზე/ქვეცნებებზე: ფუნქციური სამეტყველო ქმედებები, კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებლები, ლექსიკა, გრამატიკა. ზოგიერთი კომპლექსური დავალება მოსწავლეებისგან მოითხოვს წერილის მიწერას მეგობართან, ასევე საყვარელი მულტფილმის, ზღაპრის გმირთან და ა.შ. (კლასიVI, რუსული ენა), თხზულებისა და ღია ბარათის დაწერას (კლასი VI, ინგლისური ენა),ილუსტრირებული ტექსტის შექმნას სხვდასხვა თემებზე (ჩემი საყვარელი სათამაშო/სასკოლო ნივთი, კლასი II, ინგლისური ენა; ჩემი მასწავლებელი, კლასი III, ინგლისური ენა;) და ა.შ. აღნიშნული დავალებები ხელს უწყობს წერითი უნარ-ჩვევის განვითარებას და გადის შემდეგ სამიზნე ცნებებსა და შედეგებზე: სამიზნე ცნებები - :ტექსტი (ტექსტის სტრუქტურა), სამეტყველო ქმედება (კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებლები, წერის სწავლის სტრატეგიები), ენობრივი საშუალებები(გრამატიკა, ლექსიკა) შედეგები - Iუცხ.დაწყ.(I)6, Iუცხ.დაწყ.II. 4. წარმოდგენილი კურიკულუმები ხელს უწყობს კულტურათა დიალოგის სამიზნე ცნებისა და შედეგების დაფარვასაც. მაგალითად მე-6 კლასის ინგლისური ენის ერთ-ერთი კომპლექსური დავალებაა თხზულების დაწერა თემაზე- ''ტრადიციები და დღესასწაულები ამერიკასა და საქართველოში.“ აღნიშნული დვალებით მოსწავლეებს საშუალება აქვთ გაეცნონ სხვა ქვეყნის ტრადიციენსა და დღესასწაულებს და მოახდინონ მათი შედარება/პარალელების გავლება. კულტურათა დიალოგის მიმართულებით მუშაობას უწყობს ხელს რუსული ენის მე-5 კლასის კომპლექსური დავალებაც, რომელიც მოსწავლეს სთხოვს დიორამის გაკეთებას სხვადასხვა ქვეყნის ზღაპრის გმირების სახლებზე. მოსწავლეები გაეცნობიან სხვა ქვეყნების ზღაპრებს, მათ გმირებს, შეადარებენ ერთმანეთს და გაავლებენ პარალელებს. მსგავსი ტიპის დავალებები საკმაოდაა წარმოდგენილი სხვა კლასების კურიკულუმებში. რაც შეეხება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს (შედეგები: Iუცხ.დაწყ.(I)1,2,3), რომლებიც კითხვის უნარ-ჩვევის განვითარებას მიემართება, ვფიქრობთ, ხდება მათი დაფარვაც, რადგან მოსწავლეებს უწევთ ტექსტებზე მუშაობა და მისი გააზრება სხვდასხვა აქტივობისთვის. მაგალითად, ამა თუ იმ საკითხის შესახებ თხუზულების დასწერად ან პრეზენტაციის წარსადგენად, მათ ჯერ უნდა დაამუშაონ სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტები და შემდეგ მოიძიონ დამატებითი ინფორმაცია, დაამუშაონ იგი, ამოკრიბონ საჭირო ინფორმაცია და ისე გადაიტანონ საკუთარ ნაშრომებში. მსგავსი პროცესებია საჭირო თითქმის ყველა კომპლექსური დავალების შესასრულებლად და ამდენად, ხელი ეწყობა კითხვის უნარ-ჩვევის განვითარებას.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმში ასახულ კომპლექსურ დავალებებში, შეთავაზებულ აქტივობებში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას. მაგ, მასწავლებლებთან გასუბრებისას იკვეთება, რომ ისინი ხშირად კლასის ორგანიზების ფორმად ირჩევენ ჯგუფებში მუშაობას ან წყვილებში. ეს კი ხელს უწყობს თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. ხშირად მოსწავლეებს აქვთ ისეთი პროდუტქი შესაქმენლი მაგ, როგორიცაა მაკეტი, მოდელი ეს კი მათ შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში ეხმარება. ასევე ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია გრძევადიანი სამიზნე ცნებები, სტანდარტით გათვალისიწნებული თემები და საკითხები. დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო) დაგეგმილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში ასახულია სავალდებულო თემები, საკითხები/კლასტერები, სადაც დაგეგმილია კომპლექსური დავალება, საგან ჩვენს საქართველოში განსაზღვრულია კონტექსტ მაგალითებიც და კომპლექსური დავალების იდეები, რაც ემსახურება კონკრეტული საკითხის კონტექსტში სამიზნე ცნებების გააზრებას. კომპლექსური ბუნების დავალებები იძლევა საფუძველს გლობალური ფუნქციური უნარების და მაკრო ცნებების გააქტიურებისა, ასევე შეფასების რუბრიკები მიემართება მაკრო ცნებებსა და ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებს. საგან ჩვენი საქართველოს კურიკულუმის ჩარჩოებში განსაზღვრულია კონტექსტ -მაგალითები და კომპლექსური დავალების იდეა, ემსახურება კონკრეტული საკითხის კონტექსტში სამიზნე ცნებების გააზრებას. კურიკულუმში ასახული კომპლექსური დავალების იდეა იძლევა საფუძველს, რომ განხორციელების პროცესში გააქტიურდეს გლობალურ- ფუნქციურ უნარები (მაგ : მეცნიერ-დამკვირვებლის ჩანაწერები ბატეთის ტბის უნიკალურობის შესახებ. ჟურნალისტის როლში გამოკითხვა ქართლში მცხოვრები

სხვადასხვა ეროვნების ადამიანების და მათი დამოკიდებულებების გაცნობა. ბახტრიონის გმირების დასაცავი საადვოკატო სიტყვის მომზადება და სხვ.). სკოლის თვითშეფასების განაცხადში ხაზგასმულია თითოეული საგნის ერთობლივი ძალისხმევა მაკრო ცნებების გააზრებისათვის. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ კათედრა გეგმავს ფორმალური და არაფორმალური განათლების კომპონენტების ინტეგრირებას. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებში კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარების განვითარების მიზნით იგეგმება ლიტერატურული კლუბის შექმნა ,,კარგი მკითხველი". ინფორმაცია მოცემულია სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში და საგნობრივ კურიკულუმში.

ტექნოლოგიებში სკოლას ისე აქვს კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტები, საკითხები თუ რესურსები, რომ მკაფიოა ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების გახორციელების შესაძლებლობა. სკოლის პრაქტიკისა თუ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის ეტაპებზე მკაფიოა კომპლექსური დავალებების მნიშვნელოვანი პრინციპი, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებია შემოტანილი. ამით მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებისას უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით. ყოველი ახალი საკითხი ემყარება არსებულ ცოდნას, ამით განამტკიცებს ძველს და უფრო იოლად აღსაქმელს გახდის ახალს.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი -წარმოდგენილ კურიკულუმებში და მასში გაწერილი კომპლექსური დავალებებში კარგად ჩანს გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, შესაბამისი შედეგები და სამიზნე ცნბებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. კარგად არის შერჩეული ქვეცნებები და საკითხები, რომლებიც ორიენტირებულია ბავშვის უნარების განვითარებაზე. კომპლექსური დავალებები შეესაბამება შერჩეულ ასაკობრივ კატეგორიას, რაც გრძელვადიან მიზნებზე გასვლის წინაპირობაა.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. <u>სსიპ ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.</u> კერძოდ, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ზოგადად სასწავლო პროცესის ინკლუზიურ ხედვას, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, განათლების თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში, როგორიცაა სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფია, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომა, მოსწვალეზე ორიენტირებული სიღმისეული სწვალა და ა.შ. და, მეორე მხრივ, პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სკოლა აცნობიერებს, რომ ინკლუზიური განათლების კონცეფციის თანახმად, სწავლა-სწავლების დიფერენცირებული მიდგომა გულისხმობს გარემოსა და სტრატეგიების იმ სახით ორგანიზებას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. ასევე მნიშვნელოვანია სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, რომელიც დამატებით გულისხმობს სპეციალური პრევენციული და ინტერვეციული მექანიზმების არსებობას, სადაც დაწვრილებით იქნება გაწერილი, როგორ უზრუნველყოფს სკოლა ამ მიდგომებს. რა ნაბიჯები უნდა გადადგას სკოლამ პრობლემის იდენტიფიცირებიდან მოსწავლისათვის სტატუსის მინიჭებამდე, სტატუსის განსაზღვრიდან ინდივიდუალური გეგმის შექმნამდე და

გეგმის განხორციელების პროცესში მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება. ამ ეტაპზე სკოლას დაწყებით საფეხურზე ჰყავს სსსმ მოსწავლე, რომლისთვისაც შედგენილია ინდგეგმა , რომლის მიხედვითაც ხდება სსსმ მოსწავლესთან მუშაობა. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ საჭიროა ყოველთვის იმის გაანალიზება, თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები, ინდ. სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს; რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის ლიდერმა მასწავლებლებმა გაიარეს USAID-ის საგანმანათლებლო პროგრამის მიერ ორგანიზებული ტრენინგი დიფერენცირების კუთხით. დაწყებით საფეხურზე თითოეულ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომა, რაც გამოკვეთილია კომპლექსური დავალების პირობასა და კონკრეტულ აქტივობებში. სასწავლო წლის დასაწყისში პედაგოგები ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც ამის საჭიროება აქვთ. მაგალითად: მე-4 კლასში დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებში სსსმ მოსწავლისათვის მოხდა კომპლექსური დავალების ადაპტირება მისი შესაძლებლობების გათვალისწინებით. კერძოდ, მათემატიკის კომპლექსურ დავალებაში ,,ყვავილების ორანჟერეა“ კლასისთვის გათვლილი იყო დავალებები (არითმეტიკული მოქმედებები 1000-ის ფარგალში), ხოლო სსსმ მოსწავლისათვის იგივე დავალება გამარტივდა (არითმეტიკული მოქმედებები ათის ფარგალში). შეირჩა შესაბამისი რესურსები, მშობელს მიეწოდა კომპლექსური დავალების ბარათი.

უცხოური ენების სწავლებისას გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები იმდენად, რამდენადაც კომპლექსური დავალებები მათ აძლევს საშუალებას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აარჩიონ ესა თუ ის საკითხი და შეასრულონ დავალება, ასევე ზოგიერთ კომპლექსურ დავალებაში შეთავაზებულია პროდუქტის წარდგენის რამდენიმე ალტერნატივა (პრეზენტაცია პოსტერით ან PPT-ით ან სხვა მისთვის საურველი ფორმატით), სსსმ მოსწავლეებისთვის აქვთ ადაპტირებული კომპლექსური დავალებები და როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, საჭიროებიდან გამომდინარე ახდენენ დავალებების გამარტივებას კონკრეტული მოსწავლეებისთვის, თუკი ამის საჭიროებას დაინახავენ. კონკრეტული მტკიცებულებები დოკუმენტებში არაა წარმოდგენილი, თუმცა რადგან უცხოური ენების კათედრას ამ მიმართულებით აქვს გარკვეული გამოცდილება და მზაობას აცხადებენ ამ მიმართულებით იმუშაონ უფრო სიღრმისეულად და მიზანმიმართულად.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების დროს მოსწავლეებისათვის შეთავაზობულია მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული დავალებები. აქცენტი კეთდება არჩევანის თავისუფლებაზე, მაგ., როდესაც ბუნებისმეტყველებაში აქვთ კომპლექსური დავალების პროდუქტი და მუშავდება რომლიმე კონკრეტული გრძელვადიანი მიზნები, მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ დაამზადოს მისთვის კომპლექსური დავალების პროდუქტი მისთვის სასურველ ფორმატში (ხელით ან ელექტრონულად, ასევე პოსტერი ან ბუკლეტი და ა.შ) ეს ყველაფერი ასევე გათვალისწინებული იქნება მომდევნო სასწავლო წელს.

საზოგადოებრივი მეცნიერებების თითოეულ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომა, რაც გამოკვეთილია კომპლექსური დავალების პირობასა და კონკრეტულ აქტივობებში. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა (სკოლის თვითშეფასების განაცხადი, საგნობრივი კურიკულუმები) და მასწავლებლებმა ინტერვიუს დროსაც აღნიშნეს, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. კერძოდ, სკოლა საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლობს მულტიდისციპლინარულ გუნდთან, სპეციალურ მასწავლებელთან. მშობლები, სპეციალისტი და მასწავლებლები ურთიერთ თანამშრომლობენ. იქმნება ინდ. სასწავლო გემა, მოდიფიცირებული დავალებები. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი

მოსწავლეთათვის ნაცნობი კონტექსტ მაგალითები, მათზე დაფუძნებული კომპლექსური დავალების იდეები, მრავალფეროვანი შემოქმედებით პროდუქტები (ბუკლეტი, კედლის გაზეთი , სტატია, პოსტერი, მოხსენება და სხვა) იძლევა საშუალებას მოხდეს შესაბამისი დიფერენცირება.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმში მასწავლებლებისათვის ცნობილია სწავლის დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. დაწყებით საფეხურზე სწავლა მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე, რაც განაპირობებს ბავშვის მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები ითვალისწინებენ ყველა ბავშვის ფიზიკურ თუ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, კერძოდ მოსწავლეები იღებენ ინდივიდუალურ დავალებებს, სადაც უნდა შეასრულონ სხვადასხვა მოძრაობა ან ვარჯიში, მოსწავლის შესაძლებლობიდან გამომდინარე შეიძლება გამარტივდეს ან გართულდეს დავალება, რათა მათი განვითარებისთვის ეფექტური გახდეს პროცესი. ეს ყველაფერი გათვალისწინებულია კომპლექსურ დავალებებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. <u>სსიპ ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლაში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.</u> მასწავლებლები იყენებენ როგორც განმავითარებელ შეფასებას, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან მე-6 კლასის ჩათვლით. წარმოდგენილია შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლის მიხედვითაც ხორციელდება შეფასება. სკოლა იყენებს სოლო ტაქსონომიით შეფასებას კომპლექსური დავალებების შესაფასებლად. ასევე ხორციელდება ურთიერთშეფასება და თვითშეფასება მოსწავლეების მიერ. სკოლა ჩართული იყო დაწყებითი განათლების პროექტებში: G-pried, USAID-BER საბაზისო განათლების პროგრამის პროექტებში. პედაგოგების მიერ 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. პედაგოგების მიერ იგეგმება 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა (მე-5 კლასის მეორე სემესტრი, მე-6 კლასი) და ყოველი შერჩეული კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი რუბრიკების შექმნა. ამასთან გათვალისწინებული იქნება მოსწავლის შეფასების ძირითადი ამოცანები.

მათემატიკის მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (თვითშეფასება, შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები, ურთიერთშეფასება, ჯგუფური მუშაობა ...) რომლებიც ხელს უწყობს გამოავლინოს მოსწავლის განვითარების დინამიკა სამიზნე ცნებებთან მიმართებით; მაგალითად: მათემატიკის მასწავლებელმა მე-2 კლასში გაკვეთილზე გამოიყენა მოსწავლეთა თვითშეფასების კითხვარი, გააკეთა ანალიზი, რომელიც დაეხმარა განმავითარებელი უკუკავშირის მიცემაში.

დაწყებითების კათედრას წარმოდგენილ კურიკულუმში მოცემული აქვთ კომპლექსური დავალებები. გამომდინარე იქიდან, რომ კომპლექსური დავალება არის გრძელვადიან მიზნამდე მისვლის საშუალება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებლის მიერ გაცემული განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებს. კომპლექსური დავალების პირობები მოიცავს შეფასების კრიტერიუმებს, დაკონკრეტებულს საკითხის/ ქვესაკითხის მიმართ.

სკოლის ინტოკატორთან შესაბამისობას ადასტურებს ასევე უცხოური ენების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ნაწილი რუბრიკების გარკვეული კრიტერიუმებიც (მაგალითად: ‘’გამოხატავს პერსონაჟის დამოკიდებულებას, ემოციას’’, ‘’ადეკვატურად იყენებს ზეპირი მსჯელობისათვის დამახასიათებელ არავერბალურ საშუალებებს (მაგ., ჟესტიკულაციას, ინტერვალს საუბარში, ხმის სხვადასხვა

დონეს'' და ა.შ.). მიუხედავად იმისა, რომ კათედრას ამ მიმართულებით აქვს გარკვეული გამოცდილება, რუბრიკები საჭიროებენ მეტ კონკრეტიკას და სიზუსტეს. საჭიროა რუბრიკები მორგებული იყოს კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე და იძლეოდეს საკითხის სიღრმისეულად შეფასების შესაძლებლობას. ზოგიერთი წარმოდგენილი რუბრიკა არის ზოგადი და ბუნდოვანი. მაგალითად, საშინაო დავალების შეფასების რუბრიკა, რომლის 10-9 ქულით შეფასების კრიტერიუმებია: ''ყოველთვის შესრულებული აქვს წერითი დავალება, რომელშიც ძალიან იშვიათადაა შეცდომა დაშვებული. დაშვებულია თვეში 1-2 დავალების არშესრულება''; ''ყოველთვის მზადაა ზეპირმეტყველებაში დავალების პრეზენტაციისთვის.''; იშვიათად უშვებს 2-3 ენობრივ შეცდომას. აქვს სწორი გამოთქმა (მუდმივად აკონტროლებს მეტყველებას)'' წერითი საშინაო დავალება შეიძლება იყოს განსხვავებული, მაგალითად იყოს ესე, ფორმალური წერილი ან არაფორმალური წერილი და თითოეული მათგანი თავისი არსით საჭიროებენ განსხვავებულ კრიტერიუმებს. წარმოდგენილი რუბრიკით კი ასეთი დავალებების სიღრმისეულად შეფასება ვერ მოხერხდება. მსგავსად არის სხვა რუბრიკებშიც. ზემოთ ხსენებული რუბრიკების გარდა, სკოლას წარმოდგენილი აქვს ჯგუფური მუშაობის, ურთიერთშეფასებისა და წყვილებში მუშაობის რუბრიკებიც, რაც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მოსწავლეებიც ჩართულნი არიან შეფასების პროცესში, აფასებენ საკუთარ და თანაკლასელთა მუშაობას და სახავენ გაუმჯობესების გზებს. შეგვიძლია, ვთქვათ, რომ მოსწავლე არის აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისათვის სკოლას წარმოდგენილი აქვს დაწყებით საფეხურზე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლითაც დგინდება, რომ სკოლაში შეფასების პროცესი ცალსახად გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული. შესაბამისად სწავლება და შეფასება ერთმანეთისგან განუყოფელ ერთ მთლიან პროცესს წარმაოდგენს. მასწავლებლებთან საუბრისას ირკვევა,რომ ისინი ქმნიან მიზნის შესაბამის რუბრიკებს, აცნობენ მოსწავლეებს და შეფასებისას ცალსახად ეყრდნობიან. ეს კი უზრუნველყოფს შეფასების 4 ძირითადი პრინციპის დაცვას.

საზოგადოებრივი მეცნიერებებისათვის დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში დაგეგმილია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლზე მუშაობის პროცესი მოიაზრებს განმავითარებელ უკუკავშირს მასწავლებლის მხრიდან, მოსწავლეების თვითრეფლექსიასა და თანატოლთა ურთიერთშეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების რუბრიკები. შესწავლილი დოკუმენტებიდან ირკვევა და ასევე მათთან ინტერვიუს შედეგადაც დაზუსტდა, რომ დაწყებით საფეხურზე იყენებენ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს, (მაგალითად: განმავითარებელი კომენტარი, გასასვლელი ბარათები და სხვ.). დაწყებით საფეხურზე შეფასებები ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ მიღწევის ინდიკატორებს და მიმართულია, როგორც შუალედურ ასევე გრძელვადიან მიზნებზე. სკოლის მიერ გადმოგზავნილ ქოუჩინგის შემაჯამებელ დოკუმენტებში ხაზგასმულია, სამომავლოდ, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების განვითარება/დახვეწის აუცილებლობა, რომელიც დაადასტურეს მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს. მათ ასევე ისაუბრეს დეტალურად კათედრის სამომავლო ხედვაზე ამ კუთხით.

ტექნოლოგიების მიმართულებით სკოლას აქვს გამოცდილება, განმავითარებელი შეფასებისა ეროვნული გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის მიხედვით, გამოგზავნილი აქვთ შესაბამისი დოკუმენტაცია (კომპლექსური დავალება შეფასებით). კურიკულუმებში გათვალისწინებულია როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებლი შეფასების რუბრიკები და სქემები. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს განმავითარბელი შეფასების ეფექტიანობაზე.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლები დაწყებით საფეხურზე იწერენ და ინიშნავენ განვითარების ეტაპებს. აწარმოებენ სტატისტიკას და რიცხვებში აღწერენ ბავშების განვითარებას, რაც საბოლოო განმავითარებელ შეფასებებში თვალსაჩინოს ხდის ბავშვის

ფიზიკური განვითარების პროგრესს. შეფასება ორიენტირებულია ბავშვის მოტივაციის ამაღლებაზე და ზრდის მათი განვითარების პოტენციალს. ბავშვები იღებენ სიტყვიერ შეფასებასაც მათი ქცევიდან გამომდინარეც, რამდენად კარგად იცავენ იმ იმ ჰიგიენურ ნორმებს რაც საჭიროა დაწყებითი საფეხურისთვის. ასევე მასწავლებლები ყურადღებას ამახვილებენ ბავშვებში ჯანსაღი ცხოვრების წესის გაღვივებაში, რაც გამოხატულია მასწავლებლების მიერ ჩატარებულ კვლევებში და გამოკითხვებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 5. <u>სსიპ ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლაში დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება და ანალიზი.</u> კერძოდ, წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა სისტემატურად ხვდება ერთმანეთს და უზიარებს წინარე გამოცდილებას, იმ გამოწვევებს, რომლის მოგვარებასაც სექტემბრიდან გეგმავენ, რათა უკეთესად დაგეგმონ სასწავლო პროცესი. პედაგოგები გასაუბრების პროცესში აღნიშნავენ, რომ სასკოლო კურიკულუმისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზს შეძლებენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ეს შეიძლება იყოს მასწავლებლის პირადი პორტფოლიოს ანალიზი; მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი; მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები; პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები და ა.შ. აღნიშნული გამოცდილება გათვალისწინებული იქნება 2023-24 სასწავლო წლისთვის წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებულ/რევიზირებულ დოკუმენტებში.

სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბარია იმაზე, რომ ჩვეული პრაქტიკაა მე-6 კლასის ბოლოს დიგნოსტირება და სამომავლოდ შედეგების გათვალისწინება. მასწავლბელებთან საუბრისას ასევე ირკვევა, რომ სკოლაში ტრადიციულად ტარდება გამოცდები, რომლებიც გავლენას ახდენს წლიურ შეფასებაზე. თითოეული შემთხვევის დროს მიღებული შედეგები მუშავდება და გამოიყენება შემდგომი სწავლების დროს, ასევე უნდა ავღნიშნოთ შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, რომელსაც ყოველთვის მიმართავს სკოლა და მაომავალშიც აპირებს აღნიშნული პრაქტიკის გაგრძელებას.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. ისინი ითვალისწინებენ კომპლექსური დავალებების მიხედვით ბავშვების შედეგებს, მათ ჩართულობას, დავალების შესრულების ხარისხს. აფასებენ სხვადასხვა აქტივობების შესაბამისობას ასაკთან და მათ შესაძლებლობებთან და ახალი კურიკულუმების შემუშავება ხდება ამ ინფორმაციებზე დაყრდნობით. ანალიზში კარგად ჩანს ის უპირატესობები ან ნაკლოვანებები, რაც თან ახლდა სასწავლო პროცესს. მსგავსი მიდგომა უმნიშვნლოვანესია სპორტში, ეტაპობრივი, ორგანიზებული სწავლება, რადგან ფიზიკური შესაძლებლობები, როგორც გონებრივი ვითარდება ეტაპოვბრივად და ჭირდება წანარე გამოცდილების ანალიზი, რამდენად წარმატებული თუ წარუმატებელი იყო მცდელობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო.
- დაწყებითი საფეხურის კათედრის ოქმი.

- კომპლექსური დავალებები;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- შეფასების რუბრიკები;
- კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმის ჩარჩო;
- მე და საზოგადოების და ჩვენი საქართველოს კურიკულუმის ჩარჩო
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი
- კათედრის ოქმი საზოგადოებრივ მეცნიერებებში
- ინგლისურის, რუსულისა და ფრანგული ენების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები; ‘’ დაწყ. ადაპტირებული კომპლექსური დავალება (დანართი N11)’’; თვითშეფასების კითხვარი; განმავითარებელი-და-განმსაზღვრელი -შეფასების-რუბრიკები (დანართი N19); დანართი N3 შეფასების რუბრიკები; 1. მე-5 კლასის შემაჯამებელი დავალებების ანალიზი; მეთერთმეტე კლასის შემაჯამებლების ანალიზი 2022-2023; შემაჯამებელი წერის ანალიზი; შემაჯამებლების ანალიზი 5 კლ 2023; შემაჯამებლების ანალიზი-მე-7 კლასი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. <u>სსიპ ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლაში დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.</u> კერძოდ, დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები (ზოგიერთი იდეის დონეზე). პედაგოგები საგნობრივ ოქმებში, გასაუბრების პროცესში ასახელებენ კონკრეტულ აქტივობებს, რომლებსაც ისინი ხშირად იყენებენ მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართვის მიზნით. მაგალითად, კომიქსების კონკურსი, კალიგრაფიისა და მხატვრული კითხვის კონკურსი, ინტელექტუალურ თამაშებში მონაწილეობა-„რა, სად, როდის“, „ტვინების ბრძოლა“ და ა.შ. აფიქსირებენ ამ აქტივობების მნიშვნელობას მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვისთვის. როგორც კათედრის წლიური ანგარიშიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, სკოლას აქვს ერთობლივი მუშაობის გამოცდილება და მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმებზე მუშაობის დროს უფრო კომპლექსურად მიუდგებიან სასწავლო პროცესის დაგეგმვას.

ბავშვებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ სისტემატურად ხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება-რეალიზება. სკოლა ჩართული იყო Minecraft -ის პროგრამაში, მოსწავლეები დამოუკიდებლად და შემოქმედებითად ქმნიდნენ მოზაიკებს, კონსტრუქციებს, ანიმაციურ სამყაროსა და სხვადასხვა მრავალფეროვან პროდუქტს.

უცხოურ ენებში მოსწავლეებს უწევთ სხვადასხვა ტიპის დავალებების შესრულება, იქნება ეს პრეზენტაციები, პოსტერების შედგენა, ილუსტრირებული ტექსტის დაწერა, წერილის მიწერა, დიორამების გაკეთება თუ დიალოგის შედგენა. ყველა მათგანი მოითხოვს შემოქმედებითობას და აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. გარდა ამისა, სკოლას (მათ შორის უცხოური ენების კათედრასაც) აქვს საკმაოდ ბევრი პროექტი, რომლებიც დატვირთული იყო სხვდასხვა აქტივობებით და ნათელი მაგალითებია იმისა, რომ რომ სკოლაში მოსწავლეები ჩართულნი არიან აქტიურ და შემოქმედებით პროცესებში და აქვს აქტიური სასწავლო პროცესების წარმართვის როგორც მზაობა, ისე გამოცდილება.

დაწყებით საფეხურზე ბუნებისმეტყველების სწავლებისას ისეა შერჩეული კომპლექსური დავალებები, რომ მოსწავლეები აქტიურად ჩაერთონ სწავლების პროცესში და განივითარონ შემოქმედებითი უნარები. ამას ადასტურებს მასწავლებლებთან საუბარი და მათ მიერ აღწერილი პოცესები, აქტივობები რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეების მიერ სხვადასხვა სახის პროდუქტის შექმნას-პოსტერების,მოდელები,ბუკლეტების დამზადებას.

ტექნოლოგიები - სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ, რომ: დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სასწავლო პროცესი დაგეგმილია

შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი ბავშვს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. რაც დადასტურდა გასაუბრებით და სკოლის პედაგოგის წარმოდგენილი დოკუმენტაციით, კომპლექსური დავალებებით და მოსწავლის შესრულებული დავალების ნიმუშებით.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი თემები და კომპლექსური დავალებები, იძლევა მოსწავლის აქტიურად პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მოცემულია როგორც პრაქტიკული ისე თეორიული გაკვეთილების გეგმაც, კერძოდ პრეზენტაციები და ვიდეო რგოლები სხვადასხვა სპორტის, ჯანსაღი კვებისა და ოლიმპიზმის გარშემო. აღნიშნული დავალებები მრავალფეროვანია, მოიცას სხვადასხვა ტიპის ფიზიკურ აქტივობასა და თეორიულ საკითხს. მასწავლებელები ზრუნავენ ბავშვების მოტივაციაზეც, რათა მათი ჩართულობა იყოს მაღალი, შექმნილი გარემო, ინფრასტრუქტურა და ინვენტარი, ასევე სასკოლო ფესტივალები, სახალისო შეჯიბრები და მსგავსი ტიპის აქტივობები ზრდის მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. სსიპ ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლაში ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კერძოდ, საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას სასკოლო საზოგადოება ცდილობს, გაითვალისწინოს მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება ცოდნის კონსტრუირების გზაზე. ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებით, რომლის შესრულებისას მოსწავლემ უნდა გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით. პედაგოგები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტების (საჯარო ლექციები, გაცვლითი პროგრამები, თანამშრომლობითი აქტივობები) დაგეგმვა/განცორციელება, რათა დაეხმაროს სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებასთან მიუახლოებაში, რაც მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება. სკოლას აქვს წინარე გამოცდილება, სწავლა - სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების გამოყენების თვალსაზრისით, კერძოდ, სკოლა ჩართული იყო დაწყებითი განათლების G-Pried, USAID-BER საბაზისო განათლების პროგრამის პროექტებში. რომლის ფარგლებშიც მასწავლებლები ეცნობოდნენ კონსტრუქტივისტულ პრინციპებს, გეგმავდნენ და წარმართავდნენ სასწავლო პროცესს ამ პრინციპებზე დაყრდნობით, რაც მოსწავლეებს სთავაზობს „მოძრაობას“ მარტივიდან რთულისაკენ, ნაცნობ, ცხოვრებისეულ კონტექსტებს და იწვევს მათ ახლის აღმოსაჩენად. სასწავლო პროცესში შექმნილი გარემო ეხმარება მოსწავლეებს, რათა მათ ინფორმაცია არ მიიღონ როგორც ფაქტი, არამედ თავად აღმოაჩინონ და გააკეთონ დასკვნები, რაც ხდება ანალიზსა და სინთეზზე დაფუძნებული მეთოდით. მაგალითად: მე-3 კლასში მათემატიკის პედაგოგმა დაგეგმა გაკვეთილი, რომლის მიზანი იყო სივრცული ფიგურებისა და მათი ელემენტების შესწავლა. მოსწავლეებს უკვე შესწავლილი ჰქონდათ ბრტყელი გეომეტრიული ფიგურები და ამ ცოდნაზე დაყრდნობით თავისი ხელით შექმნეს/ააგეს სივრცითი ფიგურები.

მაგალითად, ჩვენი საქართველოს კურიკულუმი, მეექვსე კლასში დაგეგმილია კომპლექსური დავალება თბილისის მოსახლეობის ეთნიკურ მრავალფეროვნებაზე, რასაც წინ უსწრებს საკითხის შესწავლა - ებრაელები რაჭაში. წინარე ცოდნის გათვალისწინება აადვილებს ცოდნის კონსტრუირების პროცესს. შერჩეულია მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან ახლოს მდგომი კონტექსტები,

მოსწავლეს უწევს პრობლემის გადაჭრა, ანალოგიების გაკეთება (დაუკავშიროს საკუთარ გარემოს) ნასწავლის შემოქმედებით პროდუქტში გამთლიანება. აღნიშნულზე დეტალურად ისაუბრეს მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები შემუშავებულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კერძოდ, კომპლექსური დავალებები ეტაპობრივად პროგრესირებს და რთულდება კლასების მიხედვით. ეტაპობრივად ნასწავლ მოძრაობებს მოყვება ახალი, უფრო რთულად შესასრულებელი მოძრაობები, რაც სხვადასხვა კოორდინაციული თუ ფიზიკური უნარის განვითარებას მოითხოვს. ახალი დავალებების შესრულებისთვის აუცილებელია ძველის ცოდნაც, რაც განამტკიცებს წინარე ცოდნას და უზრუნველყოფს ახლის ათვისებას. მსგავსი ტიპის მიდგომა სპორტში ეფექტურია დროის მონაკვეთში მაქსიმალური შედეგის მისაღწევად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. <u>სსიპ ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. კერძოდ,</u> დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებების პირობების სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი მეტად გაკეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების ხელშეწყობაზე, მოსწავლეთა მიერ შესრულებული სამუშაოს რეფლექსიის წახალისებაზე, შესრულებული დავალებების ანალიზზე. მეტად წახალისებული იქნება მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი (თვითრეგულირებული სწავლა).

მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების (დაგეგმვა, მონიტორინგი, შეფასება) გასავითარებლად მათემატიკის კურიკულუმში გათვალისწინებულია ისეთი სტრატეგიების გამოყენება, როგორიცაა: მარკირების მეთოდი, კვირის გეგმა, ჩანაწერების გაკეთება. კოგნიტიური დიაგრამები/სქემები. მაგალითად: მე-4 კლასში მათემატიკის გაკვეთილებზე წილადის შესწავლის დროს მოსწავლეებს უჭირდათ წილადის ცნების გაგება-გააზრება. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად მასწავლებელმა დაგეგმა ინტერვენციები.საგაკვეთილო პროცესი დაიტვირთა ისეთი აქტივობებით, რომლებიც მოსწავლეებს დააფიქრებს, აპოვნინებს პასუხებს სხვადასხვა საკვანძო საკითხებზე. მასწავლებელმა შექმნა რესურსი, რომელიც დაეხმარებოდა მოსწავლეებს კეთებით, თამაშით ესწავლათ მთელიდან ნაწილის გამოყოფა, წილადი, ნაწილების გამთლიანება. რესურსზე მუშაობის დროს მოსწავლე ინტერაქციაშია მასწავლებელთან და თანაკლასელებთან იღებს და გასცემს უკუკავშირს, იზიარებს მიზნის მიღწევის პასუხისმგებლობას და წარმატებას.

მასწავლებელთან გასუბრებაში იკვეთება, რომ როდესაც ხდება ახალ მასალის მიწოდება,გაანალიზება, ყოველთვის აქცენტი კეთდება იმაზე თუ რა ხერხებით სჯობს აღნიშნულის გაგება, მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს იმაზე ფიქრის საშულებას და შემდეგ მსჯელობენ თუ რა დრო შეიძლება დასჭირდეს თითოეულ მათგანს კონკრეტული დავალების შესასრულებლად, როგორ შეასრულონ და ა.შ. კომპლექსური დავალების დასრულების შემდეგ. მოსწავლე ჩართულია ისეთ აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. ერთ-ერთი მაგალითია: საგან მე და საზოგადოების ფარგლებში მე-4 კლასში მასწავლებელმა დაგეგმა კომპლექსური დავალება ,,მზადება ექსკურსიისთვის“. კომპლექსური დავალება მიზნად ისახავდა მოსწავლეებში ისეთი უნარების განვითარებას როგორიცაა ორგანიზება, მოქმედებების დროში განაწილება, საკუთარი ან ჯგუფის ქმედებების მიზეზ-შედეგობრიობის ჭრილში გააზრება. მოსწავლეებს ამ დავალების შესრულებისას დასჭირდათ ინფორმაციის მოძიება, ჯგუფურად მუშაობა, პასუხისმგებლობისა და როლების გადანაწილება, გეგმის შედგენა, პროცესებზე დაკვირვება, ვარაუდების გაკეთება,

დისკუსია, ქცევის წესების შედგენა, მოსალოდნელი შედეგების შეფასება. თავდაპირველად მოსწავლეებმა ერთმანეთისგან გაარჩიეს ექსკურსიის სახეები, შეარჩიეს ადგილი, იმუშავეს ჯგუფებში რა ნივთები დასჭირდებოდათ ექსკურსიაზე, საჭიროდ და სათადარიგოდ. შემდეგ ეტაპზე გაიმართა დისკუსია, რა გაუთვალისწინებელი შემთხვევები შეიძლება მოხდეს ექსკურსიის მსვლელობის დროს და როგორ იპოვონ გამოსავალი. შეადგინეს ქცევის წესები და გადაინაწილეს როლები. ისაუბრეს გარემოს დაცვაზე და იმ საფრთხეებზე რომელიც შეიძლება ექსკურსიისას ბუნებაში შეიქმნას დაუდევრობის შედეგად. იმსჯელეს საფრთხეების აცილების ალტერნატიულ გზებზე. მისწერეს წერილი დამრიგებელს ექსკურსიაზე წასვლის თხოვნით, დაასაბუთეს ექსკურსიის აუცილებლობა.

სკოლაში სასწავლო პროცესი ხორციელდება მრავალფეროვანი სტრატეგიების საშუალებით და აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. საგნის შესწავლის საუკეთესო პრაქტიკაა ლაბორატორიაში კომპიუტერებზე მუშაობა, რომლითაც მოსწავლეს საშუალება იძლევა თავად გახდეს პროცესის წარმმართველი, დააკვირდეს და დაინახოს შედეგი. სკოლაში ფუნქციონირებს კარგი, გამართული კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც მოსწავლეები ასრულებემ დავალებებს.

ფიზიკური აღზრდასა და სპორტში დაგეგმილ აქტივობებსა და დავალებებში, მოსწავლეებს ხანდახან უხდებათ თვითონ დაგეგმონ პროცესი, გაუწიონ მონიტორინგი და შეაფასონ, ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ კურიკულუმებში გაწერილი აქტივობები ხელს უწყობს ბავშვების მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი სამიზნე ცნება, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი კარგადაა გამოხატული ამ ტიპის გაკვეთილებშიც. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. <u>სსიპ ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. კერძოდ,</u> მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებები აცნობიერებენ ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარების საჭიროებას და 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსური დავალება ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ყველა კლასში არჩეულია კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს დეკლარაციული ცოდნა გადავიდეს პირობისეულ ცოდნაში, პროცედურული ცოდნის გავლით. საკითხის გააზრება ხდება რეალური ცხოვრებისეული მაგალითების ფარგლებში. მაგალითად, მე-3 კლასის პედაგოგმა დაგეგმა აქტივობები პერიმეტრის საკითხის შესასწავლად. ამ პერიოდისათვის მოსწავლეებმა უკვე იცოდნენ შეკრული ტეხილი და ტეხილის სიგრძე. ეს წინარე ცოდნა გამოიყენა მასწავლებელმა ახალი მასალის ასახსნელად. მოსწავლეები მართკუთხედის პერიმეტრის გამოთვლას სწავლობენ და ამ ცოდნას იყენებენ ცხოვრებისეული პრობლემის გადაჭრაში (ეხმარებიან გლეხს გამოთვალოს თავისი ნაკვეთის შემოსაღობად საჭირო ღობის სიგრძე).

აგრეთვე, ერთ-ერთი კომპლექსური დავალების მიხედვით (ინგლისური ენა, მე-4 კლასი), მოსწავლემ უნდა გააკეთოს პოსტერი საყვარელ ცხოველებზე, ამისათვის მას დასჭირდება, გაიხსენოს ბუნებაში ნასწავლი გარკვეული ფაქტები ცხოველებზე და ინგლისური ენის დავალებისთვის გამოიყენოს მხოლოდ ის ინფორმაცია, რასაც დავალების პირობა სთხოვს. მან, ასევე, უნდა გაიხსენოს თემის ფარგლებში ან/და მანამდე ნასწავლი ლექსიკური და გრამატიკული ერთეულები და მიხვდეს რომელი მათგანი სჭირდება ცხოველებზე პოსტერის შესაქმნელად.

თეორიული მასალის გადაცემას მრავალფეროვანი აქტივოებებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბუნებისმეტყველების სწავლების პროცესში. ხდება ცოდნის ტრნასფერი, მოწოდებულ დოკუმენტაციაში ვხვდებით ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმას (მუსიკა და ბუნება) სადაც ხდება როგორც თეორიული მასალის გადაცემა, ასვე უკვე არსებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.გაკვეთილზე

დამუშავებულია შემდეგი ცნებები- ბუნებისმეტყველება-სამიზნე ცნებაა სხეულები და მოვლენები /ქვეცნება-ბუნებრივი მასალა,ბგერის გავრცელება.

მაგალითად, საგან ჩვენ საქართველოსი დაგეგმილი კომპლექსური დავალების იდეა გულისხმობს ჩანაწერების შექმნას ბატეთის ტბის უნიკალურობის შესახებ, მოსწავლემ უნდა შექმნას მეცნიერ-დამკვირვებლის ჩანაწერები ამისათვის მან უნდა გაიაზროს, რატომაა ბატეთის ტბა უნიკალური, დაფიქრდეს, რისთვის უნდა აწარმოოს ჩანაწერები და შექმნას შესაბამისად. ასევე არაფორმალური აქტივობები მოიაზრებს მოსწავლის მიერ პრობლემის ანალიზს, საჭირო რესურსების მოძიებას და კონკრეტული პრობლემის მიხედვით დამუშავებას. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილები ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ბავშვები იღებენ თეორიულ ცოდნას, სხვადასხვა სპორტული დისციპლინის შესახებ, მათი წესებისა და შესრულების ტექნიკაზე. შემდეგი ეტაპი პრაქტიკაში გადატანაა, როდესაც მიღებული ინფორმაცია აისახება ფიზიკურ შესრულებაში. პრაქტიკულ ცოდნასთან ერთად ღრმავდება თეორიულიც. მოსწავლეებს უწევთ სხვადასხვა მოძრაობების გააზრებულად შესრულება, როდის რომელი ტექნიკური ელემენტი დასჭრიდებათ და რატომ. მოსწავლეები იწყებენ სიტუაციურად გადაწყვეტილებების მიღებას და ეფექტურად მოქმედებას მიზნის მისაღწევად. ამავდროულად იხვეწება ის სამივე სამიზნე ცნება, რაც ეროვნულ სასწავლო გეგმაშია მოცემული. მოსწავლეები ანვითარებენ ფიზიკურ თვისებებს, ცხვორების ჯანსაღ წესს, ორგანიზებულობასა და თვითკონტროლს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 5. სსიპ ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კერძოდ, ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმებში გაწერილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, როგორც საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. მასწავლებლებს კარგად ესმით, რომ ყველა ეს აქტივობა კი მოსწავლისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ამავდროულად იგივე მხადაჭერა შეუძლია ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენების თვალსაზრისით არაფორმალურ პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობებს, სადამრიგებლო საათზე განხორციელებულ მუშაობას, რომლის ამსახველი დოკუმენტაციაც ასევე წარმოდგენილია. აქვთ, ასევე, ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების გამოცდილება. ქართული ხალხური ზღაპარი ,,რწყილი და ჭიანჭველა". მოცემულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას ნათლად ჩანს საგანთა (მათემატიკა-ქართული) შორის კავშირი. მოსწავლეებმა ,,რწყილი და ჭიანჭველას"- შინაარსი გამოიყენეს და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნეს minecraft-ში კომპიუტერული თამაში.პედაგოგებს აქვთ მზაობა აღნიშნული მიდგომები, წინარე გამოცდილება და ახალი მიგნებები გათვალისწინებულ იქნას სასწავლო პროცესში.

სკოლაში განხორციელებულია კომპლექსური დავალებები, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნის გამოყენებას. მაგალითად: მეორე კლასის მათემატიკის მასწავლებელმა თემის (100-ის ფარგლებში მიმატება-გამოკლება) დამუშავებისთვის გამოიყენა ქართული ხალხური ზღაპარი ,,რწყილი და ჭიანჭველა". მოცემულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას ნათლად ჩანდა საგანთა (მათემატიკა-ქართული) შორის კავშირი. ასევე, მე-5 კლასში მათემატიკის გაკვეთილზე მოსწავლეებმა იგივე ზღაპრის ,,რწყილი და ჭიანჭველა"-ს შინაარსი გამოიყენეს და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნეს minecraft-ში

კომპიუტერული თამაში. გარდა კომპლექსური დავალებებისა, უცხოური ენების კათედრას წარმოდგენილი აქვს ინტეგრირებული პროექტი ესთეტიკის კათედრასთან.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კერძოდ ცალცაკე ნასწავლი სხვადასხვა ტექნიკური ელემენტების გამოყენება უშუალოდ თამაშის დროს. მათი ცოდნის ორგანიზებით და ურთიერთდაკავშირებით ვიღებთ სრულყოფილად შესრულებლ დავალებას ასაკთან შესაბამისად. იზოლირებულად ნასწავლი მოძრაობებით, მოსწავლეები ამდიდრებენ კოორიდნაციულ უნარს, თეორიულ ცოდნასა და ფიზიკურ მონაცემებს. საბოლოოდ ხდება მიღებული ცოდნის ურთიერთდაკავშირება, შედარებით რთული მოძრაობებისა და ტექნიკური ელემენეტების შესრულება და ორგანიზებული მოქმედება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ტექნოლოგიების კომპლექსური დავალებები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- საგნობრივი კურიმკულუმის ჩარჩო;
- ჩვენი საქართველოს და მე და საზოგადოების საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო
- საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით ქოუჩინგის შემაჯამედელი დოკუმენტი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- რუსული, ფრანგული და ინგლისური ენების კურიკულუმები დაწყებითი საფეხურისთვის.
- ინგლისური ენის მე-4 კლასის კურიკულუმი; თვითშეფასების კითხვარი.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სსიპ ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, კერძოდ, სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმის ჩარჩო I, II, III, IV, V და VI კლასებისთვის, რომელშიც გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება. კურიკულუმის ჩარჩო დაწყებითი საფეხურის ყველა კლასისთვის კარგადაა ორგანიზებული, გაწერილია სასწავლო პროცესი გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით, გამოყოფილია შუალედური სასწავლო მიზნები, შერჩეულია კომპლექსური დავალების იდეა თითოეულ კლასში, წარმოდგენილია კომპლექსური დავალების პირობა, რომელთა განხორციელებასაც გეგმავს სკოლა სასწავლო პროცესში, გაწერილია სასწავლო რესურსები, მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოს შესაბამისი მასალა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. სსიპ ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლაში საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კერძოდ, მასწავლებლები საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ემპათიური გრძნობების ჩამოყალიბებისათვის, ფსიქოსოციალური განვითარებისათვის სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა სოციალური პროექტი, აგრეთვე, აქვთ არაფორმალური განათლების გამოცდილება, კლასგარეშე აქტივობები, იღებენ მონაწილეობას მხატვრული კითხვის, კალიგრაფიისა და კომიქსების კონკურსებში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მათ ისაუბრეს განხორციელებული აქტივობების ეფექტურობაზე (მაგალითად, მათემატიკური პაექრობა-“ნორჩი მათემატიკოსი“ V-VI კლასები).

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმში ჩადებულია ისეთი საკითხები როგორიცაა ჯანსაღი ცხოვრების წესი, ჯანმრთელობა და დაცვის მნიშვნელობა, წითელი წიგნი და ნუსხა, გარემოზე ზრუნვა და ა.შ (შეესაბამება)

საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას გამოიყენება ვიზუალური დიაგრამები, ცხრილები, სქემები, რუკები, სურათები, ილუსტრაციები, რაც ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. როლური თამაშები და სიმულაციები კი ეხმარება მოსწავლეებს კომუნიკაციის უნარისა და ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. ასევე, წარმოდგენილია გაკვეთილის გეგმა მე და საზოგადოებში, სადაც აღწერილია სამფეხა სკამის პრინცი, მასწავლებელი ის აჩვენებს მოსწავლეებს სამფეხა სკამს და ეკთხებათ, რა

დაემართება ამ სკამს ერთი ფეხი რომ მოვაშოროთ? შეასრულებს ის თავის ფუნქციას? მოსწავლეები ასახელებენ ვერსიებს, შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ინტერპრეტაციას, სამფეხა სკამის ეს პრინციპი წარმოიდგინონ ადამიანზე მის ცხოვრებაზე და დაასახელონ ადამიანის ის სამი თვისება, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ ის იყოს ოჯახის, კლასის, სკოლის, თემის, ქვეყნის საზოგადოების ღირსეული წევრი. ანუ მან ღირსეულად შეასრულოს თავისი ადამიანური ფუნქცია და მოვალეობა. მსგავსი აქტივობები მოსწავლეებში უვითარებს ჯგუფური მუშაობის უნარს, ერთმანეთის მოსმენის, შეთანხმებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარს. ასევე ხელს უწყობს მოზარდებში ემოციურ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

სკოლას აქვს გამოცდილება მესამე და მეოთხე კლასებში არაფორმალური სწავლებისა. კლუბი ,,,გამარჯობა რუბი”-ს ფარგლებში სადაც მოსწავლეები სწავლობდნენ, თუ, რა არის ციკლი, ალგორითმი, კომპიუტერის შიდა მოწყობილობები და ქმნიდნენ მაკეტებს.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნობრივი კონტექსტი პირდაპირ დაკავშირებულია მოსწავლის პოროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. მოსწავლის თვითკონტროლი და ორგანიზებულობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამიზნე ცნებაა. სხვადასხვა ტიპის აქტივობა, იქნება ეს პრაქტიკული თუ თეორიული ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. გუნდურობა, შეჯიბრში მონაწილეობის დროს თავის კონტროლი, ემოციის მართვა, ურთიერთპატივისცემა განუყოფელი ნაწილია სპორტის სასწავლო პროცესის. ამასთან ერთად მოსწავლეები იღებენ სხვადასხვა თეორიულ ცოდნას, სპორტის დისციპლინების, სპორტსმენებისა თუ ღონისძიებების შესახებ. ეს ყველაფერი კომპლექსურ დავალებებშია გაწერილი, მითითებულია მასალების ჰიპერლინკებიც. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. <u>სსიპ ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლაში შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.</u> კერძოდ, მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მათ იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, აქვთ კონკრეტულ თემაში, საკითხზე მორგებული შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება. პედაგოგები 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსურ დავალებას შეაფასებენ სოლო ტაქსონომიით, შეიმუშავებენ უკეთესად გააზრებულ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს სავალდებულო თემებთან მიმართებით, აწარმოებენ მოსწავლეთა დაკვირვებას. გასაუბრების დროს, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ სადიაგნოსტიკო წერის ჩატარების გამოცდილებაც. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ მომავალ სასწავლო წელს არჩეული აქვთ განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი, ხოლო სადიაგნოსტიკო შეფასების- პირველი ინსტრუმენტი.

მათემატიკის კათედრაზე შემუშავებულია შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სწორად იაზრებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მიზნებს. ასევე, იციან სოლო ტაქსონომიის, როგორც განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის მნიშვნელობა.

უცხოური ენების მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეების მიერ შესასრულებელი აქტივობები ფასდება მთლიანობაში და ეძლევა შესაბამისი უკუკავშირი. მათ საშუალება აქვთ მთლიანობაში დაინახონ საკუთარი შესაძლებლობები კონკრეტულ დავალებასთან მიმართებით, გაიგონ რა აქვთ გამოსასწორებელი და იმუშაონ მის გაუმჯობესებაზე. წარმოდგენილი რუბრიკებით ნაკლებად ჩანს

მოსწავლეთა ჰოლისტური შეფასება. სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშავონ ისეთი რუბრიკები, რომელებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ შეფასებას.

დაწყებით საფეხურზე შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. მასწავლებლების მიერ ინფორმაცია მიეწოდებათ მშობლებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. სსიპ ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლაში შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. კერძოდ, სახელმწიფო ენაში მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა ცდილობს,შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი; თუმცა პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სოლო ტაქსონომიის ინსტრუმენტის დახმარებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის შედარებით მცირე გამოცდილება აქვთ და კლასში განმავითარებელი შეფასება ხორციელდება უმეტესად ზეპირი უკუკავშირის საშუალებით. დაწყებითი საფეხურის პედაგოგები 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის გეგმავენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნასა და გამოყენებას სასწავლო პროცესში მოსწავლეთა სასწავლო შედეგების გასაუმჯობესებლად, პრობლემების იდენტიფიცირებისა და შემდგომი პროცესების დაგეგმვისთვის. სასწავლო წლის დაწყებამდე დაწყებითი კლასების კათედრის მიერ შემუშავებულია შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. საკლასო ოთახებში გამოკრულია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის, შეფასების კრიტერიუმები და სქემები არის სანდო, ობიექტური, ვალიდური და გამჭვირვალე.შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრებზე, მოსწავლეები და მშობლები იცნობენ შეფასების სისტემას. შეფასება არის ვალიდური, ფასდება ის , რისი შეფასებაცაა განსაზღვრული. მოსწავლეებმა იციან, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა ნაშრომმა. შეფასების სქემა მკაფიოა, რაც განაპირობებს მის თანაბარ სამართლაინობას მოსწავლეების მიმართ. სკოლა თვითშეფასების განაცხადში აღნიშნავს, რომ შეფასების ინსტრუმენტები ირჩევა მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით.

მათემატიკაში სასწავლო პროცესში გამოყენებული შეფასება (ტესტები, კომპლექსურები) არის ვალიდური, შეესაბამება ესგ-ს მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. მასში ასახულია მხოლოდ ის ცოდნა და უნარი, რომლის გაზომვაც არის დაგეგმილი. მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ კათედრაზე მოქმედებს მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების ერთიანი რუბრიკები. მოცემული რუბრიკები მოიცავს შემაჯამებელ დავალებებს. სასწავლო წლის დაწყებისთანავე მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აქვთ ინფორმაცია თუ რა მიზანი აქვს შეფასებას, რა ფორმით (წერითი/ზეპირი გამოცდა, ტესტირება თუ სხვ.) მოხდება შეფასება და ასევე რა შედეგი ექნება მას. ინფორმაცია მიწოდებულია ოფიციალურად ყველა მხარის პასუხისმგებლობის გათვალისწინებით. პროცესზე პასუხისმგებელი პირები უზრუნველყოფენ შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობას.

უცხოურ ენებში წარმოდგენილი რუბრიკების კრიტერიუმების ნაწილი გამორიცხავს არაობიექტურობასა და უსამართლობას, რადგან ისინი არ იძლევა ინტერპრეტირების საშუალებას და არის ცალსახა. მაგალითად, ''იცავს სიტყვების ქვედა ზღვარს'', '' შეუძლია ეფექტურად აღიქვას და გამოიყენოს არავერბალური კომუნიკაციის ფორმები (თვალით, ჟესტებით, გამომეტყველები თუ ხმით)'', ''იცავს დროის ლიმიტს ''და ა.შ. ბუნდოვანებას იწვევს რუბრიკებში წარმოდგენილი ქულობრივი გადანაწილება. მაგალითად, ერთ-ერთ

რუბრიკაში, კრიტერიუმს, ''მოსწავლე იცავს დროის ლიმიტს'' მინიჭებული აქვს 0-1 ქულა. ბუნდოვანია რა შემთხვევაში უნდა დაიწეროს ''0'' და როდის ''1''. ამავე რუბრიკაში მოცემულია კრიტერიუმი ''გასაგებად აყალიბებს მოსაზრებას და თანმიმდევრულად ავითარებს მას'', რომლის ქულობრივი წილიც არის 0-1-2, თუმცა არაა გაწერილი როდის უნდა დაიწეროს 0, 1 ან 2 ქულა. მსგავსი ხარვეზებია სხვა წარმოდგენილი რუბრიკების დიდ ნაწილშიც, რაც გარკვეულწილად ხელს უშლის მოსწავლის შეფასების ობიექტურობასა და სამართლიანობას. იმისათვის რომ თავიდან ავიცილოთ არსებული ხარვეზი საჭიროა რუბრიკების გადხედვა, გაუმჯობესება და ქულების ისე გადანაწილება რომ არ რჩებოდეს კითხვის ნიშნები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას ამ ეტაპზე აქვს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზის, შემაჯამებელი დავალებების ანგარიშის ფორმების, კათედრის წლიური ანგარიშის გამოცდილება. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში იკითხება, რომ კათედრები გარკვეული პერიოდულობით იკრიბებიან და განიხილავენ შემაჯამებელ დავალებებს, აანალიზებენ შედეგებსა და შეფასების სისტემებს. კათედრის დებულებაში ცალსახად გაწერილია მასწავლებლის მოვალეობა შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების შეფასების ინსტრუმენტების ანალიზისა. ვერიფიკაციის გარკვეული მექანიზმების დეტალები შეინიშნება სკოლის სტრატეგიულ გეგმაშიც. სკოლა სწავლობს თითოეული მოსწავლის მიღწევების დინამიკას შეფასების ინსტრუმენტებზე დაყრდნობით. სკოლაში არსებული ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი თავის დებულებაში განსაზღვრავს მასწავლებელთა საქმიანობაზე დაკვირვების, უკუკავშირის მიცემის ფორმებს. ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლას შესწევს უნარი, შეიმუშაოს და დანერგოს სასწავლო პროცესში შეფასების ვერიფიკაციის ერთიანი დოკუმენტი ისე, რომ რეალურად მოხდეს მოსწავლის მიღწევების ანალიზი, რაც ლუსტრაციაა იმისა, თუ რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ხდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმი
- შეფასების რუბრიკები
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სკოლის სტრატეგიული გეგმა
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება
- კათედრის დებულება

- კათედრის სამოქმედო გეგმა

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი1. სსიპ ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. კერძოდ, დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში შექმნილია ნდობაზე დაფუძნებული, ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლას ჰყავს შეზღუდული შესაძლებლობების, სოციალურ-ემოციური პრობლემების მქონე მოსწავლეები, ნიჭიერი ბავშვები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, უსახლკარო და სოციალური პრობლემების მქონე მოსწავლეები. სკოლაში შექმნილია თანასწორუფლებიანი გარემო.

მიუხედავად არსებული განსხვავებებისა და თავისებურებებისა, სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო სრულფასოვანი განვითარებისათვის; უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი, როგორც კლასის, ისე სკოლის დონეზე. სკოლაში შექმნილია მიმღებლობითი გარემო. კერძოდ, სასწავლო პროცესში მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მოსწავლეთა მხარდაჭერას მათზე მორგებული კურიკულუმების (ინდ. სასწავლო გეგმის) დანერგვით, პროექტების, საკლუბო თუ სხვადასხვა აქტივობების განხორციელებით. მიღებულია თითოეულის მოსაზრება, წახალისებულია მათი ინიციატივები. მოსწავლეთათვის გაცემული უკუკავშირის მიზანია პროგრესის ხელშეწყობა. სკოლის თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია, რომ ყოველივე ეს უზრუნველყოფს პოზიტიურ სასწავლო გარემოს შექმნას და ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში.

კათედრის წევრები ხშირად, ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ პოზიტიურ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით (კრიტიკული მეგობარი), რაც უზრუნველყოფს მაღალ მიმღებლობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. სსიპ ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. კერძოდ, დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეებს, განავითარონ თავიანთი ძლიერი მხარეები, ყურადღება გაამახვილონ სუსტ მხარეებზე. ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში, ზრუნავენ ბავშვების ყოველდღიურ განვითარებაზე, მრავალმხრივი უნარების

ჩამოყალიბებასა და გააქტიურებაზე. მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა სახის ოლიმპიადებში (კინგსი, ევერესტი), კონკურსებში. სკოლაში აქტიურად ტარდება დიაგნოსტიკური წერები (kargiskola.ge), რომელთა შედეგებიც გამოისახება განმავითარებელი შეფასებებით. აღნიშნული შეფასებების ანალიზი მასწავლებლებს საშულებას აძლევს მოსწავლეებს მისცენ მათ წარმატებასა და პროგრესზე ორიენტირებული რჩევა-რეკომენდაციები. სასწავლო პროცესის მოსწვალეზე ორიენტირებულად წარმართვის ხელშემწყობად მოიაზრება არსებული საგნობრივი კურიკულუმები რომლებიც მოსწავლეებს სთავაზობს კომპლექსური ბუნების დავალებებს, სადაც მოსწავლე თავად არის სასწავლო პროცესის დამგემავი, რაც ზრდის ავტონომიურობის განცდას. არაფორმალური აქტივობები ასევე მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე და ხელს უწყობს თანამშრომლობითი, უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნას. შეფასება ემსახურება მოსწავლეთა პროგრესის ხელშეწყობას. მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა საჭიროებებს სწავლობენ როგორც საგაკვეთილო ისე არასაგაკვეთილო პროცესში, რაც ეხმარება მათ მოსწავლეზე ორიენტირებულად სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. <u>სსიპ ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.</u> კერძოდ, სკოლის პრიორიტეტებია თანამშრომლობითი ურთიერთობები, გამოცდილების გაზიარება, გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა. რაც დასტურდება კურიკულუმის ჩარჩოს შექმნის პროცესში პედაგოგთა თანამშრომლობითა და მხარდაჭერით. სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა კათედრის წევრთა შორის წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და სხვა საგნობრივ კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა. კათედრის ფარგლებში, მასწავლებელთა სტანდარტული შეხვედრები და მასზე განხილული საკითხები ფორმდება კათედრის ოქმებით.

სასკოლო საზოგადოებას აქვს სკოლაში მიმდინარე პროცესებში ჩართვის მაღალი შესაძლებლობები. სასწავლო პროცესში ინტენსიურად თანამშრომლობენ მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. <u>სსიპ ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.</u> კერძოდ, კათედრის სხდომის ოქმები, მასწავლებლებთან გასაუბრება და ასევე სკოლის კურიკულუმი მეტყველებს იმაზე, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს, სადაც ჩართული ჰყავთ მოსწავლეები პრეზენტაციებში, გამოფენებში, სპექტაკლებში, სპორტულ გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში.

სამეურვეო საბჭოს წევრი მშობლები, კათედრებისა და მოსწავლეთა თვითმართველობის წევრები, სხვადასხვა შეხვედრით, მრავალფეროვანი ღონისძიებით, საინტერესო აქტივობით, სპორტულ გამაჯანსაღებელ ღონისძიებებით ხელს უწყობენ სსსმ მოსწავლეების მიმართ როგორც ბავშვებში, ამასთანავე ზრდასრულებში, პოზიტიური, კეთილგანწყობილი გარემოს შექმნას.

სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ დაწესებულებაში პოზიტიური სასწავლო კლიმატის შესაქმნელად მნიშვნელოვანი ფაქტორებია: აღიარება, პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, თანამშრომლობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნონრივი კურიკულუმები
- სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

სკოლას აქვს შემუშავებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია თუ როგორ ხორციელდება კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტში ვკითხულობთ შემდეგს: „სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან.“ **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ხდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება.**

ინდიკატორი 2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება, სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება, სკოლის ინსტიტუციური განვითარება. სკოლის ხარისხის მართვის დოკუმენტშიც ვკითხულობთ შემდეგს: „მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ“. მასწავლებლებთან გასაუბრებით ასევე დგინდება, რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა ეხმარება სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანად წარმართვას და სასკოლო საზოგადეობის საჭიროებეზეა მიმართული. **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ხდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება.**

ინდიკატორი 3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სკოლის მიერ მოწოდებულ ხარისიხს უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტში ვკითხულობთ: „არსებული სასწავლო პროგრამების /სადამრიგებლო გეგმების მონიტორინგი, მისი გუმჯობესების მიზნით, ეფუძნება სკოლის დირექციის და მასწავლებლების მიერ მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგოროვებას/ კათედრების/დამრიგებელების ანგარიშგებას და ამ ინფორმაციის გამოყენებას სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისთვის“ . კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში საუბარია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების გაანალიზებას მოსწავლეთა ჩართულობის და შედეგების მიხედვით. ასევე მასწავლებლებთან საუბრისას ასევე მასწავლებლებთან საუბრისას იკვეთება, რომ მონოტორინგის და შეფასების არსებული პრაქტიკა ნამდვილად ეხმარება მათ გადაჭრან სწავლა-სწავლების პროცესში წარმოქმნილი პრობლემები და სამომავლოდაც აპირებენ არსებული პრაქტიკის გაგრძელებას. **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ხდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციით ირკვევა, რომ მასწავლებელები იყენებენ სხვადასხვა სახის ინსტრუმენტს და სტრატეგიას მოსწავლეთა შესაფასებლად: მიმართავენ როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას, იყენებენ კომპლექსურ, თემის შემაჯამებელ და ყოველდღიურ საკლასო და საშინაო დავალებებს, ასევე არის პრაქტიკა და მომავალშიც იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასება მე-6 კლასის ბოლოს. დაგეგმილია შიდა სასკოლო გამოცდები. ეს კი გვაძლევს იმისი თქმის შესაძლებლობას, რომ სკოლაში შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს და აღნიშნული პრაქტიკა მომავალშიც გაგრძელდება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

მიუხედავად იმისა, რომ სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ზოგადი ხასიათის დოკუმენტია და ნაკლებად არის მასში გაწერილი სკოლის საჭიროებებზე მორგებული პუნქტები, მასწავლებლებთან გასუბრებისას იკვეთება, რომ საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას, ისინი ცდილობენ გაითვალისწინოს სხვადასხვა კონტექსტი მაგ., კლასის განწყობა საკითხისადმი, გარემო, წინარე ცოდნა და ასე მოახდინოს მოსწავლის შეფასება. **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ფასდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.**

ინდიკატორი 3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში და მასწავლებელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი იყენებენ მონაცმეთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს, აკეთებენ კომპლექსურ დავალებებს, წერენ ქვიზებს, ახდენენ პრეზენტირებას და ა.შ ეს ყველაფერი კი აძლევს მასწავლებელს საშუალებას უფრო მეტი გაიგოს მოსწავლის კოგნიტურ უნარებსა და ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე. სამომავლოდ ეს პრაქტიკა შენარჩუნდება. დამკვიდრებული პრაქტიკა იძლევა საფუძველს, დავასკვნათ რომ შეფასებისას სკოლა გამოიყენებს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს. **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ხდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება.**

ინდიკატორი 4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინტერვიუდან ირკვევა, რომ მასწავლებლები შეფასებისას ცდილობენ გაითვალისწინოს გარე ფაქტორები, რომელიც ახდენს გავლენას მოსწავლის შედეგებზე. ასევე ირკვევა და დოკუმენტაციიდანაც ჩანს, რომ პედადგოგიურ საბჭოზე და კათედრის სხდომებზე ხდება შეფასების შედეგების განხილვა და ხელმშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთა, ეს კი იძლევა იმისი თქმის შესაძლელობას, რომ სამომავლოდ კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაეთმობა აღნიშნულ საკითხს. **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ფასდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- ბრძანება N2 -149/1 სსიპ ქ.თბილისის N 71 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ
- სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან (სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, კათედრის სხდომის ოქმები, მშობლეთა კრების ოქმები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმის ჩარჩო) ასევე მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად იკვეთება შემდეგი - სკოლას აქვს მზაობა შექმნას გარკვეული ტიპის მექანიზმი/საჭიროებათა პაკეტი, რომელიც ხელს შეუწყობს კურიკულუმის განვითარებას და მის მორგებას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და მოსწავლეთა საჭიროებებზე. **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ფასდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია მონიტორინგი და შეფასება, სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი კათედრის წევრების და დირექციის ინტენსიური თანამშრომლობით მიმდინარეობს. სკოლის მიერ მოწოდებული ხარისხის მართვის უზრუნველყოფის მექანიზმში ვკითხულობთ: „ხარისხის უზრუნველსაყოფად საჭიროა პროგრამების მიმდინარე სასწავლო პროცესის სისტემატური გადახედვა, კონტროლი რათა შენარჩუნებულ იქნას ხარისხი და ეფექტურობა“. ასევე კურიკულუმის ჩარჩოებიდან, კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგიიდან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად იკვეთება, რომ ეს პროცესები სასკოლო კულტურის განუყოფელი ნაწილია და კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიები სამომავლოდაც დაეფუძნება აღნიშნულ გამოცდილებას. **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ფასდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო
- კათედრის სხდომის ოქმი
- სსიპ ქ.თბილისის # 71 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საბაზო	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სსიპ ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. კერძოდ, სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, თანდართულ დოკუმენტებში და საბაზო საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პედაგოგები, დირექცია და მშობლები კურიკულუმების შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს. კათედრის შეხვედრებზე მიმდინარეობს მსჯელობა მასწავლებლებს შორის მოსწავლეთა ძლიერ და სუსტ მხარეებზე. შესაბამისად, კურიკულუმის შედგენის დროს ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება, კომპლექსური დავალების აქტივობების დიფერენცირება. კურიკულუმის შემუშავების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული მშობლები და ამდენად, გათვალისწინებულია მთელი სასკოლო საზოგადოების ინტერესები. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის ზოგადი ჩარჩო, სამომავლოდ სკოლა გეგმავს „კურირულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში უფრო მეტად ასახოს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობა და უფრო კონკრეტულად განსაზღვროს და გაწეროს, თუ ვინ და რა ფორმით მიიღებს მონაწილეობას სასწავლო პროცესის დაგეგმვაში-მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, დირექცია. ვის რა ფუნქცია ექნება; როგორ მოხდება სასწავლო პროცესის შესახებ მონაცემთა შეგროვება და გათვალისწინება; რა ფორმით აღიწერება სწავლა-სწავლების მიზნები, მეთოდები და შეფასების ფორმები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. სსიპ ქალაქ თბილისის N71 საჯაროს სკოლის კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კერძოდ, სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, აგრეთვე საბაზო საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესები. წარმოდგენილია კათედრის, პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი, სადამრიგებლო პროგრამა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სასკოლო პროექტების დოკუმენტაცია, მათ შორის მოსწავლეთა თვითმმართველობისა, საიდანაც იკვეთება, რომ დაწესებულება ითვალისწინებს მოსწავლეთა და მშობლების ინტერესებს, მასწავლებლების ინიციატივებსა და წინადადებებს. აღსანიშნავია, რომ მთელ სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს ამ საკითხის მნიშვნელობა და სამომავლოდ გეგმავს „კურირულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში (რომელიც წარმოდგენილია ზოგადი ფორმულირებებით) მკაფიოდ იქნას გაწერილი სასკოლო საზოგადოების (მოსწავლე, მასწავლებელი, ადმინისტრაცია, მშობელი, თემი) ინტერესების, პრიორიტეტების გამოკვეთისა და რეალიზების მექანიზმები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კერძოდ, საჯარო სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმი, რომელთა შემუშავების პროცესში ჩართული იყვნენ სასკოლო საზოგადოების წევრები, მათ შორის მშობლები და სკოლის

ადმინისტრაცია, რაც დასტურდება სასკოლო სასწავლო გეგმით, პედსაბჭოსა და კათედრის ოქმით, თვითმმართველობის პროექტითა და მშობლებთან შეხვედრებით. კათედრის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ტარდებოდა მიზნობრივად დაგეგმილი შეხვედრები სკოლაში კათედრის წევრებთან, პედაგოგები აქტიურად ესწრებოდნენ სასკოლო საზოგადოებისათვის მხარდაჭერის გარე ღონისძიებებს (ტრენინგებს, შესაბამისი საგნობრივი ჯგუფებისთვის გამიზნულ სემინარებს და სხვა). სკოლაში არსებობს მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული დამრიგებლის სამოქმედო გეგმები. მოსწავლეთა ჩართულობით ადგენენ სადამრიგებლო საათის შინაარსს. კლასის ხელმძღვანელების დახმარებით მშობლები ჩართული არიან სხვადასხვა პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. ამისთვის იმართება მშობელთა კრებები, სადაც განიხილება სწავლა-სწავლების მიზნები, სასკოლო კურიკულუმი, სასწავლო რესურსების გამოყენებისა და შეფასების პრინციპები. ასევე განიხილება, თუ რა ფაქტორები უწყობს ან უშლის ხელს მშობლების სასწავლო პროცესში ჩართვასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებით მათი შეხედულებებისა და ინტერესების შესწავლას. ამ ეტაპზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში იკვეთება მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების ინტერესების გათვალისწინების მაგალითები და ჩართულობის ელემენტები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. <u>კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კერძოდ,</u> სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ მოწოდებულ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ დოკუმენტებზე დაყრდნობით, საბაზო საფეხურის პედაგოგთა აქტიური ჩართულობით შემუშავდა საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები მე-7, მე-8 და მე-9 კლასებისათვის. ამასთან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტიდანაც იკითხება, რომ სასკოლო საზოგადოება მუდმივად ინფორმირებულია სასწავლო პროცესში არსებულ გამოწვევებსა თუ მიღწევებზე, ტარდება ინდივიდუალური შეხვედრები დაინტერესებულ პირებთან, ტარდება მშობელთა კრებები, სოციალური ქსელის გამოყენებით ზიარდება საჭირო ინფორმაცია. იმისათვის, რომ სასკოლო კურიკულუმების მიმართ სასკოლო საზოგადოების წევრებს ჰქონდეთ მეტი მიკუთვნებულობის განცდა, სკოლა მომავალში იზრუნებს, გამონახოს სხვადასხვა ფორმა და შეიმუშაოს მეთოდოლოგია მშობელთა ჩართულობის გაზრდისთვის მიმდინარე პროცესებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. <u>სსიპ ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლის შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.</u> კერძოდ, მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს, კურიკულუმის ჩარჩო საფეხურზე წარმოდგენილია საბაზო საფეხურის ყველა კლასში. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, მითითებულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ცოდნის ტრანსფერს უწყობს ხელს. წარმოდგენილი კურიკულუმი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისადაა შექმნილი და მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას აძლევს. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა სურათი, რომელიც გვაძლევს იმის დასკვნის შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესში უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს. ახალ სასწავლო წელს შეხვდებიან სრულიად ახალი გადამუშავებული კომპლექსური დავალებებით. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო იძლევა საშუალებას, განისაზღვროს საფეხურის მზაობა მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის სრულყოფილად დაგეგმვისათვის. გასაუბრებიდან გაირკვა, რომ მასწავლებლები ხშირად იყენებენ სწავლების დიფერენცირებული მიდგომებისთვის საჭირო სხვადასხვა მეთოდს, აქტივობას. ითვალისწინებენ მოსწავლეთა უნარებს, შესაძლებლობებს, ცოდნის დონეს და შესაბამის დავალებებს აძლევენ. შექმნილი აქვთ დიფერენცირებული მიდგომებისათვის საჭირო რესურსებიც, რომელიც სკოლას დოკუმენტის სახით არ წარმოუდგენია.

შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას იმდენად, რამდენადაც მასში მოცემული კომპლექსური დავალებები/აქტივობები, საშუალებას იძლევა, მოსწავლე იყოს სასწავლო პროცესის სუბიექტი და საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ასევე, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ საკუთარი ემოციები და ინტერესები. მაგალითად, მე-8 კლასის, ფრანგული ენის ერთ-ერთი კომპლექსური დავალების თანახმად, მათ უნდა გადაიღონ საყვარელი კერძის მომზადების ამსახველი ვიდეორგოლი და წარადგინონ იგი კლასის წინაშე. ისინი თავად წყვეტენ რომელ კერძს აარჩევენ, როგორ ჩაწერენ ვიდეოს (მაგალითად ხმოვანი სუბტიტრებით გააკეთებენ თუ თავად ისაუბრებენ და ა.შ), რა ინფორმაციას წარმოადგენენ ვიდეორგოლში და ა.შ. რუსულის ენის მე-7 კლასის კომპლექსური დავალების პირობაც, სადაც მოსწავლეებმა უნდა შექმნან პოსტერი თემაზე, ''ჩემი ოცნების სკოლა'', სადაც გამოიყენებენ ნახატებს/ფოტოებსა და განმარტებით წარწერებს. მოსწავლეები ამ შემთხვევაშიც თავისი სურვილით წყვეტენ როგორ გააფორმებენ პოსტერს, ან რა ფორმატს აირჩევენ პოსტერის გასაკეთებლად (თბახაზე, ვორდის ფაილში აწყობილი თუ PPT-ში აწყობილი და .აშ.), რა ინფორმაციას დაიტანენ

მასზე და ა.შ. ინგლისური ენის ერთ-ერთი კომპლექსურის დავალების პირობის მიხედვით (კლასი IX), მოსწავლეებმა უნდა მოამზადოს ბლოგ-პოსტი თემაზე: გადაშენების პირას მყოფი ცხოველები და ა.შ.

საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში მოცემულია მრავაფეროვანი და მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული კომპლექსური დავალებები, მაგ. ისეთი როგორიცაა- ბიოლოგიაში - მოწევა კლავს, ფერმენტების მნიშვნელობა, ფიზიკაში- კატაპულტის შექმნა და სხვ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2. სსიპ ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). კერძოდ, სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში ძირითადად გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები და შესაბამისი ქვეცნებები. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, მითითებულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ცოდნის ტრანსფერს უწყობს ხელს. საბაზო საფეხურზე მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტებს (რეპორტაჟი, ესე, ლიტერატურული პორტრეტი, იგავის შექმნა ანდაზის საფუძველზე და სხვ.), რომელთა საშუალებითაც ისინი ადასტურებენ ცოდნას საგნობრივ საკითხზე და ექმნებათ მკვიდრი წარმოდგენები. ასევე, შეფასების რუბრიკების დახვეწითა და განვითარებით, მკაფიოდ იქნება გამოხატული მოსწავლეთა ნაშრომების საუკეთესო თუ გასაუმჯობესებელ მხარეები. ქართული ენის პედაგოგებმა საუბრისას აღნიშნეს, რომ კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ავითარებს სხვადასხვა კომპეტენციას. მაკროცნებების გააზრება ხდება სამიზნე ცნებებზე მუშაობის პროცესში. მასწავლებლებმა, ასევე, აღნიშნეს, რომ მოსწავლის მიერ თხზულებაზე მუშაობის დროს, ცხადია, მათ უვითარდებათ ნარატივის უნარი. ამ შემთხვევაში კი აქტიურდება მაკროცნება ,,წიგნიერება". კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის დოკუმენტები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს.

მათემატიკის კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების შესაძლებლობას ქმნის. ფუნქციურ-კომპონენტური უნარების და მაკროცნებების გააქტიურება იკვეთება კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპზე. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას ხდება მოსწავლის პიროვნული ზრდა, სამიზნე ცნებებზე, გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირება. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების(მაგ. "სადეზინფექციო ხნარის დამზადება" მეშვიდე კლასი, ,, გასართობი პარკის დაგეგმარება" მერვე კლასი „სამუხრუჭე მანძილი"მეცხრე კლასი) პირობებიდან ჩანს, რომ შესაძლებელია დავალების შესრულების პროცესში ამ უნარების გააქტიურება. მოსწავლეს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად უწევს ითანამშრომლოს მასწავლებელთან და თანაკლასელებთან, იაზროვნოს კრიტიკულად, დასახოს გეგმა, გააკეთოს დასკვნები, მოსწავლე დავალების წარდგენის დროს საუბრობს იმ გზაზე,იმ სტრატეგიებზე,რომელთა მეშვეობითაც შეძლო დავალების შესრულება, ბოლოს აკეთებს რეფლექსია რა გაუჭირდა, რა გააკეთა კარგად, რას შეცვლიდა სამომავლოდ და ა. შ. გარემო.

უცხოური ენების საგნობრივი ჯგუფი ხელს უწყობს შემოქმედებითობის უნარის განვითარებას; მოსწავლეებს უწევთ საკუთარი ფანტაზიის საფუძველზე შექმნან შექმნან მაკეტი, გეგმა ან ვიდეო თემაზე, ''ჩემი ოცნების სკოლა'', ტურისტული სააგენტოსთვის შექმნან ბუკლეტი, მეგობარს მიწერონ წერილი გერმანიისა და საქართველოს სასკოლო სისტემის თავისებურებებზე, დაწერონ ბლოგპოსტი გადაშენების პირას მყოფი ცხოველების შესახებ და ა.შ. კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებას: მე-9 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმის ერთ-

ერთი კომპლექსური დავალების მიხედვით მოსწავლეებმა ტურისტებისთვის უნდა დაამზადონ ბუკლეტი თბილისისა და ლენინგრადის ღირსშესანიშნავი ადგილების შესახებ. ამისათვის მოსწავლეს დასჭირდება დაფიქრდეს თუ რომელი გამორჩეული ადგილებია აღნიშნულ ქალაქებში, რომელი მათგანის შეტანა იქნება უფრო საინტერსო ბუკლეტში და რატომ, უნდა მოიძიოს გარკვეული ინფორმაცია ამ ადგილების შესახებ, დაამუშაოს იგი და გამოყოს მისთვის საჭირო ინფორმაცია. მოსწავლე, ასევე, უნდა დაფიქრდეს ბუკლეტის დიზაინზე და გადაწყვიტოს როგორ გააკეთოს იგი- თაბახზე, ვორდის პროგრამით თუ სხვა მისთვის უფრო მოსახერხებელი ვერსიით და ა.შ. ტექნიკური საკითხების გარდა, მოსწავლემ უნდა აარჩიოს სათანადო ლექსიკური და გრამატიკული ერთეულები, გაითვალისწინოს ტექსტის ფორმატი და მისი მახასიათებლები. როგორც ვხედავთ, მოსწავლეს უწევს რამდენიმე ასპექტის გაანალიზება და ერთმანეთთან დაკავშირება საბოლოო პროდუქტის მისაღებად და ამდენად, აღნიშნული დავალება მოსწავლისგან მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას. მსგავს პროცესებს მოითხოვს სხვა კომპლექსური დავალებებიც და ამდენად საბაზო საფეხურზე, უცხოური ენების კათედრა, ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებასაც. კომუნიკაციის უნარი ვითარდება წარმოდგენილი კურიკულუმებით ნამდვილად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელი ეწყობა აღნიშნული უნარის ჩამოყალიბებას იმდენად, რამდენადაც მათ უწევთ კომპლექსური დავალებების წარდგენა პრეზენტაციების სახით, კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ელემენტების შერჩევა იქნება ეს მეტყველების ტემპი, ინტონაცია, მახვილი თუ ჟესტიკულაცია. წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია რამდენიმე დავალება, სადაც მოსწავლეებს უწევთ საბოლოო პროდუტქის წყვილებში ან/და ჯგუფურად წარდგენა (როლური თამაში, ''საყიდლებზე'' (ფრანგული ენა, კლასი 7; ჯგუფური პრეზენტაცია სასურველი ცნობილი ადამიანის შესახებ და ა.შ.). აღნიშნული დავალება, მოსწავლეებს ხდის ანგარიშვალდებულს ერთმანეთის მიმართ, იმდენად, რამდენადაც მათ აქვთ საერთო მიზანი და ამ მიზნის მისაღწევად სჭირდებათ შეთანხმებული მუშაობა. უცხოური ენების კურიკულუმებში მოცემული სხვა კომპლექსური დავალებები არის ინდივიდუალურად შესასრულებელი, თუმცა კათედრის წევრებმა აღნიშნეს რომ ისინი აქტიურად ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებს, რომლის ფარგლებშიც ხდება აღნიშნული უნარის განვითარების ხელშეწყობა. ერთ-ერთი მათგანია სასწავლო პროექტი, „პატივს მივაგებთ ალჟირსა და ტუნისს“, რომლის განხორციელებაშიც უცხო ენების კათედრასთან ერთად ჩართული იყო ესთეტიკის კათედრაც. მოსწავლეებმა მოამზადეს პრეზენტაციები ხელოვნებისა და ფრანგული ენის მასწავლებლების დახმარებით, ხოლო მუსიკის მასწავლებლის უშუალო ჩართულობით შეისწავლეს ფრანკოფონიის ჰიმნი და წარსდგნენ აუდიტორიის წინაშე. „ Hymne à la Francophonie“ მოსწავლეებს უწევდათ ერთად მუშაობა, რათა წარედგინათ ერთობლივი პრეზენტაციები და სხხვა საერთო ნამუშევრები. მსგავსი ტიპის ერთობლივ მუშაობას მოითხოვდა ყველა სხვა პროექტებიც და შესაბამისად, ხელი შეეწყო საერთო პასუხისმგებლობის უნარის განვითარებას. გამომდინარე იქიდან, რომ პროექტებზე მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს გუნდურ მუშაობას, საერთო მიზნების დასახვას საკითხის საკვლევად და შესასწავლად, ფუნქციების გადანაწილებას და პასუხისმგებლობის აღებას ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელი ეწყობა მოსწავლეებში კოლაბორაციული უნარის განვითარებასაც.

კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებლები, ლექსიკა, გრამატიკა. ზოგიერთი კომპლექსური დავალება მოსწავლეებისგან მოითხოვს წერილის მიწერას მეგობართან (კლასიVIII, რუსული ენა), ბლოგ-პოსტის დაწერას თემაზე: გადაშენების პირას მყოფი ცხოველები (ინგლისური, მე-9 კლასი) და ა.შ. აღნიშნული დავალებები ხელს უწყობს წერითი უნარ-ჩვევის განვითარებას და გადის შემდეგ სამიზნე ცნებებსა და შედეგებზე: სამიზნე ცნებები - :ტექსტი (ტექსტის სტრუქტურა), სამეტყველო ქმედება (კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებლები, წერის სწავლის სტრატეგიები), ენობრივი საშუალებები(გრამატიკა, ლექსიკა) შედეგები - Iუცხ.საბ.3. წარმოდგენილი კურიკულუმები ხელს უწყობს კულტურათა დიალოგის სამიზნე ცნებისა და შედეგების დაფარვასაც. მაგალითად, მე-9 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმის ერთ-ერთი კომპლექსური დავალების მიხედვით მოსწავლეებმა ტურისტებისთვის უნდა დაამზადონ ბუკლეტი თბილისისა და ლენინგრადის ღირსშესანიშნავი ადგილების შესახებ. აღნიშნული დავალებით მოსწავლეები გაეცნობიან სხვა ქალაქის

ღირსშესანიშნავ ადგილებს, შეადარებენ მათ თბილისის ღირსშესანიშნავ ადგილებს და გაავლებენ პარალელებს. კულტურათა დიალოგის მიმართულებით მუშაობას უწყობს ხელს რუსული ენის მე-9 კლასის კომპლექსური დავალებაც, რომლის მიხედვითაც მოსწავლემ მეგობარს უნდა მიწეროს წერილი გერმანიისა და საქართველოს სასკოლო სისტემის თავისებურებებზე. მსგავსი ტიპის დავალებები საკმაოდაა წარმოდგენილი სხვა კლასების კურიკულუმებშიც და ამდენად, შეგვძლია ვთქვათ, რო აღნიშნული მიმართულებით მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს სსიპ ქ. თბილისის N71 საჯარო სკოლაში. რაც შეეხება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს (შედეგები: I უცხ.საბ (1,2,3), რომლებიც კითხვის უნარ-ჩვევის განვითარებას მიემართება; მაგალითად, ამა თუ იმ საკითხის შესახებ ბლოგ-პოსტისა და ბუკლეტის დასწერად ან პრეზენტაციის წარსადგენად მათ ჯერ უნდა დაამუშაონ სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტები და შემდეგ მოიძიონ დამატებითი ინფორმაცია, დაამუშაონ იგი, ამოკრიბონ საჭირო ინფორმაცია და ისე გადაიტანონ საკუთარ ნაშრომებში. მსგავსი პროცესებია საჭირო თითქმის ყველა კომპლექსური დავალების შესასრულებლად და ამდენად, ხელი ეწყობა კითხვის უნარ-ჩვევის განვითარებას.

მოსწავლეებში კრიტიკული, შემოქმედებითი და თანამშრომლობითი უნარების განვითარების მიზნით განხორციელდა პროექტი: ,,არა ძალადობას! ძალა უფლებას!'' გაიმართა ფილმების: ,,შინდლერის სია", ,,დამალული ფიგურები'' ჩვენება და დისკუსია ჰარკნესის მეთოდის გამოყენებით. პროექტი ხორციელდება USAID - ის მხარდაჭერითა და პარტნიორობით სამოქალაქო განათლების მიმართულებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. <u>სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.</u> კერძოდ, სასწავლო პროცესი იგეგმება დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებით. საბაზო საფეხურზე თითოეულ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომა, რაც გამოკვეთილია კომპლექსური დავალების პირობასა და კონკრეტულ აქტივობებში. საბაზოს საფეხურის კურიკულუმი საკმარისად დატვირთულია კომპლექსური დავალებებით. კომპლექსური დავალებებით სწავლება, თავისთავად მოიაზრებს დავალების პირობისა და საეტაპო აქტივობების დიფერენცირებას. დიფერენცირება იკვეთება კომპლექსური დავალების პროდუქტის სახეობის შეთავაზებაშიც. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა განსხვავებული თავისებურებები, სწავლის სტილი, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, აქტივობები შერჩეულია დაბალი, მაღალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის. მოსწავლეებს სთავაზობენ მის საჭიროებებზე მორგებული დავალებებს, მათ შესასრულებლად აძლევენ შესაბამისის დროს. საუბრისას ასევე აქცენტი კეთდება არჩევანის თავისუფლებაზე, მაგ., როდესაც ბუნებისმეტყველებაში აქვთ კომპლექსური დავალების პროდუქტი და მუშავდება რომლიმე კონკრეტული გრძელვადიანი მიზნები, მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ დაამზადოს კომპლექსური დავალების პროდუქტი მისთვის სასურველ ფორმატში (ხელით ან ელექტრონულად, ასევე პოსტერი ან ბუკლეტი და ა.შ)

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებისათვის ცნობილია სწავლის დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. საბაზო საფეხურზე სწავლა მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე, რაც განაპირობებს ბავშვის მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები ითვალისწინებენ ყველა ბავშვის ფიზიკურ თუ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, კერძოდ მოსწავლეები იღებენ ინდივიდუალურ დავალებებს, სადაც უნდა შეასრულონ სხვადასხვა მოძრაობა ან ვარჯიში, მოსწავლის შესაძლებლობიდან გამომდინარე შეიძლება გამარტივდეს ან გართულდეს დავალება, რათა მათი განვითარებისთვის ეფექტური გახდეს პროცესი. ეს ყველაფერი გათვალისწინებულია კომპლექსურ დავალებებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. სსიპ ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. კერძოდ, წარმოდგენილია შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლის მიხედვითაც ხორციელდება შეფასება. სკოლა იყენებს სოლო ტაქსონომიით შეფასებას კომპლექსური დავალებების შესაფასებლად. ასევე ხორციელდება ურთიერთშეფასება და თვითშეფასება მოსწავლეების მიერ. პედაგოგების მიერ 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი, ხოლო დიაგნოსტიკური შეფასების პირველი ინსტრუმენტი. პედაგოგების მიერ იგეგმება 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასება ყოველი შერჩეული კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი რუბრიკების შექმნა.

ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ აღინიშნა, რომ შეფასების პროცესში აქტიურად რთავენ მოსწავლეს, მიმართავენ როგორც მოსწავლეთა თვითშეფასებას, ისე ურთიერთშეფასებას. შეფასება გააზრებულია, როგორც სწავლის პროცესის გაუმჯობესების შესაძლებლობა.

უცხოური ენების მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ ისინი იყენებენ როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ შეფასებას და კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას, აკვირდებიან პროცესს, ინიშნავენ მოსწავლეთა აქტივობებს და პერიოდულად აწვდიან უკუკავშირს, სადაც აღნიშნავენ რა გააკეთეს კარგად და რა აქვთ გამოსასწორებელი. უკუკავშირს უბრუნებენ კონკრეტული კომპლექსური დავალების ფარგლებში წარსადგენ პროდუქტთან მიმართებით. გამომდინარე იქიდან, რომ კომპლექსური დავალება არის გრძელვადიან მიზნამდე მისვლის საშუალება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებლის მიერ გაცემული განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებს. ამას ადასტურებს მათი მერ დოკუმენტებში წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ნაწილი რუბრიკების გარკვეული კრიტერიუმებიც (მაგალითად: ''გამოხატავს პერსონაჟის დამოკიდებულებას, ემოციას'', ''ადეკვატურად იყენებს ზეპირი მსჯელობისათვის დამახასიათებელ არავერბალურ საშუალებებს (მაგ., ჟესტიკულაციას, ინტერვალს საუბარში, ხმის სხვადასხვა დონეს'' და ა.შ.). მიუხედავად იმისა, რომ კათედრას ამ მიმართულებით აქვს გარკვეული გამოცდილება, რუბრიკები საჭიროებენ მეტ კონკრეტიკას და სიზუსტეს. საჭიროა რუბრიკები მორგებული იყოს კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე და იძლეოდეს საკითხის სიღრმისეულად შეფასების შესაძლებლობას. ზოგიერთი წარმოდგენილი რუბრიკა არის ზოგადი და ბუნდოვანი. მაგალითად, საშინაო დავალების შეფასების რუბრიკა, რომლის 10-9 ქულით შეფასების კრიტერიუმებია: ''ყოველთვის შესრულებული აქვს წერითი დავალება, რომელშიც ძალიან იშვიათადაა შეცდომა დაშვებული. დაშვებულია თვეში 1-2 დავალების არშესრულება''; ''ყოველთვის მზადაა ზეპირმეტყველებაში დავალების პრეზენტაციისთვის.''; იშვიათად უშვებს 2-3 ენობრივ შეცდომას. აქვს სწორი გამოთქმა (მუდმივად აკონტროლებს მეტყველებას)'' წერითი საშინაო დავალება შეიძლება იყოს განსხვავებული, მაგალითად იყოს ესე, ფორმალური წერილი ან არაფორმალური წერილი და თითოეული მათგანი თავისი არსით საჭიროებენ განსხვავებულ კრიტერიუმებს. წარმოდგენილი რუბრიკით კი ასეთი დავალებების სიღრმისეულად შეფასება ვერ მოხერხდება. მსგავსი ხარვეზებია სხვა რუბრიკებშიც.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ განმავითარებელი შეფასებისას იყენებენ ზეპირ და წერილობით უკუკავშირს, გასასვლელ ბილეთებს, სოლო ტაქსონომიას. მიმართვენ შეფასების ფორმებს: მასწავლებლის შეფასება, ურთიერთშეფასება. შეფასება მასწავლებლების მხრიდან განიხილება შედეგების გაუმჯობესების გზად. შეფასებისა თვალისწინებენ თემის შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. (საგან ისტორიაში წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების

რუბრიკა თემის შედეგების მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით , ასევე წარმოდგენილია საგან ისტორიაში განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის მიხედვით). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 5. სსიპ ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. კერძოდ, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სისტემატურად ხვდებიან ერთმანეთს და უზიარებენ წინარე გამოცდილებას, განიხილავენ იმ გამოწვევებს, რომლის მოგვარებასაც სექტემბრიდან გეგმავენ, რათა უკეთესად დაგეგმონ სასწავლო პროცესი. პედაგოგები გასაუბრების პროცესში აღნიშნავენ, რომ სასკოლო კურიკულუმისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზს შეძლებენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ეს შეიძლება იყოს მასწავლებლის პირადი პორტფოლიოს ანალიზი; მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი; მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები; პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები და ა.შ.

საბაზო საფეხურზე კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული იქნა 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების გამოცდილება. სასწავლო წლის ბოლოს საბაზო საფეხურის საგნობრივი კათედრები შეიკრიბნენ და იმსჯელეს განვლილი სასწავლო წლის განხორციელებული კურიკულუმების შესახებ. მასწავლებლებმა გამოკვეთეს მუშაობის პროცესში იდენტიფიცირებული პრობლემები, გაუზიარეს ერთმანეთს მოდიფიცირებული კურიკულუმები, რომლებიც მორგებული იყო მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს, იმსჯელეს შეტანილ ცვლილებებზე, რაც განახორციელეს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში.

სკოლას წარმოდგენილი აქვს ანგარიშის/ანალიზის რამდენიმე დოკუმენტი, სადაც გაანალიზებულია შემაჯამებელი სამუშაოები, გამოყოფილი აქვთ ძლიერი და სუსტი მხარეები და გაუმჯობესების გზები. მაგალითად მე-7 კლასის შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის დოკუმენტში ნახსენებია რომ ზოგიერთ მოსწავლეს გაუჭირდა დროების, ზმნიზედების , სიტყვების სწორად გამოყენება. ამის მიზეზი, მასწავლებლის თქმით, იყო ის, რომ შემაჯამებელი დავალების ინსტრუქცია არ იყო სათანადოდ გაწერილი და დასჭირდა მათი ახსნა. მისივე თქმით, საჭიროა დამატებითი ლიტერატურიდან დავალებების მიცემა გრამატიკაში. ერთ-ერთ შემაჯამებლ სამუშაოში გაუჭირდათ ზეპირმეტყველების დავალებების შესრულება და ამის გასაუმჯობესებლად დაგეგმა შესაბამისი აქტივობები, მართალია, არაა ხსენებული კონკრეტული აქტივობები, მაგრამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებელი ნამდვილად ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. ანალიზის სხვა დოკუმენტებიც მსგავსი სტილითაა გაკეთებული. დოკუმენტაციის გარდა, მასწავლებლებმა ინტერვიუს დროსაც აღნიშნეს, რომ ყოველთვის ცდილობენ გამოიყენონ წინა წლის წარმატებული პრაქტიკა და იმუშაონ სუსტი მხარეების გაუმჯობესებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი
- საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით საგნობრივი კურიკულუმები

- საგან ისტორიაში -განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სსიპ ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლის სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. კერძოდ, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას მასწავლებელები ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლე, როგორც ცენტრალური ფიგურა, დაგეგმონ აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას, მოსწავლეებს აქვთ საშუალება იმსჯელონ, იფიქრონ და მოიძიონ პრობლემის გადაჭრის გზები, გეგმავენ და შემდეგ ახორციელებენ სხვადასხვა მიზნობრივ ქმედებებს. მათემატიკის სწავლებისას შეთავაზებულია მრავალფეროვანი ინტერაქტიული აქტივობები. (მაგალითად, „სახალისო მათემატიკა“- სუპერ ოლიმპიდა). უცხოური ენების სწავლების დროს მოსწავლეები ასრულებენ სხვადასხვა

ტიპის დავალებებს, იქნება ეს პრეზენტაციები, პოსტერების შედგენა, ბლოგ-პოსტის დაწერა, წერილის მიწერა მეგობრისთვის, ვიდეორგოლის გადაღება, მაკეტის გაკეთება თუ დიალოგის შედგენა. ყველა მათგანი მოითხოვს შემოქმედებითობას და აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. გარდა ამისა, სკოლას (მათ შორის უცხოური ენების კათედრასაც) აქვს საკმაოდ ბევრი პროექტი, რომლებიც დატვირთული იყო სხვადასხვა აქტივობებით და ნათელი მაგალითებია იმისა, რომ რომ სკოლაში მოსწავლეები ჩართულნი არიან აქტიურ და შემოქმედებით პროცესებში და აქვს აქტიური სასწავლო პროცესების წარმართვის როგორც მზაობა, ისე გამოცდილება.

საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო სწავლებისას ისეა შერჩეული კომპლექსური დავალებები, რომ მოსწავლეები აქტიურად ჩაერთონ სწავლების პროცესში და განივითარონ შემოქმედებითი უნარები. ამას ადასტურებს მასწავლებელთან საუბარი და მის მიერ აღწერილი პოცესები, აქტივოებები რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეების მიერ სხვადასხვა სახის პროდუქტის შექმნას, მაგ ფიზიკაში დეგეგმილია კომპლექსური დვალების ფარგლებში, მოსწავლეებმა დაამზადონ კატაპულკა, ბიოლგიაში-სხვადასხვა სახის მოდელები.ასევე პოსტერები, მოდელები,ბუკლეტები.

სკოლაში მოსწავლეთა თვითმართველობის ინიციატივა მხარდაჭერილი და აღიარებულია. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმებში დადგეგმილი საკითხების შეწავლის პროცესი მოსწავლისაგან ითხოვს ფიქრს, მსჯელობას, მოსაზრებების ჩამოყალიბებას, პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას, ნასწავლის სხვადასხვა კონტექსტში განხილვას. მოსწავლე ხდება საკუთარი სასწავლო პროცესის დამგეგმავი, თანამშრომლობს კლასელებთან, იზაირებს პასუხისმგებლობას და შესაბამისად არის მოტივირებული. აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას განსაკუთრებით უწყობს ხელს კომპლექსური ბუნების დავალებები, სკოლაში არაფორმალური აქტივობები ასევე ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას (მაგალითად: პროექტული სწავლება , სამოქალაქო განათლების კლუბის და მოსწავლეთა თვითმმართვეობის საქმიანობა).

ფიზიკური აღზრდა და სპორტი საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი თემები და კომპლექსური დავალებები, იძლევა მოსწავლის აქტიურად პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. აღნიშნული დავალებები მრავალფეროვანია, მოიცას სხვადასხვა ტიპის ფიზიკურ აქტივობასა და თეორიულ საკითხს. მასწავლებელები ზრუნავენ ბავშვების მოტივაციაზეც, რათა მათი ჩართულობა იყოს მაღალი, შექმნილი გარემო, ინფრასტრუქტურა და ინვენტარი, ასევე სასკოლო ფესტივალები, სახალისო შეჯიბრები და მსგავსი ტიპის აქტივობები ზრდის მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. <u>სსიპ ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლის ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.</u> კერძოდ, წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას სასკოლო საზოგადოება ცდილობს გაითვალისწინოს მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება ცოდნის კონსტრუირების გზაზე. ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებით, რომლის შესრულებისას მოსწავლემ უნდა გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა . პედაგოგები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების

ელემენტების დაგეგმვა/განცორციელება, რათა დაეხმაროს სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებასთან მიუახლოებაში, რაც მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება.

მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებები, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი. კომპლექსური დავალებებში პირობას მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები შემოაქვს და ნაცნობი საკითხის მეშვეობით შეძლებენ დავალებაში არსებული პრობლემის გადაჭრას. სასწავლო პროცესში შექმნილი გარემო ეხმარება მოსწავლეებს, რათა მათ ინფორმაცია არ მიიღონ როგორც ფაქტი, არამედ თავად აღმოაჩინონ და გააკეთონ დასკვნები, რაც ხდება ანალიზსა და სინთეზზე დაფუძნებული მეთოდით.

თვითშეფასების განაცხადის და მასწავლებლებთან გასაუბრების თანახმად წინარე ცოდნის გააქტიურებისათვის საზოგადოებრივ მეცნიერებების სწავლებაში გამოიყენება შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები, კოგნიტური ცხილები, და სხვა. ფორმალურ განათლებას აძლიერებს არაფორმალური განათლების კომპონენეტები, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მოსწავლის გამოცდილებასთან დაახლოებას და ზრდის მოტივაციას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აქვთ გამოცდილება და მზაობა ფორმალური და არაფორმალური აქტივობები დაგეგმონ ინტეგრიერბულად.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები შემუშავებულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კერძოდ, კომპლექსური დავალებები ეტაპობრივად პროგრესირებს და რთულდება კლასების მიხედვით. ეტაპობრივად ნასწავლ მოძრაობებს მოყვება ახალი, უფრო რთულად შესასრულებელი მოძრაობები რაც სხვადასხვა კოორდინაციული თუ ფიზიკური უნარის განვითარებას მოითხოვს. ახალი დავალებების შესრულებისთვის აუცილებელია ძველის ცოდნაც, რაც განამტკიცებს წინარე ცოდნას და უზრუნველყოფს ახლის ათვისებას. მსგავსი ტიპის მიდგომა სპორტში ეფექტურია დროის მონაკვეთში მაქსიმალური შედეგის მისაღწევად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სსიპ ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლის სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. კერძოდ, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას პედაგოგები ცდილობენ, გაითვალისწინონ სწავლა-სწავლების მიზნები: მოსწავლეს განუვითარონ გამჭოლი უნარები და ღირებულებები. საბაზო საფეხურის მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებების პირობების სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი მეტად გაკეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების ხელშეწყობაზე, მოსწავლეთა მიერ შესრულებული სამუშაოს რეფლექსიის წახალისებაზე, შესრულებული დავალებების ანალიზზე. მეტად წახალისებული იქნება მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი (თვითრეგულირებული სწავლა).

საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმით დაგეგმილი საკითხების შესწავლა, კომპლექსური დავალების იდეების გახორციელება მოიაზრებს სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებას. დავალებების საკვანძო შეკითხვებზე მუშაობა სწორედ მეტაკოგნიციას გულისხმობს. მოსწავლეს უხდება საკუთარი სასწავლო პროცესის ანალიზი, მისთვის მოსახერხებელი სწავლის სტრატეგიების შერჩევა/შეფასება. საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. სწავლა-სწავლების პროცესში შექმნილია ისეთი გარემო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა განსხვავებული ხედვების წარმოჩენას, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. მოსწავლე

ჩართულია ისეთ აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. ერთ-ერთი მაგალითია: სამოქალაქო განათლების მასწავლებელმა განახორციელა პროექტი: ,,არა ძალადობას! ძალა უფლებას!". პროექტის განხორციელებაში ჩართული იყვნენ: პედაგოგები, მშობლები,სამოქალაქო განათლების კლუბი და თვითმმართველობის წევრი მოსწავლეები. პროექტის მიზანს წარმოადგენდა: სკოლაში ძალადობის შემცირების ხელშეწყობა ცნობიერების ამაღლების გზით,მოსწავლეებში დემოკრატიული იდეების გავრცელება და ჰუმანური ღირებულებების ჩამოყალიბება, როგორიცაა შემწყნარებლობა, თანასწორობა, არაძალადობრივი გზით მოქმედება. პროექტის აქტივობების: პედაგოგების მიერ ძალადობის თემატიკაზე მომზადებული პრეზენტაციის მოწყობა და დისკუსია მოსწავლეებთან და მშობლებთან, ცნობადი სახეების მოწვევა სკოლაში და დისკუსიის მოწყობა გავრცელებულ სტერეოტიპებზე, მათ უარყოფით გავლენაზე, სამოქალაქო განათლების კლუბის მოსწავლეების მიერ შეხვედრების მოწყობა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებთან და უმცროსკლასელების ინფორმირება, პრეზენტაცია/ დისკუსიის ჩატარება ძალადობის და სიძულვილის ენის უარყოფით გავლენაზე, ძალადობის თემატიკაზე კომიქსების კონკურსის ჩატარება. საუკეთესო კომიქსების ავტორების გამოვლენა და დაჯილდოვდება წამახალისებელი პრიზებით. თემატური ფილმების ჩვენება-განხილვა სამოქალაქო განათლების კლუბის მოსწავლეების, მასწავლებლების და მშობლების ჩართულობით; საინფორმაციო ბუკლეტების შექმნა და დარიგება თემში და ა.შ. საშუალებთ მოსწავლეებმა გააცნობიერეს, რომ საზოგადოება უნდა მოქმედებდეს და იმართებოდეს დემოკრატიული პროცესების გზით. გაიაზრეს გლობალიზაციის პროცესში მშვიდობიანი თანაცხოვრების ადამიანების უფლებებისა და მრავალფეროვნების სწავლების, სამართლიანობის, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის მნიშვნელობას. გამოიმუშავეს კრიტიკული კითხვისა და აზროვნების, ასევე შემოქმედებითი აზროვნებისა და წერის, გუნდური მუშაობის უნარები. გაძლიერდა სამოქალაქო ჩართულობა, ძალადობის პრევენცია და სკოლებში უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს შექმნის ხელშეწყობა.მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგადაც დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება ექცევა ურთიერთშეფასებას და წახალისებულია მოსწავლეთა მიერ საკუთარი სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. <u>სსიპ ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლის სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).</u> წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაზეც მეტყველებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში შექმნილი სასკოლო კურიკულუმები საბაზო საფეხურის ყველა კლასისთვის. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებები აცნობიერებენ ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარების საჭიროებას და 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსური დავალება ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე.

სკოლის ახლად შემუშავებული კურიკულუმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ყველა კლასში არჩეულია კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს დეკლარაციული ცოდნა გადავიდეს პირობისეულ ცოდნაში, პროცედურული ცოდნის გავლით. საკითხის გააზრება ხდება რეალური ცხოვრებისეული მაგალითების ფარგლებში. მაგალითად, მე-7 კლასში ჩატარდა გაკვეთილი თემაზე „შემოკლებული გამრავლების ფორმულა და მართკუთხა მიწის ნაკვეთების ფართობების შედარება." მოსწავლეებმა იციან შემოკლებული გამრავლების ფორმულები, მართკუთხედის პერიმეტრის და ფართობის გამოსათვლელი ფორმულები. მოსწავლეებს მიღებული ცოდნის ინსტრუმენტად გამოყენება უწევთ. მათ შეძლეს ფორმულების დახმარებით ცხოვრებისეული პრობლემის გადაჭრა. დაასაბუთეს რომ ერთი და იგივე პერიმეტრის შემთხვევაში

,კვადრატის ფორმის მიწის ნაკვეთს უფრო დიდი ფართობი აქვს ვიდრე მართკუთხედის მიწის ნაკვეთს. ამ აქტივობებმა მოსწავლეებში განავითარა კრიტიკული აზროვნებისა და ანალიზის უნარი, ასევე კეთებით სწავლებამ აამაღლა მათი მოტივაცია და დაეხმარა საკითხის უკეთესად გაგება-გააზრებაში.

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. წარმოდგენილი აქტივობები (კომპლექსურის სახით) მოსწავლისგან მოითხოვს არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას, არამედ პროცედურულსაც და პირობისეულსაც. მაგალითად, ერთ-ერთი კომპლექსური დავალების მიხედვით (ინგლისური ენა, მე-9 კლასი), მოსწავლემ გადაშენების პირას მყოფი ცხოველების შესახებ უნდა დაწეროს ბლოგ-პოსტი. ამისათვის მას დასჭირდება, გაიხსენოს ბიოლოგიაში ნასწავლი გარკვეული ფაქტები ცხოველებზე და ინგლისური ენის დავალებისთვის გამოიყენოს მხოლოდ ის ინფორმაცია, რასაც დავალების პირობა სთხოვს. მან, ასევე, უნდა გაიხსენოს თემის ფარგლებში ან/და მანამდე ნასწავლი ლექსიკური და გრამატიკული ერთეულები და მიხვდეს რომელი მათგანი სჭირდება ცხოველებზე ბლოგ-პოსტის დასაწერად. როგორც ვხედავთ, მოსწავლეებს ფაქტობრივი ცოდნის გარდა სჭირდებათ მისი პირობისეული გამოყენებაც. ყველა კომპლექსური დავალებისთვის მოსწავლეს დასჭირდება მსგავსი პროცესების გავლა.

საბუნებისმეტყველო საბაზო საფეხურზე ის აქტივობები, რომელსაც მასწავლებლები სთავაზობენ მოსწავლეებს საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას არის ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებული. თეორიული მასალის გადაცემას მრავალფეროვანი აქტივობებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სწავლების პროცესში. მომდევნო წლის კურიკულუმშიც გათვალისწინებულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც ითვალისწინებს ცოდნის სამივე კატეგორიაზე გათვლილ კითხვებს და აქტივობებს, მაგ., მოსწავლეები თვითონ ამზადებენ ინდიკატორებს (წითელი კომბოსტოსგან) და შემდეგ მისის დახმარებით ერთმენეთისგან განასხვავებენ მჟავა და ტუტე არეებს.

ფიზიკური აღზრდასა და სპორტში ბავშვები იღებენ თეორიულ ცოდნას, სხვადასხვა სპორტული დისციპლინის შესახებ, მათი წესებისა და შესრულების ტექნიკაზე. შემდეგი ეტაპი პრაქტიკაში გადატანაა, როდესაც მიღებული ინფორმაცია აისახება ფიზიკურ შესრულებაში. პრაქტიკულ ცოდნასთან ერთად ღრმავდება თეორიულიც. მოსწავლეებს უწევთ სხვადასხვა მოძრაობების გააზრებულად შესრულება, როდის რომელი ტექნიკური ელემენტი დასჭრიდებათ და რატომ. მოსწავლეები იწყებენ სიტუაციურად გადაწყვეტილებების მიღებას და ეფექტურად მოქმედებას მიზნის მისაღწევად. ამავდროულად იხვეწება ის სამივე სამიზნე ცნება, რაც ეროვნულ სასწავლო გეგმაშია მოცემული. მოსწავლეები ანვითარებენ ფიზიკურ თვისებებს, ცხვორების ჯანსაღ წესს, ორგანიზებულობასა და თვითკონტროლს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 5. <u>სსიპ ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კერძოდ,</u> წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირებისთვის კურიკულუმების როლი, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმებში გაწერილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, როგორც საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური

უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. მოსწავლეები საბაზო საფეხურზე ქმნიან რეპორტაჟებს, ესეს, გაზეთებს, პოდკასტებს, პიესებს, პერსონაჟის მორალურ კოდექსებს, საკუთარ მოსაზრებას ასაბუთებენ და ა.შ. შესაბამისად, მოსწავლე არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ამავდროულად იგივე მხადაჭერა შეუძლია ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენების თვალსაზრისით არაფორმალურ პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობებს, სადამრიგებლო საათზე განხორციელებულ მუშაობას, რომლის ამსახველი დოკუმენტაციაც ასევე წარმოდგენილია. პედაგოგებს აქვთ მზაობა აღნიშნული მიდგომები, წინარე გამოცდილება და ახალი მიგნებები გათვალისწინებულ იქნას სასწავლო პროცესში.

უცხოური ენები - მე-4 კრიტერიუმში მოყვანილი მაგალითიდან, ასევე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირება იმდენად, რამდენადაც მოსწავლეებს უწევთ სხვადასხვა საგნის ფარგლებში ნასწავლის მასალის გამოყენება უცხოური ენების კომპლექსური დავალებების შესასრულებლად. ცოდნათა ურთიერთდაკავშირების კიდევ ერთი მაგალითია პოსტერ-პრეზენტაციის გაკეთება მეოცე საუკუნის არქიტექტურულ შედევრებზე (ინგლისური ენა, მე-9 კლასი), რომელიც მოიაზრებს ესთეტიკის კათედრასთან ინტეგრირება. გარდა აღნიშნული ინტეგრირებისა, უცხოური ენების კათედრას ესთეტიკის კათედრასთან წარმოდგენილი აქვს ინტეგრირებული პროექტიც, „პატივს მივაგებთ ალჟირსა და ტუნისს“. საგნობრივი კურიკულუმები საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში მოსწავლეებს სთავაზობს გამოცდილებასთან ახლოს მდგომ ნაცნობ პრობლემებს, რომელთა მოგვარება მოითხოვს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთდაკავშირებულად გამოყენებას. მოსწავლე ორიენტირებულია რა პრობლემის მოგვარებაზე, უხდება წინა მასალის, ასევე სხვა საგნებში ნასწავლის გახსენება და ურთიერთკავშირში გააზრება. ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას უწყობს ხელს ასევე არაფომალური აქტივობები (პროექტები , სამოქალაქო განათლების კლუბის საქმიანობა და მმოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობა).

ფიზიკური აღზრდასა და სპორტში კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კერძოდ ცალცაკე ნასწავლი სხვადასხვა ტექნიკური ელემენტების გამოყენება უშუალოდ თამაშის დროს. მათი ცოდნის ორგანიზებით და ურთიერთდაკავშირებით ვიღებთ სრულყოფილად შესრულებლ დავალებას ასაკთან შესაბამისად. იზოლირებულად ნასწავლი მოძრაობებით, მოსწავლეები ამდიდრებენ კოორიდნაციულ უნარს, თეორიულ ცოდნასა და ფიზიკურ მონაცემებს. საბოლოოდ ხდება მიღებული ცოდნის ურთიერთდაკავშირება, შედარებით რთული მოძრაობებისა და ტექნიკური ელემენეტების შესრულება და ორგანიზებული მოქმედება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი
- საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა

- კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
- საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმის ჩართო;
- კათედრის ოქმი;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სსიპ ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლის სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. კერძოდ, სკოლის მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებსა (რესურსებს, მასალას) და საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. მნიშვნელოვანია რეალიზებული კომპლექსური დავალებები და მათზე რეფლექსია, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, აგრეთვე, საგაკვეთილო აქტივობები გააზრებული უნდა იყოს მიზანზე. პედაგოგებთან საუბრისას იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, მიუსადაგებენ სამიზნე ცნებას, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით.

სკოლის მიერ მიერ წარმოდგენილია საბაზო საფეხურის კურიკულუმებში კლასებისთვის, რომელშიც მეტწილად გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, გაწერილია თითო კომპლექსური დავალება. კურიკულუმის ჩარჩო ყველა კლასისთვის კარგად არის ორგანიზებული, გაწერილია სასწავლო პროცესი გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით, გამოყოფილია შუალედური სასწავლო მიზნები,

მათგან შერჩეულია რამდენიმე კომპლექსური დავალება. წარმოდგენილია კომპლექსური დავალების პირობა, რომელთა განხორციელებასაც გეგმავს სკოლა სასწავლო პროცესში, გაწერილია სასწავლო რესურსები. ზოგიერთ თემასთან, უმეტესად, მითითებულია არა მხოლოდ გრიფირებული სახელმძღვანელოს შესამაბისი მასალა, არამედ სხვა სახის რესურსიც. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. სსიპ ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლის საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კერძოდ, მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი უპირატესობა ენიჭება მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ემპათიური გრძნობების ჩამოყალიბებისათვის, ფსიქოსოციალური განვითარებისათვის სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა ეკოლოგიური თუ მოქალაქეობრივი კულტურის ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული პროექტი, აგრეთვე, აქვთ არაფორმალური განათლების გამოცდილება, კლასგარეშე აქტივობები, ექსკურსიები, რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. პედაგოგებმა დაასახელეს რამდენიმე ტიპის კონკურსი, რაშიც მონაწილეობის მიღება ეხმარება მოსწავლეს ფსიქო-სოციალურ განვითარებაში, მაგალითად, მხატვრული კითხვის, კალიგრაფიის, კომიქსების კონკურსი, ინტელექუალური თამაშები და ა.შ. აღნიშნეს, რომ მომავალ სასწავლო წელს ამ მიზნით დაგეგმილი აქვთ წიგნის მოყვარულთა კლუბის ჩამოყალიბება.

საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. პროექტების გამოუყენება სწავლებაში გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ხელი ეწყობა მოსწავლეთა სოციალური უნარების განვითარებას იმდენად, რამდენადც მათ უწევდათ ჯგუფურად მუშაობა საერთო მიზნის მისაღწევად და ურთიერთობას ამყარებდნენ არა მხოლოდ თანაკლასელებთან, არამედ სკოლის სხვა მოსწავლეებთან და სხვადასხვა ორგანიზაციებთან. სკოლის მიერ მოწოდებულ მასალებში (კურიკულუმის ჩარჩო, კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგია) იკვეთება, რომ სკოლაში საგნობრივი კონტექსტები სწორადაა შერჩეული. ისეთი თემებია წამოწეული წინა პლანზე, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას, სოციუმში სწორად ინტეგრირებას. კურიკულუმში ჩადებულია ისეთი საკითხები როგორიცაა ჯანსაღი ცხოვრების წესი, ჯანმრთელობა და მისი დაცვის მნიშვნელობა, წითელი წიგნი და ნუსხა, გარემოზე ზრუნვა და ა.შ

საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმში მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულად იგეგმება სასკოლო აქტივობები (ტოლერანტობის კვირეული სკოლაში და სხვა). მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ სწავლების სხვადასხვა მეთოდს: აუდიალური, რაც ითვალისწინებს ფილმების ჩვენებასაც, აუდიო ჩანაწერების მოსმენას, წიგნების გააზრებულად კითხვას, რის შედეგადაც მოსწავლეებში ვითარდება კრიტიკული აზროვნება, ამასთანავე მათში აღძრავს ემპათიის გრძნობას. გარდა ამისა, გამოიყენება ვიზუალური დიაგრამები, ცხრილები, სქემები, რუკები, სურათები, ილუსტრაციები, რაც ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. როლური თამაშები და სიმულაციები კი ეხმარება მოსწავლეებს კომუნიკაციის უნარისა და ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტისა საგნობრივი კონტექსტი პირდაპირ დაკავშირებულია მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. მოსწავლის თვითკონტროლი და ორგანიზებულობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამიზნე ცნებაა. სხვადასხვა ტიპის აქტივობა, იქნება ეს პრაქტიკული თუ თეორიული ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. გუნდურობა, შეჯიბრში მონაწილეობის დროს თავის კონტროლი, ემოციის მართვა, ურთიერთპატივისცემა განუყოფელი ნაწილია სპორტის სასწავლო პროცესის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სსიპ ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლის შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. კერძოდ, კათედრებზე შემუშავებულია შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სწორად იაზრებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მიზნებს. ასევე, იციან სოლო ტაქსონომიის, როგორც განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის მნიშვნელობა.განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში ასახულია ცოდნის კონსტრუირების დინამიკა დეკლარაციული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. შეფასების პროცესში აქტიურადაა ჩართული მოსწავლე, რაც მოსწავლის მიერ სუსტი და ძლიერი მხარეების შეფასებას და მის მიერ გააზრებული ნაბიჯების გადადგმას განაპირობებს, ეს კი მოსწავლის პიროვნული განვითარების პირობაა. სკოლას აქვს გარკვეული გამოცდილება და მზაობას აცხადებს ამ მიმართულებით მუშაობის კუთხით. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, მასწავლებელთან გასუაბრება იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას რომ მომდევნო სასწავლო წლიდან მოხდება მოსწავლეთა ჰოლისტური შეფასება და სოლო ტაქსონომიაზე დაყრდნობით მოხდება სამიზნე ცნებების ფლობის ხარისხის დადეგენა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა ცდილობს, შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი; თუმცა პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სოლო ტაქსონომიის ინსტრუმენტის დახმარებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება აქვთ და კლასში განმავითარებელი შეფასება ხორციელდება უმეტესად ზეპირი უკუკავშირის საშუალებით. საბაზო საფეხურის პედაგოგები 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის გეგმავენ უფრო მეტად სასწავლო პროცესზე მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნასა და გამოყენებას სასწავლო პროცესში მოსწავლეთა სასწავლო შედეგების გასაუმჯობესებლად, პრობლემების იდენტიფიცირებისა და შემდგომი პროცესების დაგეგმვისთვის. მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ კათედრაზე მოქმედებს მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების ერთიანი რუბრიკები. მოცემული რუბრიკები მოიცავს შემაჯამებელ დავალებებს. სასწავლო წლის დაწყებისთანავე მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აქვთ ინფორმაცია თუ რა მიზანი აქვს შეფასებას, რა ფორმით (წერითი/ზეპირი გამოცდა, ტესტირება თუ სხვ.) მოხდება შეფასება და ასევე რა შედეგი ექნება მას. ინფორმაცია მიწოდებულია ოფიციალურად ყველა მხარის პასუხისმგებლობის გათვალისწინებით. პროცესზე პასუხისმგებელი პირები უზრუნველყოფენ შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობას.

უცხოური ენებში წარმოდგენილი რუბრიკები და 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის გეგმავენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნას. წარმოდგენილი რუბრიკების კრიტერიუმების ნაწილი გამორიცხავს არაობიექტურობასა და უსამართლობას, რადგან ისინი არ იძლევა ინტერპრეტირების საშუალებას და არის ცალსახა. მაგალითად, ‘’იცავს სიტყვების ქვედა

ზღვარს'', '' შეუძლია ეფექტურად აღიქვას და გამოიყენოს არავერბალური კომუნიკაციის ფორმები (თვალით, ჟესტებით, გამომეტყველები თუ ხმით)'', ''იცავს დროის ლიმიტს ''და ა.შ. ბუნდოვანებას იწვევს რუბრიკებში წარმოდგენილი ქულობრივი გადანაწილება. მაგალითად, ერთ-ერთ რუბრიკაში, კრიტერიუმს, ''მოსწავლე იცავს დროის ლიმიტს'' მინიჭებული აქვს 0-1 ქულა. ბუნდოვანია რა შემთხვევაში უნდა დაიწეროს ''0'' და როდის ''1''. ამავე რუბრიკაში მოცემულია კრიტერიუმი ''გასაგებად აყალიბებს მოსაზრებას და თანმიმდევრულად ავითარებს მას'', რომლის ქულობრივი წილიც არის 0-1-2, თუმცა არაა გაწერილი როდის უნდა დაიწეროს 0, 1 ან 2 ქულა. მსგავსი ხარვეზებია სხვა წარმოდგენილი რუბრიკების დიდ ნაწილშიც, რაც გარკვეულწილად ხელს უშლის მოსწავლის შეფასების ობიექტურობასა და სამართლიანობას. იმისათვის რომ თავიდან ავიცილოთ არსებული ხარვეზი საჭიროა რუბრიკების გადხედვა, გაუმჯობესება და ქულების ისე გადანაწილება რომ არ რჩებოდეს კითხვის ნიშნები, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას ამ ეტაპზე აქვს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზის, შემაჯამებელი დავალებების ანგარიშის ფორმების, კათედრის წლიური ანგარიშის გამოცდილება. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში იკითხება, რომ კათედრები გარკვეული პერიოდულობით იკრიბებიან და განიხილავენ შემაჯამებელ დავალებებს, აანალიზებენ შედეგებსა და შეფასების სისტემებს. კათედრის დებულებაში ცალსახად გაწერილია მასწავლებლის მოვალეობა შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების შეფასების ინსტრუმენტების ანალიზისა. ვერიფიკაციის გარკვეული მექანიზმების დეტალები შეინიშნება სკოლის სტრატეგიულ გეგმაშიც. სკოლა სწავლობს თითოეული მოსწავლის მიღწევების დინამიკას შეფასების ინსტრუმენტებზე დაყრდნობით. სკოლაში არსებული ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი თავის დებულებაში განსაზღვრავს მასწავლებელთა საქმიანობაზე დაკვირვების, უკუკავშირის მიცემის ფორმებს. ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლას შესწევს უნარი, შეიმუშაოს და დანერგოს სასწავლო პროცესში შეფასების ვერიფიკაციის ერთიანი დოკუმენტი ისე, რომ რეალურად მოხდეს მოსწავლის მიღწევების ანალიზი, რაც ლუსტრაციაა იმისა, თუ რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენს. სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო ვერიფიკაციის დოკუმენტის პროექტი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ხდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმი
- შეფასების რუბრიკები
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

- სკოლის სტრატეგიული გეგმა
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება
- კათედრის დებულება
- კათედრის სამოქმედო გეგმა
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- მე-5 კლასის შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;
- მეთერთმეტე კლასის შემაჯამებლების ანალიზი 2022-2023;
- შემაჯამებელი წერის ანალიზი; შემაჯამებლების ანალიზი 5 კლ 2023;
- შემაჯამებლების ანალიზი-მე-7 კლასი.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
5 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში შექმნილია ნდობაზე დაფუძნებული, ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრები თანასწორნი არიან: მიუხედავად ეროვნებისა, რელიგიური აღმსარებლობისა და სქესისა. სკოლას ჰყავს შეზღუდული შესაძლებლობების, სოციალურ-ემოციური პრობლემების მქონე მოსწავლეები, ნიჭიერი ბავშვები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, უსახლკარო და სოციალური პრობლემების მქონე მოსწავლეები. კათედრის წევრები ხშირად, ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ პოზიტიურ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით (კრიტიკული მეგობარი), რაც უზრუნველყოფს მაღალ მიმღებლობას. მიუხედავად არსებული განსხვავებებისა და თავისებურებებისა, სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო სრულფასოვანი განვითარებისათვის. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი, როგორც კლასის, ისე სკოლის დონეზე.სკოლაში შექმნილია მიმღებლობითი გარემო. კერძოდ, სასწავლო პროცესში მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მოსწავლეთა მხარდაჭერას მათზე მორგებული კურიკულუმების (ინდ. სასწავლო გეგმის) დანერგვით, პროექტების, საკლუბო თუ სხვადასხვა აქტივობების

განხორციელებით . მიღებულია თითოეულის მოსაზრება, წახალისებულია მათი ინიციატივები. მოსწავლეთათვის გაცემული უკუკავშირის მიზანია პროგრესის ხელშეწყობა. სკოლის თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია, რომ ყოველივე ეს უზრუნველყოფს პოზიტიურ სასწავლო გარემოს შექმნას და ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა სახის ოლიმპიადებში (ეროვნული, კინგსი, ევერესტი), კონკურსებსა და ინტელექტუალურ თამაშებში (ყველაზე წიგნიერი, ტვინების ბრძოლა, რა? სად? როდის? ორგანიზაცია English Book Education-ის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა კონკურსში. მაგ ,,Easter in different countries", ,,Summer Reading Challenge "). ეს ყოველივე განაპირობებს პროგრესს, წარმატებას და ხელს უწყობს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას. სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებულად წარმართვის ხელშემწყობად მოიაზრება არსებული საგნობრივი კურიკულუმები რომლებიც მოსწავლეებს სთავაზობს კომპლექსური ბუნების დავალებებს, სადაც მოსწავლე თავად არის სასწავლო პროცესის დამგემავი, რაც ზრდის ავტონომიურობის განცდას. არაფორმალური აქტივობები ასევე მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე და ხელს უწყობს თანამშრომლობითი, უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნას. შეფასება ემსახურება მოსწავლეთა პროგრესის ხელშეწყობას. მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა საჭიროებებს სწავლობენ როგორც საგაკვეთილო ისე არასაგაკვეთილო პროცესში, რაც ეხმარება მათ მოსწავლეზე ორიენტირებულად სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში ინტენსიურად თანამშრომლობენ მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. საბაზო საფეხურის საგნობრივი კათედრები აქტიურად თანამშრომლობს სკოლის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან, მათ შორის: ადმინისტრაციასთან, სამეურვეო საბჭოსთან, პედაგოგიურ საბჭოსთან, მრჩეველთა საბჭოსთან, დისციპლინარულ კომიტეტთან, მანდატურის სამსახურთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან. კათედრის წევრები ხშირად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით. სამეურვეო საბჭოს წევრები/მშობლები ინფორმირებულნი არიან სასწავლო პროცესში შემოთავაზებული ინოვაციების, ახალი მეთოდების, ,,ახალი სკოლის" მოდელის ფარგლებში კურიკულუმის დანერგვის შესახებ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

კათედრის სხდომის ოქმები, მასწავლებლებთან გასაუბრება და ასევე სკოლის კურიკულუმი მეტყველებს იმაზე, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს, სადაც ჩართული ჰყავთ

მოსწავლეები პრეზენტაციებში, გამოფენებში, სპექტაკლებში, სპორტულ გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში. სკოლის მიერ ინიცირებულ აქტივობაში ერთვება მთელი სასკოლო საზოგადოება, მაგალითად, განხორციელდა პროექტი „ძველი ნივთების ახალი სიცოცხლე“, რომლის ფარგლებში საბაზო კლასების მოსწავლეების და მშობლების მიერ შექმნილი ხელნაკეთი ნივთები გამოიფინა სკოლის სივრცეში.

სამეურვეო საბჭოს წევრი მშობლები, კათედრებისა და მოსწავლეთა თვითმართველობის წევრები, სხვადასხვა შეხვედრით, მრავალფეროვანი ღონისძიებით, საინტერესო აქტივობით, სპორტულ გამაჯანსაღებელ ღონისძიებებით ხელს უწყობენ სსსმ მოსწავლეების მიმართ როგორც ბავშვებში, ამასთანავე ზრდასრულებში, პოზიტიური, კეთილგანწყობილი გარემოს შექმნას.

სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ დაწესებულებაში პოზიტიური სასწავლო კლიმატის შესაქმნელად მნიშვნელოვანი ფაქტორებია: აღიარება, პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, თანამშრომლობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს.

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორი 1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

სკოლას აქვს შემუშავებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია თუ როგორ ხორციელდება კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტში ვკითხულობთ შემდეგს: „სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან.“ **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ხდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება.**

ინდიკატორი 2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება, სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება, სკოლის ინსტიტუციური განვითარება. სკოლის ხარისხის მართვის დოკუმენტშიც ვკითხულობთ შემდეგს: „მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ“. მასწავლებლებთან გასაუბრებით ასევე დგინდება, რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა ეხმარება სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანად წარმართვას და სასკოლო საზოგადეობის საჭიროებეზეა მიმართული. **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ხდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება.**

ინდიკატორი 3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სკოლის მიერ მოწოდებულ ხარისიხს უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტში ვკითხულობთ: „არსებული სასწავლო პროგრამების /სადამრიგებლო გეგმების მონიტორინგი, მისი გუმჯობესების მიზნით, ეფუძნება სკოლის დირექციის და მასწავლებლების მიერ მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგოროვებას/ კათედრების/დამრიგებელების ანგარიშგებას და ამ ინფორმაციის გამოყენებას სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისთვის“ . კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში საუბარია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების გაანალიზებას მოსწავლეთა ჩართულობის და შედეგების მიხედვით. ასევე მასწავლებლებთან საუბრისას ასევე მასწავლებლებთან საუბრისას იკვეთება, რომ მონოტორინგის და შეფასების არსებული პრაქტიკა ნამდვილად ეხმარება მათ გადაჭრან სწავლა-სწავლების პროცესში წარმოქმნილი პრობლემები და სამომავლოდაც აპირებენ არსებული პრაქტიკის გაგრძელებას. **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ხდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციით ირკვევა, რომ მასწავლებელები იყენებენ სხვადასხვა სახის ინსტრუმენტს და სტრატეგიას მოსწავლეთა შესაფასებლად: მიმართავენ როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას, იყენებენ კომპლექსურ, თემის შემაჯამებელ და ყოველდღიურ საკლასო და საშინაო დავალებებს, ასევე არის პრაქტიკა და მომავალშიც იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასება მე-6 კლასის ბოლოს. დაგეგმილია შიდა სასკოლო გამოცდები. ეს კი გვაძლევს იმისი თქმის შესაძლებლობას, რომ სკოლაში შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს და აღნიშნული პრაქტიკა მომავალშიც გაგრძელდება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

მიუხედავად იმისა, რომ სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ზოგადი ხასიათის დოკუმენტია და ნაკლებად არის მასში გაწერილი სკოლის საჭიროებებზე მორგებული პუნქტები, მასწავლებლებთან გასუბრებისას იკვეთება, რომ საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას, ისინი ცდილობენ გაითვალისწინოს სხვადასხვა კონტექსტი მაგ., კლასის განწყობა საკითხისადმი, გარემო, წინარე ცოდნა და ასე მოახდინოს მოსწავლის შეფასება. **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ფასდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.**

ინდიკატორი 3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში და მასწავლებელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი იყენებენ მონაცმეთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს, აკეთებენ კომპლექსურ დავალებებს, წერენ ქვიზებს, ახდენენ პრეზენტირებას და ა.შ ეს ყველაფერი კი აძლევს მასწავლებელს საშუალებას უფრო მეტი გაიგოს მოსწავლის კოგნიტურ უნარებსა და ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე. სამომავლოდ ეს პრაქტიკა შენარჩუნდება. დამკვიდრებული პრაქტიკა იძლევა საფუძველს, დავასკვნათ რომ შეფასებისას სკოლა

გამოიყენებს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს. **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ხდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება.**

ინდიკატორი 4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინტერვიუდან ირკვევა, რომ მასწავლებლები შეფასებისას ცდილობენ გაითვალისწინოს გარე ფაქტორები, რომელიც ახდენს გავლენას მოსწავლის შედეგებზე. ასევე ირკვევა და დოკუმენტაციიდანაც ჩანს, რომ პედადგოგიურ საბჭოზე და კათედრის სხდომებზე ხდება შეფასების შედეგების განხილვა და ხელმშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთა, ეს კი იძლევა იმისი თქმის შესაძლელობას, რომ სამომავლოდ კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაეთმობა აღნიშნულ საკითხს. **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ფასდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- ბრძანება N2 -149/1 სსიპ ქ.თბილისის N 71 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ
- სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

3. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
4. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან (სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, კათედრის სხდომის ოქმები, მშობლეთა კრების ოქმები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმის ჩარჩო) ასევე მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად იკვეთება შემდეგი - სკოლას აქვს მზაობა შექმნას გარკვეული ტიპის მექანიზმი/საჭიროებათა პაკეტი, რომელიც ხელს შეუწყობს კურიკულუმის განვითარებას და მის მორგებას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და მოსწავლეთა საჭიროებებზე. **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ფასდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია მონიტორინგი და შეფასება, სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი კათედრის წევრების და დირექციის ინტენსიური თანამშრომლობით მიმდინარეობს. სკოლის მიერ მოწოდებული ხარისხის მართვის უზრუნველყოფის მექანიზმში ვკითხულობთ: „ხარისხის უზრუნველსაყოფად საჭიროა პროგრამების მიმდინარე სასწავლო პროცესის სისტემატური გადახედვა, კონტროლი რათა შენარჩუნებულ იქნას ხარისხი და ეფექტურობა“. ასევე კურიკულუმის ჩარჩოებიდან, კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგიიდან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად იკვეთება, რომ ეს პროცესები სასკოლო კულტურის განუყოფელი ნაწილია და კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიები სამომავლოდაც დაეფუძნება აღნიშნულ გამოცდილებას. **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ფასდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო
- კათედრის სხდომის ოქმი

- სსიპ ქ.თბილისის # 71 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა
- პროექტი "ძველი ნივთების ახალი სიცოცხლე" (ლინკი)
- შეფასების რუბრიკები;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საშუალო**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, თანდართულ დოკუმენტებში და საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოება კურიკულუმების შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს. კათედრის შეხვედრებზე მასწავლებლები მსჯელობენ მოსწავლეთა ძლიერ და სუსტ მხარეებზე, შემდეგ კი კურიკულუმის შედგენის დროს ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება, კომპლექსური დავალების აქტივობების დიფერენცირება. კურიკულუმის შემუშავების პროცესში აქტიურად არიან ჩართული მშობლები, რომლებიც სკოლას უზიარებენ თავიანთ ინტერესებსა და პრიორიტეტებს. ამდენად, გათვალისწინებულია მთელი სასკოლო საზოგადოების ინტერესები. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის ზოგადი ჩარჩო, სამომავლოდ სკოლა გეგმავს „კურირულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში უფრო მეტად ასახოს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობა და უფრო კონკრეტულად განსაზღვროს და გაწეროს, თუ ვინ და რა ფორმით მიიღებს მონაწილეობას

სასწავლო პროცესის დაგეგმვაში-მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, დირექცია. ვის რა ფუნქცია ექნება; როგორ მოხდება სასწავლო პროცესის შესახებ მონაცემთა შეგროვება და გათვალისწინება; რა ფორმით აღიწერება სწავლა-სწავლების მიზნები, მეთოდები და შეფასების ფორმები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, აგრეთვე საშუალო საფეხურისა ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესები. მოსწავლეების სურვილია, საინტერესო და მრავალფეროვანი სწავლების პროცესი მიმდინარეობდეს, მშობლები მოსწავლეთა თავისებურებებისა და უნარების გათვალისწინებით უზიარებენ მასწავლებლებს თავიანთ შეხედულებებს. წარმოდგენილია კათედრის, პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი, სადამრიგებლო პროგრამა, სასკოლო პროექტების დოკუმენტაცია, მათ შორის მოსწავლეთა თვითმმართველობისა, საიდანაც იკვეთება, რომ დაწესებულება ითვალისწინებს მოსწავლეთა და მშობლების ინტერესებს, მასწავლებლების ინიციატივებსა და წინადადებებს. აღსანიშნავია, რომ მთელ სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს ამ საკითხის მნიშვნელობა და სამომავლოდ გეგმავს „კურირულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში (რომელიც წარმოდგენილია ზოგადი ფორმულირებებით) მკაფიოდ იქნას გაწერილი სასკოლო საზოგადოების (მოსწავლე, მასწავლებელი, ადმინისტრაცია, მშობელი, თემი) ინტერესების, პრიორიტეტების გამოკვეთისა და რეალიზების მექანიზმები. **აღნიშნული ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

საჯარო სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმი, რომელთა შემუშავების პროცესში ჩართული არიან სასკოლო საზოგადოების წევრები, მათ შორის მშობლები და სკოლის ადმინისტრაცია, რაც დასტურდება სასკოლო სასწავლო გეგმით, პედსაბჭოსა და კათედრის ოქმით, თვითმმართველობის პროექტითა და მასწავლებლების მშობლებთან შეხვედრებით. კათედრის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ტარდებოდა მიზნობრივად დაგეგმილი შეხვედრები სკოლაში კათედრის წევრებთან, პედაგოგები აქტიურად ესწრებოდნენ სასკოლო საზოგადოებისათვის მხარდაჭერის გარე ღონისძიებებს (ტრენინგებს, შესაბამისი საგნობრივი ჯგუფებისთვის გამიზნულ სემინარებს და სხვა). სკოლაში არსებობს მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული დამრიგებლის სამოქმედო გეგმები. მოსწავლეთა ჩართულობით ადგენენ სადამრიგებლო საათის შინაარსს. კლასის ხელმძღვანელების დახმარებით მშობლები ჩართული არიან სხვადასხვა პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. ამისთვის იმართება მშობელთა კრებები, სადაც განიხილება სწავლა-სწავლების მიზნები, სასკოლო კურიკულუმი, სასწავლო რესურსების გამოყენებისა და შეფასების პრინციპები. ასევე განიხილება, თუ რა ფაქტორები უწყობს ან უშლის ხელს მშობლების სასწავლო პროცესში ჩართვასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებით მათი შეხედულებებისა და ინტერესების შესწავლას. ამ ეტაპზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში იკვეთება მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების ინტერესების გათვალისწინების მაგალითები და ჩართულობის ელემენტები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ მოწოდებულ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ დოკუმენტებზე დაყრდნობით, საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგთა აქტიური ჩართულობით შემუშავდა საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი კურიკულუმები მე-10 და მე-12 კლასებისათვის. ამასთან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტიდანაც იკითხება, რომ სასკოლო საზოგადოება მუდმივად ინფორმირებულია სასწავლო პროცესში არსებულ გამოწვევებსა თუ მიღწევებზე, ტარდება ინდივიდუალური შეხვედრები დაინტერესებულ პირებთან, ტარდება მშობელთა კრებები, სოციალური ქსელის გამოყენებით ზიარდება საჭირო ინფორმაცია. იმისათვის, რომ სასკოლო კურიკულუმების მიმართ სასკოლო საზოგადოების წევრებს ჰქონდეთ მეტი მიკუთვნებულობის განცდა, სკოლა მომავალში იზრუნებს, გამონახოს სხვადასხვა ფორმა და შეიმუშაოს მეთოდოლოგია მშობელთა ჩართულობის გაზრდისთვის მიმდინარე პროცესებში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების, დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგია;

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს.

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

კურიკულუმი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს, კურიკულუმის ჩარჩო საფეხურზე წარმოდგენილია საშუალო საფეხურის მე-10 და მე-12 კლასებში. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, მითითებულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ტრანსფერს უწყობს ხელს. წარმოდგენილი კურიკულუმი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისადაა შექმნილი და მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას აძლევს. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა სურათი, რომელიც გვაძლევს იმის დასკვნის შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესში უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს. ახალ სასწავლო წელს შეხვდებიან სრულიად ახალი გადამუშავებული კომპლექსური დავალებებით. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო იძლევა საშუალებას, განისაზღვროს საფეხურის მზაობა მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის სრულყოფილად დაგეგმვისათვის. გასაუბრებიდან გაირკვა, რომ მასწავლებლები ხშირად იყენებენ სწავლების დიფერენცირებული მიდგომებისთვის საჭირო სხვადასხვა მეთოდს, აქტივობას. ითვალისწინებენ მოსწავლეთა უნარებს, შესაძლებლობებს, ცოდნის დონეს და შესაბამის დავალებებს აძლევენ. შექმნილი აქვთ დიფერენცირებული მიდგომებისათვის საჭირო რესურსებიც, რომელიც სკოლას დოკუმენტის სახით არ წარმოუდგენია. კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები კომპლექსური დავალებები, რომელიც თავისი ბუნებით ფარავს ყველა ტიპის დამსწავლელის მოთხოვნებს, იძლევა არჩევანის შესაძლებლობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და განხორციელებული სასწავლო პროცესით, იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო.

საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო სგანების კურიკულუმში დევს ბევრი საინტერესო კომპ.დავალება,მაგ ბიოლოგიის მე-10 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში,მომდევნო სასწავლო წლისთვის გათვლილია ისე დავალებები როგორიცაა "მეტაბოლური ქიმიური რეაქციები ", ქიმიაში- "რეაქციის სიჩქარეზე მოქმედი ფაქტორები" აღნიშნულ დავალებებში ჩადებული ისეთი აქტივოებები,რომლებიც მოსწავლის ინტერესების სფეროს შეესაბამება. ასევე უნდა აღვნიშნოთ სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგემა,რომლშიც აღნიშნულია და წინა პლანზეა წამოწეული სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეებში გამჭოლი უნარების და ღირებულებების გავნითარება. გარდა კომპლექსური დავალებებისა მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას უზრუნველყოფს საკლასო თუ სასკოლო პროექტები, ასევე საკლუბო აქტივობები.

მე-12 კლასში შერჩეულია არჩევითი საგანი გეოგრაფიული კვლევა. საგანი შერჩეულია მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად . სწავლების პროცესი მოსწავლეს სთავაზობს მრავალფეროვან საკითხებს, მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას უზრუნველყოფს საკლასო თუ სასკოლო პროექტები, ასევე საკლუბო აქტივობები.

ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად მიმდინარეობს მოქალაქეობაში პროექტებით სწავლება. მე-10 კლასში განხორციელებულია სემესტრების მიხედვით მოსწავლეთა ინიციატივით საჭიროებებზე მორგებული პროექტები. მაგ: პროექტი "გარდატეხის ასაკის ლაბირინთები „. რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭირობებზე . მოსწავლეთა ჩართულობა და მონაწილეობა მაღალია პროექტების დაგეგმვა განხორციელებისას. პროექტის ფარგლებში განხორციელდა საინტერესო აქტივობები: შეხვედრა მოწვეულ სტუმართან - „გარდატეხის ასაკის ფიზიოლოგიური/ ფსიქო-ემოციური ცვლილებები" პოზიტიური ფსიქოთერაპიის ასოციაციის წარმომადგენელ, ფსიქოლოგ ეკატერინე ყიფიანთან. შეხვედრა ფსიქოლოგ მაია ცირამუასთან GDI ის ოფისში. გარდატეხის ასაკის თავისებურებების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა/ ანიმაციური ფილმების ჩვენება/ დისკუსია ჰარკნესის მეთოდის გამოყენებით. სასკოლო საზოგადოების აზრის კვლევა (გამოკითხვა) გარდატეხის ასაკთან დაკავშირებული სირთულეებისა და მათი დაძლევის შესახებ. აქცია პერფორმანსი „გახდი ჩემი მეგობარიც"მოზარდთა ემოციების დღიურის" შექმნა თემატიკით - „ჩემი შეცვლილი

სამყარო“სოციალური ვიდეო კლიპის „მე გარდატეხის ასაკში ვარ“ გადაღება. თანატოლგანმანათლებლებელთა შეხვედრები. დასკვნითი ღონისძიება: „მოზარდთა ემოციების დღიურის“ წარდგენა; სოციალური ვიდეო კლიპის წარდგენა; პროექტის შეჯამება. პროექტებით სწავლების მიმართულებით განხორციელებული საქმიანობა შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში ძირითადად გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები და შესაბამისი ქვეცნებები. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, მითითებულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ტრანსფერს უწყობს ხელს. მე-10 და მე-12 კლასებში გაწერილია თემები, კომპლექსური დავალების იდეა, რომლებსაც გვერდით მიწერილი აქვს ის სამიზნე ცნებები, რომლებზეც გადის შესრულებული დავალება, არის აგრეთვე საჭირო კონტექსმაგალითები. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, მომავალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმებს შეავსებენ, კარგად იციან, რომ ყველა სამიზნე ცნების გააქტიურება სავალდებულოა ყველა თემის ფარგლებში. საშუალო საფეხურზე მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტებს (რეფერატს კონფერენციისთვის,ანალიტიკურ ესეს, ეპოქის რეკონსტრუირებულ სურათებს ქრონიკებსა და მატიანეში, პერაონაჟის ფსიქოლოგიურ პორტრეტს და სხვ.), რომელთა საშუალებითაც ისინი ადასტურებენ ცოდნას საგნობრივ საკითხზე და ექმნებათ მკვიდრი წარმოდგენები. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ შეფასების რუბრიკების დახვეწითა და განვითარებით, მკაფიოდ იქნება გამოხატული მოსწავლეთა ნაშრომების საუკეთესო თუ გასაუმჯობესებელ მხარეები. წარმოდგენილ კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალებები ავითარებს სხვადასხვა კომპეტენციას. მაკროცნებების გააზრება ხდება სამიზნე ცნებებზე მუშაობის პროცესში. მასწავლებლებმა, ასევე, აღნიშნეს, რომ მოსწავლის მიერ თხზულებაზე მუშაობის დროს, ცხადია, მათ უვითარდებათ ნარატივის უნარი. ამ შემთხვევაში კი აქტიურდება მაკროცნება ,,წიგნიერება“. კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში სწორადაა გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები.

მათემატიკის კურიკულუმში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები (მაგ. geogebra-ს გამოყენებით ფუნქციის გრაფიკის დახმარებით კომპოზიციების შექმნა“ მეათე კლასი). კურიკულუმებში აქტივობები დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეებში განვითარდეს თანამშრომლობა, ეფექტური კომუნიკაცია, თვითრეგულაცია, რეალური პრობლემების გადაწყვეტა და ინოვაცია, შეძლონ ცოდნის კონსტრუირება. კურიკულუმში ასახულ კომპლექსურ დავალებებში, შეთავაზებულ აქტივობებში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას, ისეთების როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, შემოქმედებითობა, ნებელობა და მოქალაქეობა. მაგ,მასწავლებლებთან გასუბრებისას იკვეთება,რომ ისინი ხშირად კლასის ორგანიზების ფორმად ირჩევენ ჯგუფებში მუშაობას ან წყვილებში, ეს კი ხელს უწყობს თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. ხშირად მოსწავლეებს აქვთ ისეთი პროდუქტი შესაქმენლი მაგ, როგორიცაა მაკეტი, მოდელი ეს კი მათ შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში ეხმარება.

საშუალო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები (გეოგრაფია, ისტორია, მოქალაქეობა) დაგეგმილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით (სამიზნე ცნებები და შედეგები). საგან მოქალაქეობის კურიკულუმის ჩარჩოებში განსაზღვრულია რამოდენიე კონტექსტ -მაგალითი და კომპლექსური დავალების იდეა, რომელიც ემსახურება კონკრეტული საკითხის კონტექსტში სამიზნე ცნებების გააზრებას. კურიკულუმში ასახული კომპლექსური დავალების იდეა იძლევა საფუძველს, რომ განხორციელების პროცესში გააქტიურდეს გლობალურ-ფუნქციურ უნარები (მაგ., ვიდეორგოლის, სტატიის, ესსეს შექმნა და სხვ.).

სკოლის თვითშეფასების განაცხადში ხაზგასმულია თითოეული საგნის ერთობლივი ძალისხმევა მაკრო ცნებების გააზრებისათვის. საშუალო საფეხურის მოსწავლეების და მასწავლებლების აქტიური ჩართულობით 2022-2023 სასწავლო წელს განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მხარდაჭერილი, ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი პროექტი: "კრეატიულობა და ინტელექტუალური საკუთრება საქართველოს სკოლებში" პროექტში ჩართული იყვნენ მე-6, მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეები, რომელთა აქტიური მუშაობის შედეგად შეიქმნა სხვადასხვა ტიპის ნამუშევრები (ხელით და ელექტრონულად შექმნილი რესურსები).

ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად მიმდინარეობს მოქალაქეობაში პროექტებით სწავლება. მე-10 კლასში განხორციელებულია სემესტრების მიხედვით მოსწავლეთა ინიციატივით საჭიროებებზე მორგებული პროექტები. მაგ: პროექტი "გარდატეხის ასაკის ლაბირინთები „. პროექტის ფარგლებში განხორციელდა საინტერესო აქტივობები, რაც ააქტიურებ ფუნქვიურ კომპონენტურ უნარებს - შეხვედრა მოწვეულ სტუმართან - „გარდატეხის ასაკის ფიზიოლოგიური/ ფსიქო-ემოციური ცვლილებები" პოზიტიური ფსიქოთერაპიის ასოციაციის წარმომადგენელ, ფსიქოლოგ ეკატერინე ყიფიანთან.შეხვედრა ფსიქოლოგ მაია ცირამუასთან GDI ის ოფისში. გარდატეხის ასაკის თავისებურებების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა/ ანიმაციური ფილმების ჩვენება/ დისკუსია ჰარკნესის მეთოდის გამოყენებით. სასკოლო საზოგადოების აზრის კვლევა (გამოკითხვა) გარდატეხის ასაკთან დაკავშირებული სირთულეებისა და მათი დაძლევის შესახებ. აქცია პერფორმანსი „გახდი ჩემი მეგობარიც"მოზარდთა ემოციების დღიურის" შექმნა თემატიკით - „ჩემი შეცვლილი სამყარო"სოციალური ვიდეო კლიპის „მე გარდატეხის ასაკში ვარ" გადაღება. თანატოლგანმანათლებლებელთა შეხვედრები. დასკვნითი ღონისძიება: „მოზარდთა ემოციების დღიურის" წარდგენა; სოციალური ვიდეო კლიპის წარდგენა; პროექტის შეჯამება. პროექტებით სწავლების მიმართულებით განხორციელებული საქმიანობა შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესში სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ზოგადად სასწავლო პროცესის ინკლუზიურ ხედვას, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, განათლების თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში, როგორიცაა სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფია, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღმისეული სწავლა და ა.შ. და, მეორე მხრივ, პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სკოლა აცნობიერებს, რომ ინკლუზიური განათლების კონცეფციის თანახმად, სწავლა-სწავლების დიფერენცირებული მიდგომა გულისხმობს გარემოსა და სტრატეგიების იმ სახით ორგანიზებას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი.

საშუალო საფეხურზე თითოეულ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომა, რაც გამოკვეთილია კომპლექსური დავალების პირობასა და კონკრეტულ აქტივობებში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს საჭიროებების კვლევის გამოცდილება და სკოლაში უზრუნველყოფილია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა.

სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა განსხვავებული თავისებურებები, სწავლის სტილი, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, აქტივობები შერჩეულია დაბალი, მაღალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის. დიფერენცირება იკვეთება კომპლექსური დავალების პროდუქტის სახეობის შეთავაზებაშიც.

სკოლა საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლობს მულტი დისციპლინარულ გუნდთან, სპეციალურ მასწავლებელთან. მშობლები, სპეციალისტი და მასწავლებლები ურთიერთ თანამშრომლობენ. იქმნება ინდ. სასწავლო გემა, მოდიფიცირებული დავალებები.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლები ითვალისწინებენ ყველა ბავშვის ფიზიკურ თუ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, კერძოდ მოსწავლეები იღებენ ინდივიდუალურ დავალებებს, სადაც უნდა შეასრულონ სხვადასხვა მოძრაობა ან ვარჯიში, მოსწავლის შესაძლებლობიდან გამომდინარე შეიძლება გამარტივდეს ან გართულდეს დავალება, რათა მათი განვითარებისთვის ეფექტური გახდეს პროცესი.

ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში მასწავლებლები იყენებენ როგორც განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. წარმოდგენილია შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლის მიხედვითაც ხორციელდება შეფასება. სკოლა იყენებს სოლო ტაქსონომიით შეფასებას კომპლექსური დავალებების შესაფასებლად. ასევე ხორციელდება ურთიერთშეფასება და თვითშეფასება მოსწავლეების მიერ. პედაგოგების მიერ 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი, ხოლო დიაგნოსტიკური შეფასების პირველი ინსტრუმენტი. პედაგოგების მიერ იგეგმება 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასება ყოველი შერჩეული კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი რუბრიკების შექმნა. ამასთან გათვალისწინებული იქნება მოსწავლის შეფასების ძირითადი ამოცანები:

ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა სისტემატურად ხვდება ერთმანეთს და უზიარებს წინარე გამოცდილებას, განიხილავს იმ გამოწვევებს, რომლის მოგვარებასაც სექტემბრიდან გეგმავენ, რათა უკეთესად დაგეგმონ სასწავლო პროცესი. პედაგოგები გასაუბრების პროცესში აღნიშნავენ, რომ სასკოლო კურიკულუმისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზს შეძლებენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ეს შეიძლება იყოს მასწავლებლის პირადი პორტფოლიოს ანალიზი; მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი; მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები; პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები და ა.შ. აღნიშნული გამოცდილება გათვალისწინებული იქნება 2023-24 სასწავლო წლისთვის წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებულ/რევიზირებულ დოკუმენტებში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- კათედრის ოქმი;
- კათედრის სამუშაო გეგმა;
- საზოგადოებრივი მეცნიერებები-საგნობრივი კურიკულუმები
- სკოლის თვითშეფსების დოკუმენტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას მასწავლებელები ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლე, როგორც ცენტრალური ფიგურა, დაგეგმონ აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას, მოსწავლეებს აქვთ საშუალება იმსჯელონ, იფიქრონ და მოიძიონ პრობლემის გადაჭრის გზები, გეგმავენ და შემდეგ ახორციელებენ სხვადასხვა მიზნობრივ ქმედებებს. **მათემატიკის სწავლების პროცესში სკოლას აქვს** მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის გამოცდილება. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა ჩართული იყო Minecraft -ის პროგრამაში, მოსწავლეები დამოუკიდებლად და შემოქმედებითად ქმნიდნენ მოზაიკებს, კონსტრუქციებს, ანიმაციურ სამყაროსა და სხვადასხვა მრავალფეროვან

კომპლექსური დავალებები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლეები აქტიურად ჩაერთონ სწავლების პროცესში და განივითარონ შემოქმედებითი უნარები და ითვალისწინებს მოსწავლეების მიერ სხვადასხვა სახის პროდუქტის შექმნას - პოსტერების, მოდელები, ბუკლეტების, მოდლების დამზადებას.

სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ სისტემატიურად ხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება-რეალიზება. მაგალითად, მოსწავლეთა თვითმართველობის ინიციატივები მხარდაჭერილი და აღიარებულია.

ფიზიკური აღზრდასა და სპორტში, საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი თემები და კომპლექსური დავალებები, იძლევა მოსწავლის აქტიურად პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. აღნიშნული დავალებები მრავალფეროვანია, მოიცას სხვადასხვა ტიპის ფიზიკურ აქტივობასა და თეორიულ საკითხს. მასწავლებელები ზრუნავენ ბავშვების მოტივაციაზეც, რათა მათი ჩართულობა იყოს მაღალი, შექმნილი გარემო, ინფრასტრუქტურა და ინვენტარი, ასევე სასკოლო ფესტივალები, სახალისო შეჯიბრები და მსგავსი ტიპის აქტივობები ზრდის მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2. <u>სსიპ ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლის ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.</u> კერძოდ, წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას სასკოლო საზოგადოება ცდილობს გაითვალისწინოს მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება ცოდნის კონსტრუირების გზაზე. ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებით, რომლის შესრულებისას მოსწავლემ უნდა გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა . პედაგოგები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტების დაგეგმვა/განცორციელება, რათა დაეხმაროს სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებასთან მიუახლოებაში, რაც მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება.

მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებები, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი. კომპლექსური დავალებებში პირობას მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები შემოაქვს და ნაცნობი საკითხის მეშვეობით შეძლებენ დავალებაში არსებული პრობლემის გადაჭრას. სასწავლო პროცესში შექმნილი გარემო ეხმარება მოსწავლეებს, რათა მათ

ინფორმაცია არ მიიღონ როგორც ფაქტი, არამედ თავად აღმოაჩინონ და გააკეთონ დასკვნები, რაც ხდება ანალიზსა და სინთეზზე დაფუძნებული მეთოდით.

თვითშეფასების განაცხადის და მასწავლებლებთან გასაუბრების თანახმად წინარე ცოდნის გააქტიურებისათვის საზოგადოებრივ მეცნიერებების სწავლებაში გამოიყენება შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები, კოგნიტური ცხილები, და სხვა. ფორმალურ განათლებას აძლიერებს არაფორმალური განათლების კომპონენეტები, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მოსწავლის გამოცდილებასთან დაახლოებას და ზრდის მოტივაციას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აქვთ გამოცდილება და მზაობა ფორმალური და არაფორმალური აქტივობები დაგეგმონ ინტეგრიერბულად.

ესთეტიკური აღზრდა -

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები შემუშავებულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კერძოდ, კომპლექსური დავალებები ეტაპობრივად პროგრესირებს და რთულდება კლასების მიხედვით. ეტაპობრივად ნასწავლ მოძრაობებს მოყვება ახალი, უფრო რთულად შესასრულებელი მოძრაობები რაც სხვადასხვა კოორდინაციული თუ ფიზიკური უნარის განვითარებას მოითხოვს. ახალი დავალებების შესრულებისთვის აუცილებელია ძველის ცოდნაც, რაც განამტკიცებს წინარე ცოდნას და უზრუნველყოფს ახლის ათვისებას. მსგავსი ტიპის მიდგომა სპორტში ეფექტურია დროის მონაკვეთში მაქსიმალური შედეგის მისაღწევად.

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას პედაგოგები ცდილობენ, გაითვალისწინონ სწავლა-სწავლების მიზნები: მოსწავლეს განუვითარონ გამჭოლი უნარები და ღირებულებები. საშუალო საფეხურის მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებების პირობების სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი მეტად გაკეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების ხელშეწყობაზე, მოსწავლეთა მიერ შესრულებული სამუშაოს რეფლექსიის წახალისებაზე, შესრულებული დავალებების ანალიზზე. დავალებების საკვანძო შეკითხვებზე მუშაობა სწორედ მეტაკოგნიციას გულისხმობს. მოსწავლეს უხდება საკუთარი სასწავლო პროცესის ანალიზი, მისთვის მოსახერხებელი სწავლის სტრატეგიების შერჩევა/შეფასება.

ფიზიკური აღზრდასა და სპორტში დაგეგმილ აქტივობებსა და დავალებებში, მოსწავლეებს ხანდახან უხდებათ თვითონ დაგეგმონ პროცესი, გაუწიონ მონიტორინგი და შეაფასონ, კერძოდ უფროსკლასელები ხშირად ატარებენ სხვადასხვა სპორტის დისციპლინაში ჩემპიონატებს. თვითონვე არიან ორგანიზატორები, მსაჯები და სხვა. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ კურიკულუმებში გაწერილი აქტივობები ხელს უწყობს ბავშვების მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი სამიზნე ცნება, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი კარგადაა გამოხატული ამ ტიპის გაკვეთილებშიც.

ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაზეც მეტყველებს შექმნილი სასკოლო კურიკულუმები საშუალო საფეხურის ყველა კლასისთვის. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებები აცნობიერებენ ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარების საჭიროებას და 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსური დავალება ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე.

საკითხის გააზრება ხდება რეალური ცხოვრებისეული მაგალითების ფარგლებში. მაგალითად, მე-11 კლასში ჩატარდა პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი მათემატიკაში თემაზე: "ინფორმაციის კოდირება და გახსნა". მოსწავლეებმა გაიხსენეს თვლის პოზიციური სისტემები და მათი გადაყვანა, როგორც ათობითიდან ორობითში, ისე ორობითიდან ათობითში. მათ ეს ცოდნა მასწავლებლის დახმარებით დაუკავშირეს ინფორმაციის დაშიფვრას. მასწავლებელმა მათ გააცნო ინფორმაციის დაშიფვრის უძველესი ხერხები. მოსწავლეებმა შეასრულეს ორი სახით დაშიფრული ინფორმაციების გახსნა: იულიუს კეისრის კოდით და მორზეს ანბანით. მიღებული ცოდნა მოსწავლეებმა გამოიყენეს პრაქტიკაში.

არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული პროექტები და აქტივობები მოიაზრებს პრობლემის ანალიზს, საჭირო რესურსების მოძიებას და კონკრეტული პრობლემის მიხედვით დამუშავებას, გამოსავლის გზების დასახვას. მოსწავლე ჩართულია ისეთ აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. ერთ-ერთი მაგალითია: სკოლის თვითმმართველობის მიერ განხორციელებული პროექტი: ,,ჯანსაღი გარემო", პროექტის მიზანი იყო მოსწავლეებში მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება, გარემოსა და გარემოსდაცვითი გამოწვევების/პრობლემების შესახებ ცოდნის გაღრმავება, გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრისათვის აუცილებელი უნარებისა და ცოდნის განვითარება. პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: საინფორმაციო შეხვედრა/დისკუსიის გამართვა; კვლევის ჩატარება - რასურსების გამოყენებასთან დაკავშირებული დამოკიდებულებების კვლევა სასკოლო საზოგადოებაში; გამოწვევები/cheiieng სხვადასხვა მიმართულებით-სასკოლო თემში სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების დაგეგმვა: ა) მაკულატურის შეგროვება, ბ)პლასტმასის შეგროვება, გ) საინფორმაციო პლაკატების მომზადება და გავრცელება სასკოლო თემში; მოსწავლეების მიერ გაკვეთილების ჩატარება დაწყებითი საეხურის მოსწავლეებისთვის-რესურსების ტიპებისა,რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და ნარჩენების მართვის მნიშვნელობის შესახებ; ადვოკატირების კამპანია წერილობითი მიმართვა ადგგილობრივ თვითმმართველობისათვის.(ეკომეგობრული ტრანსპორტის მოხმარების და შესაბამისად,გარემოსთვის არასასურველი ტრანსპორტის გამოყენების შემცირების წახალისება - მოსწავლეები მიმართავენ ადგილობრივ თვითმმართველობას ველოსიპედის გასაჩერებელი ბოძის განთავსების თხოვნით); ფილმის ჩვენება - „ბიჭი, რომელმაც ქარი მოათვინიერა"; გამოფენა - მეორეული გამოყენების საგნებისაგან დამზადებული ნივთების გამოფენა; დასკვნითი ღონისძიება.

ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირებისთვის კურიკულუმების როლი, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. მოსწავლეები საშუალო საფეხურზე ქმნიან რეფერატებს, ესეს, ეპოქის რეკონსტრუირებულ სურათებს, პერსონაჟის ფსიქოლოგიურ პორტრეტს და ა.შ. ამ ტიპის დავალებებში მოსწავლე არა მარტო

განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი.

საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია იმგავრად, რომ მოსწავლეებს სთავაზობს გამოცდილებასთან ახლოს მდგომ ნაცნობ პრობლემებს, რომელთა მოგვარება მოითხოვს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთდაკავშირებულად გამოყენებას. მოსწავლე ორიენტირებულია რა პრობლემის მოგვარებაზე, უხდება წინა მასალის, ასევე სხვა საგნებში ნასწავლის გახსენება და ურთიერთკავშირში გააზრება. ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას უწყობს ხელს ასევე არაფომალური აქტივობები (პროექტები , სამოქალაქო განათლების კლუბის საქმიანობა და მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობა).

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- კომპლექსური დავალების ბარათები;
- კათედრის ოქმები;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სკოლის მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებსა (რესურსებს,მასალას) და საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს)

შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. პედაგოგებთან საუბრისას იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, მიუსადაგებენ სამიზნე ცნებას, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით.

ინდიკატორი 2. <u>სსიპ ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლის საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.</u> კერძოდ, მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი უპირატესობა ენიჭება მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ემპათიური გრძნობების ჩამოყალიბებისათვის, ფსიქოსოციალური განვითარებისათვის სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა ეკოლოგიური თუ მოქალაქეობრივი კულტურის ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული პროექტი, აგრეთვე, აქვთ არაფორმალური განათლების გამოცდილება, კლასგარეშე აქტივობები, ექსკურსიები, რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. პედაგოგებმა დაასახელეს რამდენიმე ტიპის კონკურსი, რაშიც მონაწილეობის მიღება ეხმარება მოსწავლეს ფსიქო-სოციალურ განვითარებაში, მაგალითად, მხატვრული კითხვის, კალიგრაფიის, კომიქსების კონკურსი, ინტელექუალური თამაშები და ა.შ. აღნიშნეს, რომ მომავალ სასწავლო წელს ამ მიზნით დაგეგმილი აქვთ წიგნის მოყვარულთა კლუბის ჩამოყალიბება. უცხოური ენებში საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. პროექტების გამოუყენება სწავლებაში გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ხელი ეწყობა მოსწავლეთა სოციალური უნარების განვითარებას იმდენად, რამდენადც მათ უწევდათ ჯგუფურად მუშაობა საერთო მიზნის მისაღწევად და ურთიერთობას ამყარებდნენ არა მხოლოდ თანაკლასელებთან, არამედ სკოლის სხვა მოსწავლეებთან და სხვადასხვა ორგანიზაციებთან. საგნობრივი კონტექსტები სწორადაა შერჩეული. ისეთი თემებია წამოწეული წინა პლანზე, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას, სოციუმში სწორად ინტეგრირებას. კურიკულუმში ჩადებულია ისეთი საკითხები როგორიცაა ჯანსაღი ცხოვრების წესი, ჯანმრთელობა და მისი დაცვის მნიშვნელობა, წითელი წიგნი და ნუსხა, გარემოზე ზრუნვა და ა.შ

საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმი მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულად იგეგმება სასკოლო აქტივობები (ტოლერანტობის კვირეული სკოლაში და სხვა) საბაზო საფეხურზე საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ სწავლების სხვადასხვა მეთოდს: აუდიალური, რაც ითვალისწინებს ფილმების ჩვენებასაც, აუდიო ჩანაწერების მოსმენას, წიგნების გააზრებულად კითხვას, რის შედეგადაც მოსწავლეებში ვითარდება კრიტიკული აზროვნება, ამასთანავე მათში აღძრავს ემპათიის გრძნობას. გარდა ამისა, გამოიყენება ვიზუალური დიაგრამები, ცხრილები, სქემები, რუკები, სურათები, ილუსტრაციები, რაც ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. როლური თამაშები და სიმულაციები კი ეხმარება მოსწავლეებს კომუნიკაციის უნარისა და ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი -საგნობრივი კონტექსტი პირდაპირ დაკავშირებულია მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. მოსწავლის თვითკონტროლი და ორგანიზებულობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამიზნე ცნებაა. სხვადასხვა ტიპის აქტივობა, იქნება ეს პრაქტიკული თუ თეორიული ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. გუნდურობა, შეჯიბრში მონაწილეობის დროს თავის კონტროლი, ემოციის მართვა, ურთიერთპატივისცემა განუყოფელი ნაწილია სპორტის სასწავლო პროცესის.

მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულად იგეგმება პროექტები მაგ: პროექტი " გარდატეხის ასაკის ლაბირინთები " . აქტივობები: შეხვედრა მოწვეულ სტუმართან - „გარდატეხის ასაკის ფიზიოლოგიური/ ფსიქო-ემოციური ცვლილებები" პოზიტიური ფსიქოთერაპიის ასოციაციის წარმომადგენელ, ფსიქოლოგ ეკატერინე ყიფიანთან.შეხვედრა ფსიქოლოგ მაია ცირამუასთან GDI ის ოფისში. გარდატეხის ასაკის თავისებურებების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა/ ანიმაციური ფილმების ჩვენება/ დისკუსია ჰარკნესის მეთოდის გამოყენებით. სასკოლო საზოგადოების აზრის კვლევა (გამოკითხვა) გარდატეხის ასაკთან დაკავშირებული სირთულეებისა და მათი დაძლევის შესახებ. აქცია პერფორმანსი „გახდი ჩემი მეგობარიც"მოზარდთა ემოციების დღიურის" შექმნა თემატიკით - „ჩემი შეცვლილი სამყარო"სოციალური ვიდეო კლიპის „მე გარდატეხის ასაკში ვარ" გადაღება. თანატოლგანმანათლებლებელთა შეხვედრები. დასკვნითი ღონისძიება: „მოზარდთა ემოციების დღიურის" წარდგენა; სოციალური ვიდეო კლიპის წარდგენა; პროექტის შეჯამება.

ინდიკატორი 3. <u>სსიპ ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლის შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. კერძოდ, კათედრებზე შემუშავებულია</u> შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სწორად იაზრებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მიზნებს. ასევე, იციან სოლო ტაქსონომიის, როგორც განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის მნიშვნელობა.განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში ასახულია ცოდნის კონსტრუირების დინამიკა დეკლარაციული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. შეფასების პროცესში აქტიურადაა ჩართული მოსწავლე, რაც მოსწავლის მიერ სუსტი და ძლიერი მხარეების შეფასებას და მის მიერ გააზრებული ნაბიჯების გადადგმას განაპირობებს, ეს კი მოსწავლის პიროვნული განვითარების პირობაა. სკოლას აქვს გარკვეული გამოცდილება და მზაობას აცხადებს ამ მიმართულებით მუშაობის კუთხით. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, მასწავლებელთან გასუაბრება იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას რომ მომდევნო სასწავლო წლიდან მოხდება მოსწავლეთა ჰოლისტური შეფასება და სოლო ტაქსონომიაზე დაყრდნობით მოხდება სამიზნე ცნებების ფლობის ხარისხის დადეგენა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან**

ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა ცდილობს, შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი; თუმცა პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სოლო ტაქსონომიის ინსტრუმენტის დახმარებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება აქვთ და კლასში განმავითარებელი შეფასება ხორციელდება უმეტესად ზეპირი უკუკავშირის საშუალებით. საშუალო საფეხურის პედაგოგები 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის გეგმავენ უფრო მეტად სასწავლო პროცესზე მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნასა და გამოყენებას სასწავლო პროცესში მოსწავლეთა სასწავლო შედეგების გასაუმჯობესებლად, პრობლემების იდენტიფიცირებისა და შემდგომი პროცესების დაგეგმვისთვის. მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ კათედრაზე მოქმედებს მოსწავლის განმსაზღვრელი

შეფასების ერთიანი რუბრიკები. მოცემული რუბრიკები მოიცავს შემაჯამებელ დავალებებს. სასწავლო წლის დაწყებისთანავე მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აქვთ ინფორმაცია თუ რა მიზანი აქვს შეფასებას, რა ფორმით (წერითი/ზეპირი გამოცდა, ტესტირება თუ სხვ.) მოხდება შეფასება და ასევე რა შედეგი ექნება მას. ინფორმაცია მიწოდებულია ოფიციალურად ყველა მხარის პასუხისმგებლობის გათვალისწინებით. პროცესზე პასუხისმგებელი პირები უზრუნველყოფენ შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობას.

უცხოური ენებში წარმოდგენილი რუბრიკების კრიტერიუმების ნაწილი გამორიცხავს არაობიექტურობასა და უსამართლობას, რადგან ისინი არ იძლევა ინტერპრეტირების საშუალებას და არის ცალსახა. მაგალითად, ''იცავს სიტყვების ქვედა ზღვარს'', ''შეუძლია ეფექტურად აღიქვას და გამოიყენოს არავერბალური კომუნიკაციის ფორმები (თვალით, ჟესტებით, გამომეტყველები თუ ხმით)'', ''იცავს დროის ლიმიტს ''და ა.შ. ბუნდოვანებას იწვევს რუბრიკებში წარმოდგენილი ქულობრივი გადანაწილება. მაგალითად, ერთ-ერთ რუბრიკაში, კრიტერიუმს, ''მოსწავლე იცავს დროის ლიმიტს'' მინიჭებული აქვს 0-1 ქულა. ბუნდოვანია რა შემთხვევაში უნდა დაიწეროს ''0'' და როდის ''1''. ამავე რუბრიკაში მოცემულია კრიტერიუმი ''გასაგებად აყალიბებს მოსაზრებას და თანმიმდევრულად ავითარებს მას'', რომლის ქულობრივი წილიც არის 0-1-2, თუმცა არაა გაწერილი როდის უნდა დაიწეროს 0, 1 ან 2 ქულა. მსგავსი ხარვეზებია სხვა წარმოდგენილი რუბრიკების დიდ ნაწილშიც, რაც გარკვეულწილად ხელს უშლის მოსწავლის შეფასების ობიექტურობასა და სამართლიანობას. იმისათვის რომ თავიდან ავიცილოთ არსებული, საჭიროა რუბრიკების გადხედვა, გაუმჯობესება და ქულების ისე გადანაწილება რომ არ რჩებოდეს კითხვის ნიშნები.

ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას ამ ეტაპზე აქვს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზის, შემაჯამებელი დავალებების ანგარიშის ფორმების, კათედრის წლიური ანგარიშის გამოცდილება. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში იკითხება, რომ კათედრები გარკვეული პერიოდულობით იკრიბებიან და განიხილავენ შემაჯამებელ დავალებებს, აანალიზებენ შედეგებსა და შეფასების სისტემებს. კათედრის დებულებაში ცალსახად გაწერილია მასწავლებლის მოვალეობა შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების შეფასების ინსტრუმენტების ანალიზისა. ვერიფიკაციის გარკვეული მექანიზმების დეტალები შეინიშნება სკოლის სტრატეგიულ გეგმაშიც. სკოლა სწავლობს თითოეული მოსწავლის მიღწევების დინამიკას შეფასების ინსტრუმენტებზე დაყრდნობით. სკოლაში არსებული ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი თავის დებულებაში განსაზღვრავს მასწავლებელთა საქმიანობაზე დაკვირვების, უკუკავშირის მიცემის ფორმებს. ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლას შესწევს უნარი, შეიმუშაოს და დანერგოს სასწავლო პროცესში შეფასების ვერიფიკაციის ერთიანი დოკუმენტი ისე, რომ რეალურად მოხდეს მოსწავლის მიღწევების ანალიზი, რაც ლუსტრაციაა იმისა, თუ რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ხდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმი
- შეფასების რუბრიკები
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სკოლის სტრატეგიული გეგმა
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება
- კათედრის დებულება
- კათედრის სამოქმედო გეგმა

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
6 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

საშულაო საფეხურზე სასწავლო პროცესში შექმნილია ნდობაზე დაფუძნებული, ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრები თანასწორნი არიან: მიუხედავად ეროვნებისა, რელიგიური აღმსარებლობისა დასქესისა. სკოლას ჰყავს შეზღუდული შესაძლებლობების, სოციალურ-ემოციური პრობლემების მქონე მოსწავლეები, ნიჭიერიბავშვები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, უსახლკარო და სოციალური პრობლემების მქონე მოსწავლეები.კათედრის წევრები ხშირად, ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ პოზიტიურ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა დარეკომენდაციებით(კრიტიკული მეგობარი), რაც უზრუნველყოფს მაღალ მიმღებლობას. მიუხედავად არსებული განსხვავებებისა და თავისებურებებისა, სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო სრულფასოვანი განვითარებისათვის. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი, როგორც კლასის, ისე სკოლის დონეზე.სკოლაში შექმნილია მიმღებლობითი გარემო. კერძოდ, სასწავლო პროცესში მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მოსწავლეთა

მხარდაჭერას მათზე მორგებული კურიკულუმების (ინდ. სასწავლო გეგმის) დანერგვით, პროექტების, საკლუბო თუ სხვადასხვა აქტივობების განხორციელებით . მიღებულია თითოეულის მოსაზრება, წახალისებულია მათი ინიციატივები. მოსწავლეთათვის გაცემული უკუკავშირის მიზანია პროგრესის ხელშეწყობა. სკოლის თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია, რომ ყოველივე ეს უზრუნველყოფს პოზიტიურ სასწავლო გარემოს შექმნას და ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად

საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეებს, განავითარონ თავიანთი ძლიერი მხარეები, ყურადღება გაამახვილონ სუსტ მხარეებზე. ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში,ზრუნავენ ბავშვების ყოველდღიურ განვითარებაზე, მრავალმხრივი უნარების ჩამოყალიბებასა და გააქტიურებაზე. მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა სახის ოლიმპიადებში (ეროვნული, კინგსი, ევერესტი), კონკურსებსა და ინტელექტუალურ თამაშებში (ყველაზე წიგნიერი, ტვინების ბრძოლა, რა? სად? როდის? ორგანიზაცია English Book Education-ის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა კონკურსში. მაგ ,,Easter in different countries", ,,Summer Reading Challenge "). ეს ყოველივე განაპირობებს პროგრესს, წარმატებას და ხელს უწყობს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას. სასწავლო პროცესის მოსწვალეზე ორიენტირებულად წარმართვის ხელშემწყობად მოიაზრება არსებული საგნობრივი კურიკულუმები რომლებიც მოსწავლეებს სთავაზობს კომპლექსური ბუნების დავალებებს, სადაც მოსწავლე თავად არის სასწავლო პროცესის დამგემავი, რაც ზრდის ავტონომიურობის განცდას. არაფორმალური აქტივობები ასევე მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე და ხელს უწყობს თანამშრომლობითი, უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნას. შეფასება ემსახურება მოსწავლეთა პროგრესის ხელშეწყობას. მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა საჭიროებებს სწავლობენ როგორც საგაკვეთილო ისე არასაგაკვეთილო პროცესში, რაც ეხმარება მათ მოსწავლეზე ორიენტირებულად სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სასწავლო პროცესი დაფუძნებულია თანამშრომლობაზე და გუნდურობაზე. სასკოლო საზოგადოების წარმატებას, ერთობლივი მუშაობა, გუნდურად პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, გამოცდილების გაზიარება წარმოადგენს, კერძოდ კათედრების წევრების ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღება, რაც აისახება სკოლის მიერ წარმოდგენილ სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფის კათედრის ოქმებში . წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს მოსწავლეთა ჩართულობა სხვადასხვა პროექტებსა თუ აქტივობებში ფორმალური თუ არაფორმალური მიმართულებით(კონკურსებსა და ინტელექტუალურ თამაშებში), სადაც გამოკვეთა ურთიერთ თანამშრომლობის პროცესის ეფექტურობა . სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური გარემოს შექმნას, ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობით კავშირებს, რომელიც მოიცავს აკადემიურ და პიროვნულ ზრდას , ზრუნვას, პატივისცემას, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობას და მათ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში.

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის თვითრეგულაციის განვითარებაზე, მოსწავლეებს შორის ჯანსაღი პიროვნული ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშეწყობაზე სადამრიგებლო პროგრამებითა თუ მშობლებთან თანამშრომლობით. სკოლის მიერ ინიცირებულ აქტივობაში ერთვება მთელი სასკოლო საზოგადოება, მაგალითად, განხორციელდა პროექტი „ძველი ნივთების ახალი სიცოცხლე“, რომლის ფარგლებში მოსწავლეების და მშობლების მიერ შექმნილი ხელნაკეთი ნივთები გამოიფინა სკოლის სივრცეში. ასევე, მშობელთა ჩართულობით ეწყობა ღონისძიებები. რაც ხელს უწყობს პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფას. სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ დაწესებულებაში პოზიტიური სასწავლო კლიმატის შესაქმნელად მნიშვნელოვანი ფაქტორებია: აღიარება, პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, თანამშრომლობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- შეფასების რუბრიკები;
- სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ინდიკატორი 1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

სკოლას აქვს შემუშავებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია თუ როგორ ხორციელდება კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტში ვკითხულობთ შემდეგს: „სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან.“ **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ხდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება.**

ინდიკატორი 2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება, სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება, სკოლის ინსტიტუციური განვითარება. სკოლის ხარისხის მართვის დოკუმენტშიც ვკითხულობთ შემდეგს: „მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ“. მასწავლებლებთან გასაუბრებით ასევე დგინდება, რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა ეხმარება სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანად წარმართვას და სასკოლო საზოგადეობის საჭიროებეზეა მიმართული. **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ხდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება.**

ინდიკატორი 3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სკოლის მიერ მოწოდებულ ხარისიხს უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტში ვკითხულობთ: „არსებული სასწავლო პროგრამების /სადამრიგებლო გეგმების მონიტორინგი, მისი გუმჯობესების მიზნით, ეფუძნება სკოლის დირექციის და მასწავლებლების მიერ მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგოროვებას/ კათედრების/დამრიგებელების ანგარიშგებას და ამ ინფორმაციის გამოყენებას სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისთვის“ . კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში საუბარია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების გაანალიზებას მოსწავლეთა ჩართულობის და შედეგების მიხედვით. ასევე მასწავლებლებთან საუბრისას ასევე მასწავლებლებთან საუბრისას იკვეთება, რომ მონოტორინგის და შეფასების არსებული პრაქტიკა ნამდვილად ეხმარება მათ გადაჭრან სწავლა-სწავლების პროცესში წარმოქმნილი პრობლემები და სამომავლოდაც აპირებენ არსებული პრაქტიკის გაგრძელებას. **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ხდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციით ირკვევა, რომ მასწავლებელები იყენებენ სხვადასხვა სახის ინსტრუმენტს და სტრატეგიას მოსწავლეთა შესაფასებლად: მიმართავენ როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას, იყენებენ კომპლექსურ, თემის შემაჯამებელ და ყოველდღიურ საკლასო და საშინაო დავალებებს, ასევე არის პრაქტიკა და მომავალშიც იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასება მე-6 კლასის ბოლოს. დაგეგმილია შიდა სასკოლო გამოცდები. ეს კი გვაძლევს იმისი თქმის შესაძლებლობას, რომ სკოლაში შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს და აღნიშნული პრაქტიკა მომავალშიც გაგრძელდება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

მიუხედავად იმისა, რომ სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ზოგადი ხასიათის დოკუმენტია და ნაკლებად არის მასში გაწერილი სკოლის საჭიროებებზე მორგებული პუნქტები, მასწავლებლებთან გასუბრებისას იკვეთება, რომ საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას, ისინი ცდილობენ გაითვალისწინოს სხვადასხვა კონტექსტი მაგ., კლასის განწყობა საკითხისადმი, გარემო, წინარე ცოდნა და ასე მოახდინოს მოსწავლის შეფასება. **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ფასდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.**

ინდიკატორი 3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში და მასწავლებელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი იყენებენ მონაცმეთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს, აკეთებენ კომპლექსურ დავალებებს, წერენ ქვიზებს, ახდენენ პრეზენტირებას და ა.შ ეს ყველაფერი კი

აძლევს მასწავლებელს საშუალებას უფრო მეტი გაიგოს მოსწავლის კოგნიტურ უნარებსა და ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე. სამომავლოდ ეს პრაქტიკა შენარჩუნდება. დამკვიდრებული პრაქტიკა იძლევა საფუძველს, დავასკვნათ რომ შეფასებისას სკოლა გამოიყენებს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს. **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ხდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება.**

ინდიკატორი 4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინტერვიუდან ირკვევა, რომ მასწავლებლები შეფასებისას ცდილობენ გაითვალისწინოს გარე ფაქტორები, რომელიც ახდენს გავლენას მოსწავლის შედეგებზე. ასევე ირკვევა და დოკუმენტაციიდანაც ჩანს, რომ პედადგოგიურ საბჭოზე და კათედრის სხდომებზე ხდება შეფასების შედეგების განხილვა და ხელმშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთა, ეს კი იძლევა იმისი თქმის შესაძლელობას, რომ სამომავლოდ კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაეთმობა აღნიშნულ საკითხს. **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ფასდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- ბრძანება N2 -149/1 სსიპ ქ.თბილისის N 71 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ
- სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან (სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, კათედრის სხდომის ოქმები, მშობლეთა კრების ოქმები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმის ჩარჩო) ასევე მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად იკვეთება შემდეგი - სკოლას აქვს მზაობა შექმნას გარკვეული ტიპის მექანიზმი/საჭიროებათა პაკეტი, რომელიც ხელს შეუწყობს კურიკულუმის განვითარებას და მის მორგებას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და მოსწავლეთა საჭიროებებზე. **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ფასდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია მონიტორინგი და შეფასება, სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი კათედრის წევრების და დირექციის ინტენსიური თანამშრომლობით მიმდინარეობს. სკოლის მიერ მოწოდებული ხარისხის მართვის უზრუნველყოფის მექანიზმში ვკითხულობთ: „ხარისხის უზრუნველსაყოფად საჭიროა პროგრამების მიმდინარე სასწავლო პროცესის სისტემატური გადახედვა, კონტროლი რათა შენარჩუნებულ იქნას ხარისხი და ეფექტურობა“. ასევე კურიკულუმის ჩარჩოებიდან, კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგიიდან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად იკვეთება, რომ ეს პროცესები სასკოლო კულტურის განუყოფელი ნაწილია და კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიები სამომავლოდაც დაეფუძნება აღნიშნულ გამოცდილებას. **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ფასდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო
- კათედრის სხდომის ოქმი
- სსიპ ქ.თბილისის # 71 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა

- შეფასების რუბრიკები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

12/10/2023წ.

თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---